სასამართლოს განჩინება შპს "რუსთავი 2"-ის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ A2

ცხინვალში ვარდებს ელოდებიან A8

გულახდილად B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
შაბათი, 12 ივნისი, 2004 წელი. №138 (687)
ფასი 50 თეთრი

# "დუმილმა დამღალა"

ლადო ჭანტურია ახალ კარიერას იწყებს



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

სოფიკო ჩხაიძე

*"ნორმალურმა ადამიანმა უნდა იცოდეს თავისი ადგილი," - თქვა გუშინ ჯერ კიდევ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე მყოფმა ლადო ჭანტურიამ და საქართველოს პრეზიდენტს თანამდებობიდან გათავისუფლების თხოვნით მიმართა. როგორც საქართველოს პრეზიდენტის სიტყვებიდან გაირკვა, ლადო ჭანტურია უკვე კარგა ხანია, ველარ ხედავს საკუთარ ადგილს უზენაეს სასამართლოში:*

გაგრძელება A3 გვერდზე

## საააკაშვილი, აჭარა და არჩევნები

თამარ მჭედლიშვილი

*აჭარაში "რესპუბლიკელებსა" და "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებს შორის პარტიული ომი სულ უფრო მწვავდება. უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიები კი ნაკლებად აქტიურობენ. როგორც ამბობენ, მათ პროპორციული სისტემით გამართულ კენჭისყრაში შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვის იმედი არ აქვთ. სამაგიეროდ, არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიამ საკუთარი მაჟორიტარები თითქმის ყველა საარჩევნო ოლქში დაასახელა. მართალია, აჭარის მოსახლეობის გარდა, მაჟორიტარობის კანდიდატების ვინაობისა და მათი პოლიტიკური კარიერის თაობაზე თითქმის არავინ არაფერი იცის, პარტიათა წარმომადგენლები მაინც აცხადებენ, რომ შერჩეულ კანდიდატებს გამარჯვების სერიოზული შანსები აქვთ.*

ბუნებრივია, აჭარაში საქართველოს პრეზიდენტის გამოჩენა გამარჯვების გარანტი სწორედ იმ კანდიდატებისთვის იქნება, რომლებიც სააკაშვილის პარტიის მიერ არიან დასახელებულნი. თანაც, პრეზიდენტი "ნაციონალების" სიის პრეზენტაციაზე დასწრებას გეგმავს და აჭარის სოფლებში ჩასვლასაც აპირებს. ბუნებრივია, არჩევნების წინ, თანაც, რეგიონში გამწვავებული პოლიტიკური ფონის გათვალისწინებით, საქართველოს პრეზიდენტის გამოჩენას აჭარელი ამომრჩეველი სწორედ წინასაარჩევნო აგიტაციად აღიქვამს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ქართული ღვინო და ოსური ლუდი ერთ სუფრაზე რიგდებიან

დალი კუპრავა

*საქართველოს ხელისუფლებამ კი იცის, რომელ ქვეყანას მართავს, მაგრამ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფალი ორჭოფობს და ვერ გაურკვევია, მარტო რუსული პენსია დაარიგოს თუ ქართულიც მიახმაროს. ასეთ დროს წიგნია საჭირო, ამასთან, თანამედროვე ტექნოლოგიასაც თუ დაიხმარ, ამას რა აჯობებს - გონება გაგინათდება. ეს იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გუშინდელი მოგზაურობის მიზანი.*

გუშინ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხინვალის რეგიონის ხუთ სკოლაში უნდა ჩაეტანა კომპიუტერული ტექნიკა, სახელმძღვანელოები, სასკოლო თვალსაჩინოებები და სასკოლო საკანცელარიო საქონელი. ამას გარდა, სამხრეთ ოსეთის განათლების მინისტრთან წინასწარი საუბრები იგეგმებოდა: საზღვარგარეთ სასწავლებლად და კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად ცხინვალის რეგიონის წარმომადგენლებისთვის ადგილების გამოსაყოფად; ცხინვალისა და ვლადიკავკაზის მეცნიერებთან კონტაქტების აღსადგენად "სამხრეთ ოსეთის" უნივერსიტეტსა და ცხინვალის უნივერსიტეტს შორის კონტაქტების დასამყარებლად. ამ ნაბიჯებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ცხინვალის რეგიონში კომპლექსური პროგრამის განხორციელებას იწყებდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

### ეკონომიკა

## ერთიან ეკონომიკურ სივრცეში - აზერბაიჯანთან ერთად



საქართველო და აზერბაიჯანი ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნაზე საუბრობენ. ეს განზრახვა გუშინ სასტუმრო "ქორთიარდ-მარიოტში", საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკურ ურთიერთობათა სამთავრობოთაშორისო კომისიის პირველ სხდომაზე გახმაურდა.

A4

### უცხოეთი



## ნატო და უკრაინა თანამშრომლობას აღრმავებენ

ნატო-მ და უკრაინამ ხელი მოაწერეს სტრატეგიული საჰაერო გადაზიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, ნატო-ს შესაძლებლობა ექნება, უკრაინის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები გამოიყენოს.

A5

### საზოგადოება

## დედაქალაქის მოპირკეთება



გუშინ მერიის კეთილმოწყობის სამსახურის ძალისხმევით, დედაქალაქის მთავარი მაგისტრალისა და მოედნების იერსახის გალამაზება დაიწყო. 10-15 დღეში, თითქმის ყველა ქუჩაზე შეიღებება ბორდიურები და ტროტუარები. სამშაბათიდან კი თბილისის ქუჩებში ნაგვის ახალი მანქანები გამოჩნდება.

A6

### სამართალი

## იმერეთში შენახულ ნაღმებს ეუთო-ს სამხედრო ექსპერტები ამოიღებენ

A7

### რეკლამა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები თავისუფალი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი პიროვნების ჩამოყალიბებისთვის.

A7

### ამინდი

| | 12/06 | 13/06 |
|---|---|---|
| თბილისი | 24 | 29 |
| ქუთაისი | 26 | 32 |
| ბათუმი | 20 | 29 |
| სოხუმი | 24 | 28 |
| ფოთი | 22 | 30 |
| თელავი | 22 | 28 |
| ზუგდიდი | 25 | 31 |
| გორი | 24 | 28 |
| ახმეტა | 24 | 29 |
| ჭიათურა | 26 | 31 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9200 |
| ევრო | 2.3005 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5017 |
| რუბლი | 0.0661 |

# დღეს ევროპის ჩემპიონატი იწყება

სტადიონი "და ლუზი"




თანამედროვე ექსტრავაგანტული "სინათლის სტადიონი"

| ევრო 2004 | | | |
|---|---|---|---|
| 13 ივნისი | საფრანგეთი v ინგლისი | 24 ივნისი | მეოთხედფინალი 1 |
| 16 ივნისი | პორტუგალია v რუსეთი | 4 ივლისი | ფინალი |
| | | 21 ივნისი | ხორვატია v ინგლისი |

© GRAPHIC NEWS

*ამ სტადიონზე ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩი გაიმართება.*



B4

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 რეგიონი
B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 კვირა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

# ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს განჩინება

## (შპს "რუსთავი 2"-ის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ)

**11 ივნისი, 2004 წელი**
**ქ. თბილისი**

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე მამუკა ნოზაძემ ერთპიროვნულად, ზეპირი განხილვის გარეშე განვიხილე შპს "რუსთავი 2"-ის დირექტორის ერასტი კიწმარიშვილის 2004 წლის 8 ივნისის განცხადება შპს "რუსთავი 2"-ის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ.

**აღწერილობითი ნაწილი:**

2004 წლის 9 ივნისს ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ წარმოებაში მიიღო შპს "რუსთავი 2"-ის 08.06.2004 განცხადება, რომლითაც კომპანიის დირექტორმა ერასტი კიწმარიშვილმა მოითხოვა სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება.

კომპანიის დირექტორი გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების მიზანშეწონილობას ასაბუთებს იმ გარემოებით, რომ შპს "რუსთავი 2"-ში შექმნილია მძიმე ფინანსური მდგომარეობა, რაც გამოიხტება როგორც კომპანიის გადახდისუუნარობაში, ისე მის ზედავალიანებაში. განცხადების მიხედვით 2004 წლის 8 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის ხელთ არსებული თანხის, ქონებისა და არამატერიალური აქტივების, ასევე, წინასწარ გაწეული ხარჯების ღირებულების ჯამი (კომპანიის აქტივები) შეადგენს 3,880,069.34 ლარს. მაშინ, როცა კომპანიას გააჩნია 9,223,385.35 ლარის ოდენობით დავალიანება (კომპანიის პასივები). მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ საგადასახადო დავალიანება შეადგენს 4,622,826.51 ლარს; საკრედიტო დაწესებულებებისა და სხვა სახელშეკრულებო კონტრაჰენტების მიმართ - 4,150,523.34 ლარს;

განმცხადებლის განმარტებით, 2004 წლის 8 ივნისისათვის კომპანიას დაუდგა სხვადასხვა სახის ფულადი ვალდებულებების შესრულების ვადა, სულ 5,842,847.92 ლარის ოდენობით, 2004 წლის 30 ივნისისათვის კი კომპანიას წარმოეშობა კიდევ 92,297.46 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხის გადახდის ვალდებულება.

განმცხადებლის მტკიცებით, შპს "რუსთავი 2"-ს არ გააჩნია არც საკმარისი ფულადი სახსრები და არც სავარაუდო მატერიალური შემოსავლები იმისათვის, რომ მოახდინოს ვადადამდგარი და სამომავლო ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება. ამასთანავე, კომპანიის დირექტორი ამტკიცებს, რომ ვალდებულებათა შეუსრულებლობის/შესრულების შეწყვეტის გამო, კომპანიას ერიცხება საურავები, პროცენტები და სხვა სახის ფინანსური სანქციები, რაც ზრდის დავალიანების თანხის ოდენობას და ამასთან, იმდენად ამძიმებს კომპანიის მდგომარეობას, რომ თეორიულადაც კი შეუძლებელს ხდის ვალდებულებების თუნდაც მომავალში შესრულებას, რაც მისი განცხადებით შპს "რუსთავი 2"-ის გადახდისუუნარობას უსვამს ხაზს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოსა და სხვა კრედიტორთა, ისევე როგორც თავად კომპანიის ინტერესების დაცვის მიზნით, განმცხადებელმა მოითხოვა განცხადების განხილვა და "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2, მე-7, მე-8 და მე-11 მუხლების შესაბამისად, შპს "რუსთავი 2"-ის გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა, როგორც გადახდისუუნარობის, ისე ზედავალიანების მოტივით

**სამოტივაციო ნაწილი:**

სასამართლომ განიხილა განცხადებაში მოყვანილი გარემოებები, გაეცნო საქმისათვის მნიშვნელოვან ყველა დოკუმენტს, შეამოწმა შპს "რუსთავი 2"-ის მიმართ გაკოტრების საქმის გახსნის საფუძველი და მიიჩნია, რომ შპს "რუსთავი 2"-ის მიმართ უნდა გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება შემდეგ გარემოებათა გამო:

წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, სასამართლომ შეამოწმა კომპანიის კუთვნილი მატერიალური და არამატერიალური ქონების ოდენობა (აქტივები) და უდავოდ მიაჩნია, რომ ამჟამად კომპანიის საკუთრებაში იმყოფება შემდეგი ოდენობის მატერიალური და არამატერიალური ქონება (აქტივები):

1. ქონება, რომლის საერთო საბალანსო ღირებულება შეადგენს 2,045,526.44 ლარს; აღნიშნული ქონების საკუთრების ფაქტი დასტურდება შპს "რუსთავი 2"-ის ქონების ნუსხით, რომლის სისწორესა და სისრულეს წერილობით ადასტურებს კომპანიის დირექტორი.
2. ანგარიშზე რიცხული თანხები და სალაროში არსებული ნაღდი ფული 252,737.74 ლარის ოდენობით, რაც დასტურდება ბანკებიდან აღებული ამონაწერებითა და სალაროდან გაცემული ცნობით.
3. კომპანიის მოთხოვნა დებიტორთა მიმართ შეადგენს 13,455.65 ლარს. კომპანიის ერთადერთი დებიტორია "საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი".

სულ, კომპანიის ხელთ არსებული თანხის, ქონებისა და არამატერიალური აქტივების, ასევე, წინასწარ გაწეული ხარჯების ღირებულების ჯამი (საწარმოს აქტივები) შეადგენს 3,880,069.34 ლარს.

სასამართლომ ასევე შეამოწმა შპს "რუსთავი 2"-ის დავალიანებები და მიაჩნია, რომ კომპანიას ნამდვილად გააჩნია 9,223,385.35 ლარის ოდენობით დავალიანება (კომპანიის პასივები). წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმება ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ კომპანიის საგადასახადო ჯამური დავალიანება შეადგენს 4,622,826.51 ლარს. ასევე, შემოწმებულ იქნა სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებებისა და სხვა სახელშეკრულებო კონტრაჰენტების მიმართ დავალიანების არსებობის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დადგინდა, რომ კომპანიას დღეისათვის გააჩნია 4,150,523.34 ლარის ოდენობის დავალიანებები. ბიუჯეტის მიმართ და სხვადასხვა სახელშეკრულებო კონტრაჰენტების მიმართ არსებული დავალიანებები ჯამში შეადგენს 9,223,385.35 ლარს.

სასამართლომ შეამოწმა, თუ რა ფულადი ვალდებულებების შესრულების ვადაა დამდგარი კომპანიისათვის და რა ვალდებულებების შესრულების ვადა დადგება უახლოეს მომავალში.

წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზმა ცხადყო, რომ დღეისათვის უკვე დამდგარია 5,842,847.92 ლარის ოდენობით ვალდებულების. შესრულების ვადა. ამასთანავე, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ის ფაქტი, რომ 2004 წლის 30 ივნისისათვის კომპანიას წარმოეშობა კიდევ 92,297.46 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხის გადახდის ვალდებულება.

სასამართლოს უდავოდ მიაჩნია, რომ სახეზეა კომპანიის ზედავალიანება გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის მთლიანი აქტივების ღირებულება - 3,880,069.34 ლარი ნაკლებია კომპანიის პასივების მთლიან ოდენობაზე - 9,223,385.35 ლარზე.

სასამართლოს ხელთ არსებული დოკუმენტების ანალიზი ასევე ცხადყოფს, რომ კომპანიას არ ძალუძს დღეისათვის არსებული და ასევე უახლოეს პერიოდში შესასრულებელი ფულადი ვალდებულებების შესრულება, ვინაიდან კომპანიის შემოსავლების ოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება დამდგარ და სამომავლოდ შესასრულებელი ფულადი ვალდებულებების ოდენობას, ეს კი ხაზს უსვამს კომპანიის გადახდისუუნარობის ფაქტს.

ყოველივე ზემოაღნიშნული სასამართლოს შპს "რუსთავი 2"-ის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის უდავო საფუძვლად მიაჩნია.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვიხელმძღვანელე რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე და 285-ე, "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2, მე-3, მე-6, მე-6[1], მე-7, მე-8, მე-11 და 31-ე მუხლებით;

**დაადგინე:**

1. გაიხსნას გაკოტრების საქმე შპს "რუსთავი-2"-ის მიმართ;
2. შეჩერებულ იქნეს შპს "რუსთავი 2"-ის წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება, ასევე აიკრძალოს შპს "რუსთავი 2"-ის წინააღმდეგ ნებისმიერი სახის იძულებითი აღსრულების ღონისძიების დაწყება;
3. აეკრძალოს შპს "რუსთავი 2"-ს მის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი ქონების (მატერიალური თუ არამატერიალური) რაიმე ფორმით განკარგვა სასამართლოს ნებართვის გარეშე;
4. შპს "რუსთავი 2"-ის საკუთრებაში არსებული ქონების მართვის მიზნით, გაკოტრების მმართველად დაინიშნოს ირაკლი ადეიშვილი, დაბ. 09.10.1974 წელს ქ. რუსთავში, პროფესიით იურისტი, მცხ. ქ. რუსთავი, ფალიაშვილის ქ. N10/13-ში. განესაზღვროს გაკოტრების მმართველს თავისი უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა.
5. დაევალოს შპს "რუსთავი 2"-ის ყველა კრედიტორს, რომ განაცხადოს მოთხოვნები [illegible] 10 დღის ვადაში წარუდგინონ სასამართლოს [illegible]
6. დაევალოს [illegible] შპს "რუსთავი 2"-ის [illegible]
7. [illegible]
8. შპს "რუსთავი 2"-ის გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის დროდ ჩაითვალოს 2004 წლის 11 ივნისი, 17 საათი და 45 წუთი.
9. მოწვეულ იქნეს კრედიტორთა პირველი კრება 2004 წლის 28 ივნისს, 11 სთ-ზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რჩეულიშვილის ქ. N3 ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო;
10. აღნიშნული განჩინება გაეგზავნოს შემდეგ კომერციულ ბანკებს:
ა) ს/ს "ბანკი თბილისი"
ბ) ს/ს "ქართუ ბანკი"
გ) ს/ს "ინტელექტბანკი"
დ) ს/ს "თი ბი სი ბანკი"
ე) ს/ს "საქართველოს კომერციული ბანკი" (საქართველოს);
11. დაევალოს შპს "რუსთავი 2"-ის გაკოტრების მმართველს უზრუნველყოს ამ განჩინების გამოქვეყნება გაზეთ "24 საათში", ასევე [illegible] შპს "რუსთავი 2"-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და გადაცემა საზოგადოებრივ კომპანია "რუსთავი 2"-ის ეთერში.
12. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს განჩინებიდან 12 დღის ვადაში კერძო საჩივრის შეტანით ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში.

*მოსამართლე მამუკა ნოზაძე*

# საკადრო ცვლილებები ძალოვან სტრუქტურებში

## უშიშროების სამინისტროს დაზვერვის დეპარტამენტს ახალი თავმჯდომარე ჰყავს

დეპარტამენტს დღეიდან საგარეო ურთიერთობების სპეციალისტი, 30 წლის ბათუ ქუთელია უხელმძღვანელებს. ის სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, იყო დიდ ბრიტანეთში საქართველოს საგანგებო დესპანი, ბოლო პერიოდში მუშაობდა უშიშროების საბჭოში უსაფრთხოების საკითხებზე.

დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარე გუშინ ჟურნალისტებს და თანამშრომლებს უშიშროების მინისტრის მოადგილემ გიგი უგულავამ წარუდგინა. უშიშროების მინისტრის მოადგილის განცხადებით, ბათუ ქუთელია თავად წარმოადგენს იმ პრიორიტეტულ საკითხებს, რომლის მიხედვითაც შემდგომში იხელმძღვანელებს დაზვერვის დეპარტამენტი. შეგახსენებთ, დაზვერვის დეპარტამენტს"ვარდების რევოლუციის" შემდეგ უკვე მეორე ხელმძღვანელი ჰყავს. ავთანდილ იოსელიანის შემდეგ მისი ხელმძღვანელი ყოფილი საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ვალერი ჩხეიძე იყო, რომელიც, უგულავას თქმით, დროებით კადრების განკარგულებაში რჩება, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ის შინაგან საქმეთა სამინისტროში ჟანდარმერიის უფროსის თანამდებობას დაიკავებს. ახლად დანიშნული თავმჯდომარე დაზვერვის დეპარტამენტში საკადრო და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას ერთდროულად გეგმავს. ბათუ ქუთელია უწყების პრიორიტეტებზე საუბრისგან, ჯერჯერობით, თავს იკავებს.

თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოს ბოლო დროს მრავალი მედლით დაჯილდოებული ლევან მაისურაძე აღარ უხელმძღვანელებს. მას ამ თანამდებობაზე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ირაკლი კლდიაშვილი შეცვლის. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, სად მოუწევს ლევან მაისურაძეს გადანაცვლება, ან შესთავაზეს თუ არა მას სხვა პოსტი.

გუშინ დილით თანამდებობა და საკუთარი კაბინეტი დატოვა თბილისის პრემიერის მოადგილემ გია არევაძემ. იგი შინაგან საქმეთა ახალი მინისტრის მოადგილის სავარძელს დაიკავებს. შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა გუშინ ახალი მოადგილეები დანიშნა. გიორგი არევაძესთან ერთად თანამდებობები დაიკავეს გენერალური პროკურორის ყოფილმა პირველმა მოადგილემ გიორგი ჯანაშიამ და უშიშროების მინისტრის ყოფილმა მოადგილემ ირაკლი კოტეტიშვილმა. რაც შეეხება თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ახალ უფროსს ირაკლი კლდიაშვილს, შინაგან საქმეთა ახალი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის თქმით, ის მოადგილის პოსტსაც შეინარჩუნებს.

გუშინვე, თანამდებობიდან გათავისუფლდა შსს-ს ცენტრალური აპარატის ყველა სამმართველოს უფროსი. "მათგან ნაწილი რეპუტაციის გამო იქნება სისტემიდან დათხოვნილი, ნაწილი კი სხვა თანამდებობაზე დაინიშნება, იმის მიხედვით - თუ რა შესაძლებლობები გააჩნიათ," - აცხადებს ირაკლი ოქრუაშვილი.

*24 საათი*

# აჭარაში რამდენიმე ყოფილი მაღალჩინოსანი დააკავეს

აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა აჭარის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის გარემოცვის ოთხი წევრი დააკავეს.

აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორში მოთავსებულნი არიან აჭარის მინისტრთა საბჭოსა და პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე გიორგი ცინცქილაძე, სარფის საბაჟოს ყოფილი უფროსი ჯუმბერ გოგიტიძე, აჭარის მრეწველობის ყოფილი მინისტრი რევაზ რუსია და ბათუმის პორტის საბაჟოს ყოფილი უფროსი ამირან მახარაძე. პრეზიდენტის რწმუნებულის აჭარის რეგიონში ლევან ვარშალომიძის განცხადებით, ყოფილ მაღალჩინოსნებს ბრალად ედებათ თანამდებობის ბოროტად გამოყენება და სახელმწიფო ქონების არამიზნობრივი ხარჯვა

*მედია-ნიუსი*

# საქართველო "სამეზობლო ინიციატივაში" ჩაერთვება

14 ივნისს ბრიუსელში დაგეგმილ ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით, საქართველო და, მთლიანად, სამხრეთ კავკასია ევროკავშირის "სამეზობლო ინიციატივაში" ჩაერთვება. ევროკავშირის "სამეზობლო ინიციატივა" ეფუძნება ისეთი ღონისძიებების რეალიზაციას, როგორიცაა: ინიციატივაში მონაწილე ქვეყნებისთვის ევროკავშირთან ვაჭრობის პრეფერენციული რეჟიმების მინიჭება; თანამშრომლობის გაძლიერება ტერორიზმისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში; ინიციატივაში მონაწილე ქვეყანათა ინტეგრაცია ევროპულ სატრანსპორტო, ენერგეტიკულ და სატელეკომუნიკაციო ქსელებში, ასევე, სამეცნიერო კვლევათა ევროპულ სივრცეში; ადამიანთა თავისუფალი გადაადგილებისა და კანონიერი მიგრაციის საფუძვლების შექმნა; ევროკავშირის აქტიური მონაწილეობა როგორც კონფლიქტების თავიდან აცილების, ასევე კრიზისულ სიტუაციათა მართვის საკითხებში და სხვა.

*მედია-ნიუსი*

# ვაზიანის ელიტარულ სამხედრო ნაწილში სასმელ წყალს მატლები მოჰყვება

*"ჩვენ გვაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოში ყველაზე პრესტიჟულ, ვაზიანის სამხედრო ნაწილში სასმელ წყალს მატლები მოჰყვება. იქ მსახურობს "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის" ფარგლებში გაწვრთნილი მე-11 ბრიგადა, საიდანაც, ფაქტობრივად, ქართული არმიის მშენებლობა იწყება...", - სამხედრო საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია, ასოციაცია "სამართალი და თავისუფლება" ხელისუფლებისგან მოითხოვს, უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს როგორც სამშობლოში მყოფ, ასევე ერაყში გაგზავნილ ქართველ ჯარისკაცებს. კერძოდ, ასოციაციის წევრები მოითხოვენ, რომ ერაყის საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე ქართველ სამხედროებს მიენიჭოთ ვეტერანის სტატუსი და, შესაბამისად, გაუუმჯობესდეთ სოციალური პირობები.*

**"ჩვენ არაერთხელ გვსმენია თავდაცვის მინისტრისგან, გენშტაბის უფროსისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირებისგან, რომ ქართველი ჯარისკაცები ერაყში საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობენ. და მიუხედავად ამისა, ერაყში წარგზავნილები იღებენ სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილე ჯარისკაცებზე უფრო ნაკლებ ფულად ანაზღაურებას. თუკი საქართველო იღებს გარკვეულ საერთაშორისო ვალდებულებებს, მან ჯეროვნად უნდა დააფასოს ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობა ანტიტერორისტულ ოპერაციაში,"** - განაცხადეს გუშინ პრესკონფერენციის ორგანიზატორებმა. მათი თქმით, საქართველოს ხელისუფლება ერაყში მოსამსახურეებისათვის ვეტერანის წოდების მინიჭებას არ აპირებს და ყოველმხრივ ცდილობს, ეს საკითხი მიჩქმალოს.

ასოციაცია ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჯარისკაცებს თავიანთი პროტესტის საჯაროდ გამოხატვის უფლება არ აქვთ. ვინაიდან მათი სამოქალაქო უფლებები, კანონით, გარკვეულწილად შეზღუდულია.

ასოციაცია "სამართალი და თავისუფლების" ხელმძღვანელის ირაკლი სესიაშვილის თქმით, მათ უშიშროების საბჭოს თვენახევრის წინ მიმართეს, ერაყის ოპერაციებში მონაწილე ჯარისკაცების სოციალური პირობების გაუმჯობესების წინადადებით, და ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯებიც გადაიდგა. შემდეგ საკადრო ცვლილებები განხორციელდა და ასოციაციის წევრებმა, პრობლემის სწრაფად მოგვარების მიზნით, გადაწყვიტეს, პრესკონფერენცია მოეწვიათ და თავიანთი პოზიცია საზოგადოების წინაშე გაეხმაურებინათ. **"თუ სახელმწიფოს არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ამ ადამიანებს გადაუხადოს თანხა, მაშინ მან უარი უნდა თქვას საერთაშორისო ვალდებულების შესრულებაზე",** - ასეთია მათი პოზიცია.

ასოციაციის წევრები იმედოვნებენ, რომ თავდაცვის ახალი მინისტრი, ამ საკითხთან ერთად, გულთან ახლოს მიიტანს ვაზიანის სამხედრო ნაწილში წყალმომარაგებასთან დაკავშირებით წარმოქმნილ პრობლემას.

ასოციაციის ხელმძღვანელის ირაკლი სესიაშვილის ინფორმაციით, ვაზიანში ასევე არსებობს მაღალი რადიაციული ზონა: **"ჩვენ გვესაუბრა რამდენიმე ჯარისკაცი, რომლებიც უკვე ჯანმრთელობას უჩივიან. შესაბამისმა სტრუქტურებმა ეს საკითხი დროულად უნდა შეისწავლონ, ვიდრე საქმე სავალალო შედეგებამდე მივა."**

არმიის აღმშენებლობა საქართველოს პრეზიდენტმა ქვეყნის ნომერ პირველ ამოცანად გამოაცხადა. ამავე პოზიციაზე მტკიცედ დგანან ძველი თუ ახალი თავდაცვის მინისტრები. აქედან გამომდინარე, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასოციაცია "სამართალი და თავისუფლების" მიერ წამოჭრილი საჭირბოროტო საკითხები არ მიიჩქმალება, ხელისუფლება მათ გადაწყვეტაზე უარს არ იტყვის.

*ვერიკო თევზაძე*

# ესტონეთი საქართველოს გვერდში




*ქალბატონებს ერთმანეთის უკეთ ესმით.*

**"ჩვენს ქვეყნებს შორის ისტორიულად ყოველთვის კარგი ურთიერთობა არსებობდა. ესტონეთი ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანი იყო, ვინც საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებას დაუჭირა მხარი,"** - გაგვახსენა გუშინ ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კრისტინა იულონდმა. **"თქვენ, ალბათ, ბევრი მუშაობა მოგიწევთ, მაგრამ იმის იმედი ნამდვილად უნდა გქონდეთ, რომ ევროპა თქვენთან იქნება,"** - მოგვიწოდა და დაგვაიმედა ქალბატონმა იულონდმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, ესტონეთი მზადაა, დაეხმაროს საქართველოს ევროკავშირის "სამეზობლო ინიციატივის" და ნატო-ში წარდგენილი "ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის" (IPAP) საკითხებში. დახმარების სახით, ესტონეთი სამხედრო საკითხებში თავის გამოცდილებასაც გვთავაზობს. საგარეო საქმეთა მინისტრების განცხადებით, ესტონეთის წარმომადგენელი ჩვენს თავდაცვის სამინისტროშიც იმუშავებს მრჩევლის სტატუსით. გარდა ამისა, ორი ქვეყნის ამ უწყებებს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავება და ჩვენი სამხედროების ესტონეთში სტაჟირებაც არის დაგეგმილი.

ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, ესტონეთი თვალს ადევნებდა "ვარდების რევოლუციის" შემდეგ განვითარებულ მოვლენებს და საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას უჭერს მხარს.

თბილისში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტის განმავლობაში მინისტრ კრისტინა იულონდს შეხვედრები პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან და პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან აქვს დაგეგმილი.

*24 საათი*

# შალიკიანის სამფლობელო ისევ შეუვალია

ქუთაისის მერიაში 150 ვაკანტური ადგილია, რომელსაც ქალაქის ხელმძღვანელობა კონკურსის გზით უპირებს შევსებას. კონკურსის მიხედვით დაკომპლექტდება როგორც რიგითი, ასევე ხელმძღვანელი თანამდებობები, რის შედეგადაც მერიის შემადგენლობის სრული გადახალისებაა ნავარაუდევი. ჯერჯერობით 150 ადგილებზე 431 მსურველის განცხადებაა შესული. **"ჩვენი მიზანია კონკურსი მაქსიმალურად ღიად და საჯაროდ ჩატარდეს, რათა ყველა მსურველს შეეძლოს მათი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენა,"** - განაცხადა ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა და საკონკურსო კომისიის ხელმძღვანელმა გია გიორგაძემ. მიუხედავად მისი განცხადებისა, ქუთაისში ინტენსიურად ვრცელდება ხმები, რომ კონკურსი მხოლოდ ფიქციაა და ხელმძღვანელ თანამდებობებზე კანდიდატები უკვე შერჩეული არიან.

აღნიშნულ ხმებს ამყარებს იმ პიროვნებების დღედაღამ ქუთაისის მერიის ტერიტორიაზე ყოფნა, რომელთა მიმართაც აღნიშნული ჭორები ვრცელდება. ეტყობა, აღნიშნულმა ხმებმა რწმუნებულის, დათო მუმლაძის ყურამდეც მიაღწია: **"შევიტყვე, რომ შეფერხებებია კონკურსის მონაწილეთა საბუთების მიღების დროს. რამდენიმე დღის წინ აქ იყო მოსული ქუთაისელი ბიჭი ირაკლი მაჭავარიანი. მას ნათლად აუხსნეს, რომ ყველაფერი წინასწარაა გადაწყვეტილი და არანაირ კონკურსს აზრი არა აქვს. მას ურჩიეს, რომ საბუთები არ შემოეტანა. ვინც კი დადგინდება, რომ ასეთი დამოკიდებულება აქვს კონკურსთან დაკავშირებით, სახელმწიფო სამსახურს ვერასდროს ეღირსება,"** - განაცხადა მუმლაძემ.

კონკურსის პარალელურად ქუთაისის მერიას კიდევ ერთი პრობლემა აქვს. მიუხედავად სამუშაო კაბინეტების სიმცირისა, ყოფილი საკრებულოს წევრის ბონდო შალიკიანი კაბინეტში შესვლას ვერავინ ბედავს. როგორც ამბობენ, შალიაკინი ყველა იმ პირს, ვინც მის კაბინეტში შესვლას დააპირებს, ციხიდან ურეკავს და ემუქრება. თავის დროზე, საკრებულოში არჩევის შემდეგ, შალიკიანმა საკუთარი კაბინეტი ევროპულ სტანდარტზე გაარემონტა. მან მეზობელი კაბინეტიც შეიერთა, სადაც ტუალეტი, შხაპი და ... სამლოცველო ოთახი მოაწყო. ეტყობა, ასეთი კაბინეტი შალიკიანს ციხიდანაც არ ეთმობა. აღნიშნულთან დაკავშირებით დათო მუმლაძე აცხადებს, რომ შალიკიანის მუქარაზე არაფერი სმენია. ამავე დროს, იძულებული ხდება, რომ ბონდო შალიკიანის "კუთვნილი" სველი წერტილი გახსნას და მერიის საზოგადოებრივ ტუალეტად გამოაცხადოს. მუმლაძემ პრესისა და ტელევიზიის თანდასწრებით მოუწოდა მერიის თანამშრომლებს, რომ შალიაკინის ტუალეტით უპრობლემოდ ესარგებლათ.

თავის მხრივ, პრობლემები არ ელევა თავად რწმუნებულსაც. უკვე მეცხრე დღეა, მერიის შესასვლელთან მუმლაძის გადადგომის მოთხოვნით 4 ადამიანი ფეხმოუცვლელად შიმშილობს. გუშინ მთელი დღის განმავლობაში მუმლაძის ოპოზიცია, ავტომობილზე დამაგრებული მეგაფონის საშუალებით, ქუთაისის მოსახლეობას მოშიმშილეთა მხარდამჭერ მიტინგზე იწვევდა. დათქმულ დროს კი, მერიის წინ ასამდე ადამიანი შეიკრიბა. "მუმლაძემ ქუთაისიდან გააძევა ლეგიტიმური ხელისუფლება (მხედველობაში ჰყავთ ქუთაისის წინა მერი ნუგზარ ფალიანი ბ.გ) და მოიყვანა თავისი, რომელსაც ქალაქში არაფერი გაუკეთებია. თუ ეს ხალხი ქალაქში ორი თვე კიდევ დარჩება, ქუთაისი ნაქალაქარს დაემსგავსება... გვინდა ვიფიქროთ, რომ ბოლოს და ბოლოს ხელისუფლება ყურად იღებს ჩვენს თხოვნას და დიალოგზე წამოვა. ჩვენი მოთხოვნები არ გახლავთ რადიკალური," - აცხდებდა გუშინ მიტინგის ერთ-ერთი ორგანიზატორი მერაბ გვაზავა. ისინი დათო მუმლაძის მოღვაწეობის შესასწავლად ხელისუფლებისგან კომისიის შექმნას და ქუთაისის მერის არჩევნების დანიშვნას მოითხოვენ.

გუშინდელ აქციაზე მწერალი ოტია იოსელიანიც გამოჩნდა, მან პარლამენტში ქუთაისელ დეპუტაციას პრობლემის გადასაწყვეტად მეტი აქტიურობისაკენ მოუწოდა. "ყვავმა რომ კაკალი მოიპაროს, დეპუტატმა ის უნდა იცოდეს, ამხელა შიმშილობაა და რატომ არაფერს აკეთებენ? გამოვიდნენ და უთხრან ამ ხალხს, ვინ არის მტყუან-მართალი," - განაცხადა მწერალმა. თავის მხრივ ქუთაისის მოსახლეობის უმეტესობა აღნიშნული შიმშილობის მიმართ ინდიფერენტულ დამოკიდებულებას იჩენს და მოვლენების განვითარებას, ძირითადად, საინფორმაციო საშუალებებით ადევნებს თვალს.

*ბექა სისაური, ქუთაისიდან*

# კახეთი წყალდიდობის ზარალს ითვლის

კახეთში სტიქიისგან მიყენებული ზარალის დადგენა გრძელდება. წინასწარი მონაცემებით, რეგიონმა 8 ივნისს თავს დამტყდარი წყალდიდობის გამო 10 მილიონი ლარით იზარალა. ღვარცოფმა და ნიაღვარმა განსაკუთრებული ზიანი გურჯაანის რაიონს მიაყენა. მწყობრიდან გამოვიდა სასმელი წყლის სათავე ნაგებობები და რაიონი წყლის გარეშე დარჩა. მის აღდგენას კი, როგორც გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ზაზა ნაცვლიშვილი აცხადებს, რამდენიმე კვირა სჭირდება. მანამდე, გურჯაანელებს მინისა და მინერალური კომპანია "ბორჯომისგან" გაგზავნილი წყლის დალევა მოუწევთ. "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია" გურჯაანში სასმელ წყალს ჩაიტანს. ხუთლიტრიან ბოთლებში ჩამოსხმულ ახლადგამოშვებულ "ბაკურიანს" მოსახლეობას გურჯაანის ცენტრში დაურიგებენ. "ეს არის 15 ათასი ლიტრი მინერალური წყალი, თუმცა, იმედი მაქვს, რომ დახმარება მარტო ამით არ შემოიფარგლება", - განუცხადა "24 საათს" კახეთის გუბერნატორმა პეტრე ცისკარიშვილმა. მან იქვე ისიც აღნიშნა, რომ სათავე ნაგებობების აღდგენა სამხარეო ადმინისტრაციის ფონდიდან გამოყოფილი თანხებით მოხდება. უნდა აღინიშნოს, რომ გურჯაანის რაიონში, ძირითადად, ხევისპირა ბინები დაიტბორა. დაზარალებულებს პირველადი დახმარება კახეთის გუბერნატორმა უკვე გაუწია. მიმდინარეობს, აგრეთვე, წყალდიდობით მოშლილი საგზაო მაგისტრალების შეკეთება. ცისკარიშვილს იმედი აქვს, რომ მოსახლეობას, კომპენსაციის სახით, ცენტრალური ხელისუფლებაც დაეხმარება. ეს საკითხი ოთხშაბათს მთავრობის სხდომაზე გავა.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი**. სამხრეთ ოსეთში საქართველოს ხელისუფლების ჰუმანიტარული პოლიტიკა ედვარდ კოკოითს წონასწორობას აკარგვინებს. ასე ახსნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ კოკოითის რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში სტუმრობის მიზეზები. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო დარწმუნებულია, რომ ვინც არ უნდა გაიმარჯვოს 2004 წლის ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში, რესპულიკელებმა თუ დემოკრატებმა, ამერიკის ინტერესი ქართველებისადმი არ განელდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში რუსეთის ელჩის ვლადიმერ ჩხიკვიშვილის განცხადებით, საქართველო-რუსეთის ურთიერთობების გაუმჯობესების მიუხედავად, ორ ქვეყანას შორის "მრავალი საკითხი კვლავაც პრობლემატური რჩება და მათი მოგვარება საქართველომ და რუსეთმა თანაბრად უნდა გადაინაწილონ". "თუ არსებული პრობლემების დარეგულირებაში საქართველოსა და რუსეთის ინტერესები თანაბრად იქნება დაცული, ორივე ქვეყანას ნათელი მომავალი გარანტირებული ექნება", - განაცხადა ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოგვარებაში თანამიმდევრული იქნება, არ აჩქარდება და ერთი თვის განმავლობაში არანაირი კონკრეტული ღონისძიების გატარებას არ გეგმავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროსაბჭოს სტრატეგიული დაგეგმვის დირექტორატის დირექტორი ჟან ლუი ლორანი ვიზიტის ფარგლებში დღეს სახალხო დამცველის ოფისს ეწვია. საკითხები, რომლებიც ომბუდსმენის მოვალეობის შემსრულებელ თემურ ლომსაძესთან საუბრისას წამოიჭრა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმდინარეობას და ძალოვან სტრუქტურებში არსებულ ვითარებას შეეხებოდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის ბოლო სხდომაზე დეპუტატ გოჩა ფიფიას მიერ დაყენებულ მოთხოვნას, მთავრობის წევრთა მიერ მათი მშობლების ეთნიკური წარმომავლობის ღიად დაფიქსირების შესახებ, სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებელმა თემურ ლომსაძემ "ყოვლად სამარცხვინო" უწოდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 14 ივნისს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ფრაქცია "როდინას" 13-კაციანი დეპუტაცია, საქართველოს ხელისუფლების განცხადებების შემდეგ, აფხაზეთში შექმნილ ვითარებას ადგილზე გაეცნობა. სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, დეპუტაცია აფხაზეთში ფრაქციის თავმჯდომარის დიმიტრი როგოზინის ხელმძღვანელობით ჩავა. დელეგაციის შემადგენლობაში იქნება 1989 წლის 9 აპრილს თბილისში, მთავრობის სასახლის წინ მშვიდობიანი მიტინგის დამრბევი გენერალი იგორ როდიონოვიც. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. სახელმწიფო მინისტრი ზურაბ მელიქიშვილი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას გურიაში პრეზიდენტის რწმუნებულის თანამდებობაზე ახალგაზრდა "ნაციონალის", პარლამენტარ ჟანი კალანდაძის შესაძლო დანიშვნასთან დაკავშირებით. **მედია-ნიუსი**

## ოფიციოზი

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №585

*2004 წლის 10 ივნისი ქ. თბილისი*

ი. მერაბიშვილისათვის საქართველოს ვიცე-პრემიერის მოვალეობის დაკისრების შესახებ.

საქართველოს მთავრობის წევრ ივანე მერაბიშვილს დაეკისროს საქართველოს ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №586

*2004 წლის 11 ივნისი ქ. თბილისი*

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განთავსებული ტურისტული ობიექტებისა და ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ფართობების აღრიცხვისა და პრივატიზების პროცესის დასაჩქარებლად სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განთავსებული ტურისტული ობიექტებისა და ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ფართობების აღწერისა და შემდგომში მათი პრივატიზების პროცესის დამყარების მიზნით, "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" და "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონების საფუძველზე:

1. შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

კახა ბენდუქიძე - საქართველოს ეკონომიკის მინისტრი, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი

ალექსანდრე ბეჟანიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი

ილია გოცირიძე - საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტის უფროსი

ეკატერინე გურეშიძე - საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე

დავით ეგიაშვილი - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიწის მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარე

ლევან ვარშალომიძე - საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

საბა კიკნაძე - საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე

რამაზ ოქრუაშვილი - საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი

ერეკლე ქიქოძე - სსიპ "საწარმოთა მართვის სააგენტოს" თავმჯდომარე

შალვა ქოჩლაძე - საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს კოლეგიის წევრი, სამუშაო ჯგუფის აღმასრულებელი მდივანი.

2. სამუშაო ჯგუფმა ორ თვეში უზრუნველყოს:

ა) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტებისა და ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის ფართობების აღრიცხვა და საპრივატიზებოდ მომზადება;

ბ) წინადადებების შემუშავება ტურისტული ობიექტებისა და ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ფართობების პრივატიზების პროცესის ოპერატიულად და ეფექტიანად წარმართვის შესახებ, მათ შორის საპრივატიზებო ნუსხის მომზადება და წარდგენა.

3. ეთხოვოთ ბათუმის მერიას, ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების ხელმძღვანელობას, ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ სამუშაო ჯგუფს.

4. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა კ. ბენდუქიძემ.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №587

*2004 წლის 11 ივნისი ქ. თბილისი*

გ. ჯანაშიას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს გიორგი ჯანაშია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №588

*2004 წლის 11 ივნისი ქ. თბილისი*

გ. არევაძის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს გიორგი არევაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №591

*2004 წლის 11 ივნისი ქ. თბილისი*

ი. კოტეტიშვილის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ირაკლი კოტეტიშვილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

*ზურაბ ჟვანია*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ [illegible], საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი [illegible] ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ქართული ღვინო და ოსური ლუდი ერთ სუფრაზე რიგდებიან

პირველი გვერდიდან

სამინისტროდან გასულ მანქანების კოლონას ცხინვალის გზაზე წინ სახელმწიფო მინისტრის მანქანა მიუძღოდა. არცევის გადასახვევთან გოგა ხაინდრავამ "ბასტი-ბუბუს" "იკარუსებთან" და ზაზა შენგელიასთან ერთად თამარაშენისკენ გააგრძელა გზა, სადაც ბავშვები კონცერტს ელოდებოდნენ.

აქვე დავურთავ, რომ სოფელ ზემო არცევიდან ცხინვალისკენ მიმავალ "განათლების" ავტოკოლონას უკან მობრუნებული "იკარუსები" შემოხვდა, ერგნეთის ბაზრობასთან კი - გოგა ხაინდრავა, რომელმაც ცხინვალის სამშვიდობო საკონტროლო პოსტთან თავისი "უსუსურობა" აღიარა: თამარაშენელი ბავშვები "ბასტი ბუბუს" ვერ მოუსმენდნენ და ვერც წიგნები და კომპიუტერები მონახავდნენ ადგილს ამ რეგიონში - ცხინვალის საკონტროლო პუნქტზე არც ქართულ ტვირთს არ გაუშვებდნენ. თუმცა, გოგა ხაინდრავა საკონტროლო პუნქტზე "გამშვები" მინისტრი არ არის და საერთოდ, შესაძლებელია არსებობდეს ასეთი ფუნქცია?!

ერგნეთის ბაზრობას შლიან და, შესაბამისად, შეშფოთებულმა მოსახლეობამ აღშფოთება ვერ დამალა გუბერნატორის დანახვაზე, რომელიც ალექსანდრე ლომაიას არცევიდან ერგნეთამდე აცილებდა. "მითხარი, რა ვქნა, როგორ ვარჩინო შვილები?" - დედები და მამები პასუხს მიხეილ ქარელისგან ითხოვდნენ. პასუხი კი ასეთი იყო: "ტერიტორიაა დასაბრუნებელი და გაიგეთ, რომ ასეა საჭირო". გაუჭირდებათ შიმშილის შიშით დაზაფრულებს ამ აზრის მიღება, მაგრამ სხვა გზას-



*მიუხედავად სეპარატისტული ხელისუფლების წინააღმდეგობისა, საქართველოს განათლების მინისტრმა მაინც შეძლო ცხინვალის რეგიონში შეღწევა და სკოლებისთვის ინვენტარის ჩატანა.*

დალი კუპრავას ფოტო

აც ვერ ხედავენ.

შიში კი სამხრეთ ოსეთში ქართველებს და ოსებს ერთნაირად დაუფლებიათ. "მშვიდობა გვინდა, კარგად ცხოვრება გვინდა. რატომ შემოიყვანეთ ტანკები?" - ამბობს ერთ-ერთი მასწავლებელი. "ჩვენ დაგვანებეთ თავი, ჯერ სამუშაო ადგილებზე იზრუნეთ. ნუ აღიზიანებთ "იმათ" თქვენი ჩამოსვლით. არ გვინდა არც სასუქი, არც კომპიუტერი. თბილისში რა, უკვე ყველა სკოლაშია?" - საკონტროლო პუნქტიდან გამობრუნებულებს ოსი და ქართველი ახალგაზრდები გაღიზიანებულები გვეკამათებიან.

ვინ არიან "თქვენ", "ჩვენ", "ისინი" - ვფიქრობ და ასე მგონია, რომ ეს ახალგაზრდები ვერ გარკვეულან, რომელი ქვეყნის ხელისუფლება მართავს მათ ქვეყანას.

გუშინ, შემოვლითი გზებით და ადამიანების დახმარებით, ტვირთის დიდი ნაწილი, დანიშნულებისამებრ, რამდენიმე სოფლის სკოლაში მაინც დაბინავდა. მხოლოდ ცხინვალის სკოლების კუთვნილი კომპიუტერები დაბრუნდა თბილისში.

ალექსანდრე ლომაიას ამბავი რომ ვიცი, რაც დაგეგმილი აქვს პირველ სექტემბრამდე, მაინც შეასრულებს: დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში მდებარე 24 ქართულ და შერეულ ოსურ-ქართული სკოლებიდან თექვსმეტს სრულად მოამარაგებს სახელმძღვანელოებით, სასკოლო თვალსაჩინოებებით და საკანცელარიო საქონლით; ამავე სკოლებს კომპიუტერული კლასებითაც აღჭურავს; მაინც შეუთანხმდება სამხრეთ ოსეთის განათლების სამინისტროს და კომპიუტერებით ცხინვალის ათივე საშუალო სკოლას მოამარაგებს.

აი, ასე!

# სააკაშვილი, აჭარა და არჩევნები

პირველი გვერდიდან

სასტუმრო "ოაზისთან", სადაც საპარლამენტო უმრავლესობა პრეზიდენტს ხვდებოდა, მოსახლეობა შეიკრიბა. მათ შორის არ ყოფილან "ნაციონალებთან" დაპირისპირებული "რესპუბლიკელები". აჭარლები პრეზიდენტს იმ პრობლემების გადაჭრას სთხოვდნენ, რომელიც მათ აწუხებდათ. ასე რომ, აჭარაში პრეზიდენტისადმი მოსახლეობის ნდობა 20 ივნისის არჩევნების შედეგებში გადამწყვეტ როლს ითამაშებს.

ამავე დროს, გუშინ პრეზიდენტმა ღია მხარდაჭერა გამოუცხადა აჭარის დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს წევრებს და პირადად მის საკუთარ წარმომადგენელს ლევან ვარშალომიძეს, რომელსაც "რესპუბლიკელები" ყველაზე მეტად არ სწყალობენ.

**"თუ პოლიტიკური მოძრაობა - "სააკაშვილი - გამარჯვებული აჭარა" 20 ივნისის აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში სერიოზულ მხარდაჭერას მიიღებს, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტს აჭარაში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული ლევან ვარშალომიძე დაიკავებს,"** - განაცხადა პრეზიდენტმა, როდესაც ჩაქვში დასასვენებლად ჩასულ საპარლამენტო უმრავლესობას ხვდებოდა. პრეზიდენტის თქმით, ვარშალომიძემ, რომელიც 6 მაისს, აჭარის ავტონომიის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის მოსკოვში წასვლის შემდეგ, სახელმწიფო რწმუნებულად დაინიშნა, კარგად იმუშავა. **"ვარშალომიძემ პოსტებიდან გაათავისუფლა ყველა გაურკვეველი თანამდებობის პირი, პრობლემები დაარეგულირა რამდენიმე რაიონში."**

აჭარის არჩევნების წინ ყველა პარტია მისი სახელით გამოდის, თუმცა ამით ზედმეტად ვერავინ ისარგებლებს - ასეთი კატეგორიული იყო პრეზიდენტი.

ბუნებრივია, ეს სიტყვები "რესპუბლიკელების" მისამართით გაისმა. გავრცელებული ინფორმაციით, პრეზიდენტი სააკაშვილი ამ პარტიის ლიდერებთან შეხვედრას არ აპირებს. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, პრეზიდენტმა უკანასკნელ წუთს საკუთარი გეგმები შეცვალოს და დავით ბერძენიშვილთან გასაუბრება გადაწყვიტოს.

ძნელი სათქმელია, რამდენად შეარბილებს პრეზიდენტის გამოჩენა წინასაარჩევნო დაპირისპირებას, მაგრამ ისიც ცხადია, რომ 20 ივნისს გასამართ არჩევნებს საკმაოდ დიდი გულისყურით დააკვირდებიან როგორც სხვა ქვეყნები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები.

შესაბამისად, აჭარის არჩევნები არა მხოლოდ ლოკალური მნიშვნელობისაა, არამედ მას გაცილებით დიდი ფუნქცია ეკისრება. ქვეყნის დღევანდელმა ხელისუფლებამ იმის დემონსტრირება უნდა მოახდინოს, თუ რამდენად თავისუფალია აჭარელი ამომრჩეველი საკუთარ არჩევანში და რამდენად უზრუნველყოფს რეგიონის ხელმძღვანელობა სამართლიანი არჩევნების გამართვას.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივანი გიზო მჭედლიძე ყველა ბრალდებას (აქაც განსაკუთრებული მინიშნება "რესპუბლიკელებზე" კეთდება) "სრულ აბსურდს" უწოდებს. "აჭარის კანონით უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, რომელიც დროებითმა საპრეზიდენტო საბჭომ მიიღო, მკაფიოდ არის განსაზღვრული, საარჩევნო ადმინისტრაციებში წევრებს ვინ ნიშნავს. უმაღლეს საარჩევნო კომისიას არანაირი შეხება არ აქვს ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებთან და არც მათ დანიშვნა-გათავისუფლების საკითხს წყვეტს. **"ბატონმა დავით ბერძენიშვილმა კანონის კითხვა თუ არ იცის, ეს მისი პრობლემაა,"** - განუცხადა "24 საათს" გიზო მჭედლიძემ.

ამავე დროს, იგი აღიარებს, რომ დღესდღეობით, საარჩევნო ადმინისტრაციებში გარკვეული დაძაბულობა აშკარად სუფევს, თუმცა იმასაც ამბობს, რომ ვითარება იქ ზოგიერთი პარტიის წაქეზების წყალობით იძაბება. მისი თქმით, გაუგებრობა იყო საარჩევნო კომისიების წევრების ხელფასებთან დაკავშირებით. როგორც გაირკვა, მათ რამდენიმე პარტიის წარმომადგენლებმა განუცხადეს, რომ ისინი ხელფასებს ვერ მიიღებდნენ. ამასთან დაკავშირებით, გიზო მჭედლიძე აცხადებს, რომ ხელფასებისთვის თანხები უკვე გადარიცხულია საოლქო საარჩევნო კომისიების ანგარიშებზე და კომისიების წევრები ფულს არჩევნების დასრულების შემდეგ მიიღებენ.

დაბოლოს: გუშინ აჭარის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში გაიმართა წილისყრა და დადგინდა საარჩევნო ბიულეტენებში პარტიების რიგითობა:

1. "ბერძენიშვილი-რესპუბლიკელები"
2. "ახალი კომუნისტური პარტია"
3. "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"
4. "საქართველოს ლეიბორისტული პარტია"
5. "სააკაშვილი - გამარჯვებული აჭარა"
6. "საქართველოს ერთიანი კომპარტია"
7. ბლოკი "ძლიერი აჭარა ერთიანი საქართველოსთვის"
8. "მწვანეთა პარტია"
9. "მერაბ კოსტავას საზოგადოება"

14. "დემოკრატიული სიმართლის პარტია" (პარტიის წარმომადგენლებმა აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიღება იმ რიგითი ნომრით გადაწყვიტეს, რომელიც მათ საპარლამენტო არჩევნების დროს ჰქონდათ).

# "ძლიერი ცენტრი, შედარებით სუსტი რეგიონი და ძლიერი მუნიციპალიტეტი"

გუშინ "საქართველოს ქალაქების თვითმმართველობის კავშირმა" და "კოალიციამ თვითმმართველობისათვის და დემოკრატიისათვის" დეცენტრალიზაციის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების კონცეფციის თაობაზე იმსჯელეს. კონცეფცია კოალიციის მიერ არის შემუშავებული და ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებს ეხება, როგორიცაა ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული რეფორმა, ადგილობრივი თვითმმართველობის მაქსიმალური დეცენტრალიზება.

როგორც "თვითმმართველობის კავშირის" წარმომადგენლები აცხადებენ, დეცენტრალიზაციის პროცესში აუცილებელია ისეთი უმთავრესი პრობლემების გადაწყვეტა, როგორიცაა ტერიტორიული ერთეულების მასშტაბების განსაზღვრა, სადაც უნდა განხორციელდეს თვითმმართველობა, იმის გარკვევა, მოხდება თუ არა ქვეყნის რეგიონალიზაცია და რა ფორმით. კავშირის წევრთა აზრით, ასევე აუცილებლად გასარკვევია მსხვილი ქალაქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მომავალი როლი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ახლებურ მოწყობაში.

ამავე დროს, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლთა აზრით, "უნდა მოხდეს ხელისუფლების ინსტიტუციონალური სტრუქტურის ჩამოყალიბება ყველა დონეზე, ასევე აუცილებლად გასამიჯნია წარმომადგენლობით და აღმასრულებელ შტოებს შორის უფლებამოსილებები და კომპეტენციები".

რაც შეეხება საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებს: "თვითმმართველობის კავშირის" წარმომადგენელთა აზრით, "აუცილებელია საბიუჯეტო სისტემის თვისებრივი ტრანსფორმაცია, ადგილობრივი ბიუჯეტების დამოუკიდებლობის, ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა. გასამიჯნია, ასევე, სახელმწიფოს ხელში არსებული ქონება ხელისუფლების სხვადასხვა დონის ორგანოებს შორის".

არასამთავრობოების მიერ შემუშავებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მოდელი ითვალისწინებს ქვეყნის მმართველობითი "ტვირთის" გადანაწილებას შემდეგი სქემის მიხედვით:

ძლიერი ცენტრი, შედარებით სუსტი რეგიონი და ძლიერი მუნიციპალიტეტი. რეფორმის შედეგად უნდა ჩამოყალიბდეს თვითმმართველობის ორი დონე - მუნიციპალური და რეგიონული.

ამ პროექტის თანახმად, მუნიციპალური თვითმმართველობა მოიცავს ქალაქს - ანუ დღევანდელ რაიონულ ცენტრებს და ქალაქებს, რომლებიც არ შედის რაიონების შემადგენლობაში (თბილისის გარდა), დაბას და მუნიციპალურ ერთეულს - ანუ დღეს არსებულ მსხვილ სოფლებს და სოფლებისა და თემების გაერთიანებას, რომელსაც საერთო თვითმმართველობითი ორგანოები ექნება.

რაც შეხება მეორე დონეს, იგი შუალედური იქნება და მოიცავს რეგიონებს, ავტონომიურ რესპუბლიკებს და, შესაძლოა, მაღალმთიან ზონებს.

ერთი სიტყვით, არასამთავრობოების მიერ შემუშავებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოდელის პროექტი ითვალისწინებს დღეს არსებული რაიონული რგოლების ლიკვიდაციას.

**"საბოლოო ჯამში, მივიღებთ გამსხვილებულ მუნიციპალიტეტებს, რეგიონებს. ორდონიანი სისტემის არსებობა საშუალებას მოგვცემს, მიღწეულ იქნას გარკვეული კომპრომისი, ერთი მხრივ - მუნიციპალიტეტების კომპეტენციებისა და რესურსების ზრდას, ხოლო მეორე მხრივ - მოსახლეობასთან სიახლოვესა და ადგილობრივი ინტერესების დაცვას შორის,"** - ნათქვამია პროექტში.

რაც შეეხება ოფიციალურ პოზიციას, სახელმწიფო კანცელარიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტს უკვე გაეცნენ. მათი თქმით, სახელმწიფო მართვის დეცენტრალიზაციის პროცესი უკვე 2005 წლის პირველი სექტემბრიდან დაიწყება. თუმცა, მანამდე, ბუნებრივია, საჭირო იქნება ცვლილებების შეტანა შესაბამის კანონებში. რაც, თავისთავად, საქართველოს პარლამენტის პრეროგატივაა.

გამორიცხული არ არის, პარლამენტმა თვითმმართველობის შესახებ კანონისათვის საზაფხულო არდადეგებამდე მოიცალოს. როგორც თავად არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ვარაუდობენ, ამ თემაზე მსჯელობა, ყველა ნიშნის მიხედვით, შემოდგომიდან დაიწყება.

*24 საათი*

# "დუმილმა დამღალა"

პირველი გვერდიდან

**"ლადო ჭანტურიამ უკვე სამჯერ მომმართა გადადგომის თხოვნით, თუმცა მაშინ შევძელი, დამერწმუნებინა, არ წასულიყო. ამჯერად კი დავეთანხმები მის გადაწყვეტილებას,"** - განაცხადა გუშინ უზენაეს სასამართლოში მისულმა მიხეილ სააკაშვილმა და ლადო ჭანტურიას ნაბიჯი ასე შეაფასა:

**"ეს არის ძლიერი პიროვნების ძლიერი გადაწყვეტილება. ეს იმ ადამიანის გადაწყვეტილებაა, რომლისთვისაც ცხოვრებაში თანამდებობა არ არის მთავარი, მაგრამ ასეთი თვისებების მქონე ყოველთვის დაიკავებს ახალ თანამდებობას."** პრეზიდენტმა საზოგადოებას ლადო ჭანტურიას ახალი თანამდებობაც ამცნო - პრეზიდენტის მრჩეველი იურიდიულ საკითხებში; მეტიც, ამ დანიშვნას ჭანტურიას ახალი კარიერის დასაწყისი უწოდა.

რა კარიერას ჰპირდება მიხეილ სააკაშვილი იუსტიციის მინისტრისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტებგამოვლილ ლადო ჭანტურიას, ჯერჯერობით, უცნობია. რაც შეეხება ჭანტურიას თანამდებობიდან გადადგომას, ამის თაობაზე ხმების გავრცელება ხელისუფლების ცვლილებისთანავე დაიწყო. ამ ხმების საფუძველი ერთ დროს "სასამართლო რეფორმის მშობლებად" წოდებული მიხეილ სააკაშვილისა და ლადო ჭანტურიას ურთიერთობა გახლდათ. ეს ურთიერთობა კი, როგორც ამბობენ, მას შემდეგ "გაცივდა", რაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და ექსპრეზიდენტ შევარდნაძეს შორის დამყარდა "თბილი" დამოკიდებულება. თუმცა, საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც იშვიათად თუ მალავს საკუთარ აზრს ამა თუ იმ პიროვნების მიმართ, საჯაროდ ლადო ჭანტურიას წინააღმდეგ არასოდეს გამოსულა. სამაგიეროდ, სააკაშვილის თანაგუნდელთა მხრიდან არაერთხელ გამოთქმულა პრეტენზია არა მარტო სასამართლო რეფორმის კრახის, არამედ რეფორმირებული სასამართლოს კორუმპირებულობისა და პოლიტიზებულობის შესახებ. ერთიცაა, ქართული სასამართლოსთვის პოსტშევარდნაძისტულ პერიოდშიც არაერთხელ დაუბრალებიათ პოლიტიკური მოტივით გადაწყვეტილებების მიღება.

მიუხედავად ყველაფრისა, ფაქტია, რომ სასამართლო რეფორმის ხუთი წლისთავისადმი მიძღვნილ გუშინდელ საანგარიშო სხდომაზე, რომელიც, საბოლოოდ, ლადო ჭანტურიას სასამართლო ხელისუფლების სათავეებთან გამომშვიდობებად იქცა, ყოფილმა თანამოაზრეებმა ერთმანეთს მადლობები არ დააკლეს. თავად ლადო ჭანტურიამ მხოლოდ მას შემდეგ გააკეთა გადადგომის შესახებ განცხადება, რაც უზენაესი სასამართლოს სათავეში ხუთწლიანი მოღვაწეობის შედეგები მიმოიხილა და ხარვეზებზეც ისაუბრა:

**"ის, რომ სასამართლოებში კორუფციის შემთხვევები არსებობს, არასოდეს დამიმალავს, მაგრამ სისტემა არ არის კორუმპირებული,** - განაცხადა ლადო ჭანტურიამ, - **მექრთამე მოსამართლე უნდა დავაპატიმროთ - მე ეს არაერთხელ მითქვამს, თუმცა ამ ხუთი წლის მანძილზე არც ერთი მოსამართლე არ დაპატიმრებულა. სამაგიეროდ, დისციპლინარული სამართალწარმოების ფარგლებში 16 მოსამართლე გათავისუფლდა თანამდებობიდან. მარტო მე დისციპლინარულ პასუხისგებაში მივეცი 155 მოსამართლე."**

უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე სასამართლო სისტემის კრიტიკოსებსაც შეეხო: **"იმათ გასაგონად, ვინც მუდმივად სასამართლო რეფორმის წარუმატებლობაზე საუბრობს, მინდა ვთქვა, რომ სასამართლო რეფორმა ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული იყო საქართველოში. ეს მხოლოდ მცირედი იყო იმისა, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა. თქვენ ეს, ბატონო პრეზიდენტო, ყველაზე კარგად მოგეხსენებათ. ეს იმათ გასაგონადაც მინდა განვაცხადო, ვინც ამბობს, რომ 1999 წლიდან თითქოს სასამართლოში არაფერი გაკეთებულა. ამგვარი ადამიანები გულწრფელად მეცოდებიან, რადგან მათ წართმეული აქვთ დანახვის უნარი. მე ისინი მათ ისტორიულ მემკვიდრეებად მიმაჩნია, ვინც არსაკიძეს სვეტიცხოვლის აშენებისთვის მარჯვენა მოკვეთა. ასეთები დღესაც მრავლად არიან საქართველოში და ზოგიერთ მათგანს სასამართლოს ახალი რეფორმის ჩატარების პრეტენზიაც კი აქვს."**

ასეთების ვინაობა ლადო ჭანტურიას არ დაუკონკრეტებია, პერსონალური პრეტენზია კი მხოლოდ პარლამენტარ ელენე თევდორაძეს წაუყენა, რომელმაც საჯაროდ გააკრიტიკა სასამართლოები: **"ქალბატონი ელენე ერთი იმათგანია, რომელიც გამუდმებით აწუხებდა ყველა ინსტანციის მოსამართლეებს, ამიტომ მისგან მომდინარე შენიშვნებს არავითარ შემთხვევაში არ მივიღებ."**

მიუხედავად სხვადასხვა ხარვეზებისა, ლადო ჭანტურია მიიჩნევს, რომ "საქართველოს რეალობაში ყველაზე დამოუკიდებელი სასამართლოს ხელმძღვანელი" იყო, მაგრამ...

**"უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე ამოვწურე ჩემი შესაძლებლობები. ყველა ნორმალურმა ადამიანმა უნდა იცოდეს თავისი ადგილი. ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული,** - ამ სიტყვებით ლადო ჭანტურიამ პრეზიდენტს გადადგომის თხოვნით მიმართა, - **ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო თქვენთან, თქვენ გვერდით, ჩემს კოლეგებთან ერთად ახალი საქართველოს მშენებლობაში მონაწილეობის მიღება. მზად ვარ, ჩემი წვლილი მომავალშიც შევიტანო ამ საქმეში. დაიწყო ახალი ეპოქა ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში და დიდი სურვილი მაქვს, ამაში უფრო აქტიური მონაწილეობა მივიღო, რაც შეუძლებელია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე ყოფნით, რადგან ამ თანამდებობაზე მყოფს დუმილი, დუმილი და კიდევ ერთხელ დუმილი მოეთხოვება. გულწრფელად გეტყვით, დუმილმა დამღალა და დამღალა გაუთავებელმა და დაუმსახურებელმა ლანძღვა-გინებამ."**

**"მადლობა იმისთვის, რომ მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, მიუხედავად იმისა, რომ სისტემა შორს არის სრულყოფილებისგან, ჩვენ შევქმენით პირველი პროფესიონალური სისტემა საქართველოში,** - დაემშვიდობა მიხეილ სააკაშვილი ლადო ჭანტურიას და სამომავლო გეგმები დასახა, - **ჩვენი, ყველას ამოცანაა, მოვახერხოთ ამ სისტემის უკეთ ამუშავება და იმ პრობლემების აღმოფხვრა, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს. აღვუდგინოთ ჩვენს ხალხს სამართლიანობის რწმენა."**

ვის დააკისრებს საქართველოს პრეზიდენტი ამ უმნიშვნელოვანეს მისიას, ანუ ვინ არის კულუარებში დასახელებულ რამდენიმე პერსონას შორის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის რეალური კანდიდატი, ჯერჯერობით, მკაცრად გასაიდუმლოებულია.


www.klm.com

ჩაერთეთ პროგრამაში „მფრინავი ჰოლანდიელი“

WORLDWIDE KLM nwa RELIABILITY

გააორმაგეთ თქვენს მიერ დაგროვილი საჰაერო მილები - შეიძინეთ ერთი ბილეთი და მიიღეთ მეორე უფასოდ!*

*დღეიდან დაჯავშნილ ყველა ბილეთს გაურმაგდება საჰაერო მილები. გამგზავრება თბილისიდან ივლისის ბოლომდე.

ავიაკომპანია „კა ელ ემი“ აცხადებს სპეციალურ გასაცნობ ფასებს:

393 აშშ დოლარიდან

ბილეთის შეძენის ბოლო ვადა - 15 ივნისი, გაფრენის ბოლო ვადა - 31 აგვისტო

კა ელ ემი ჰოლანდიის სამეფო ავიახაზები
მისამართი: ხიდის ქ. 1
ტელ.: 92 00 23, 92 00 73
ფაქსი: 92 28 68

KLM Royal Dutch Airlines


# "ჩარჩო ხელშეკრულებაზე" მუშაობის ახალი ეტაპი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი რუსეთ-საქართველოს შორის "ჩარჩო ხელშეკრულების" პროექტზე რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელად იგორ სავოლსკის დანიშვნას დადებითად შეხვდა. ქართული მხარე კმაყოფილია, რადგან "მეგობრობის, კეთილმეზობლობის, თანამშრომლობისა და ურთიერთუსაფრთხოების ხელშეკრულების" პროექტზე ქართული და რუსული მხარეების მოლაპარაკებები ვადაში საკმაოდ გაიწელა. ზურაბიშვილის განმარტებით, მხარეებს კონსულტაციები, დაახლოებით, ერთი წელია არ გაუმართავთ. როგორც ჩვენი საგარეო უწყების ხელმძღვანელები მიიჩნევენ, ამ საკითხთან დაკავშირებით 10-11 ივნისისთვის დაგეგმილი შეხვედრები, შესაძლოა, მცირე ხნით გადაიდოს, მაგრამ უახლოეს პერიოდში მაინც გაიმართება.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი იგორ სავოლსკი, ამავე დროს, რუსეთ-საქართველოს შორის სამხედრო თემატიკაზე ოფიციალური რუსეთის წარმომადგენელი იქნება. რუსეთის მხარე მოელის, რომ ეს მოლაპარაკებები, რომელზეც რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის ვადები და პირობები განიხილება, მომავალ კვირას განახლდება.

*24 საათი*

## შესწორება

გაზეთ "24 საათის" 5 და 8 ივნისის ნომრებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ სასწავლო გეგმების ჯგუფის წევრების ვაკანსიებში გაიპარა უზუსტობა: პუნქტში "**კვალიფიკაცია და მოთხოვნები**" ამოღებულ უნდა იქნას მე-4 მოთხოვნა "ინგლისური ენის კარგი ცოდნა".

# საგრანტო პროექტები ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებას ელოდება

გუშინ კახეთის რეგიონში "სასოფლო-სამეურნეო კვლევა-დანერგვისა და კონსულტირების პროექტის" ფარგლებში საკონკურსო გრანტების სისტემით დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობა შეამოწმეს მსოფლიო ბანკისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის წარმომადგენლებმა.

აღნიშნული პროექტი, რომელიც მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს და რომლის საერთო ბიუჯეტი 7,5 მილიონი აშშ დოლარია, გრანტების პროგრამას მთელი საქართველოს მასშტაბით ახორციელებს. 2001 წლიდან დღემდე 157 საგრანტო პროექტი დაფინანსდა, რომელთა დიდი ნაწილიც (38 პროექტი - საერთო ღირებულებით 800 ათასი აშშ დოლარი) კახეთის რეგიონში მიმდინარეობს.

ცენტრის ხელმძღვანელის რევაზ ასათიანის განცხადებით, საგრანტო პროექტების მთავარი მიზანია მეცნიერებისა და პრაქტიკოსების კონსოლიდირებული მუშაობა, რაც საუკეთესო ეფექტს იძლევა. მსოფლიო ბანკის გადაწყვეტილებით, თუ მას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დადებითი პოზიციაც დაემატება, გრანტების გაცემა მომავალ წელსაც გაგრძელდება.

*24 საათი*

# ხელისუფლება ინვესტიციების მოსაზიდად სპეციალურ საბჭოს ქმნის

*მთავრობა აქტიურად ირწმუნება, რომ მისი მთავარი პრიორიტეტი ინვესტიციების მოზიდვაა. უკვე არაერთხელ ითქვა, რომ ხელისუფლება ინვესტიციების მოსაზიდად სპეციალური საბჭოს შექმნასაც აპირებს, თუმცა ჯერ მხოლოდ საბჭოს შექმნის იდეა არსებობს. ცნობილია ისიც, რომ მას პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია უხელმძღვანელებს, საბჭოს სამდივნოს კი სათავეში ეკონომიკის მინისტრი კახა ბენდუქიძე ჩაუდგება. საინვესტიციო-საკონსულტაციო საბჭოს მიზნები და ამოცანები უკვე განსაზღვრულია, თუმცა, ჯერჯერობით, დებულება დამტკიცებული არ არის.*

სოფიკო ოხანაშვილი

პრემიერ-მინისტრის "მეურვეობის" ქვეშ არსებული საინვესტიციო-საკონსულტაციო საბჭოს მიზანი იქნება, ხელი შეუწყოს საქართველოში ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას, შექმნას ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი პირობები და მოამზადოს რეკომენდაციები და წინადადებები საქართველოში კერძო სექტორის განვითარებისთვის. ამასთანავე, საბჭოს ერთ-ერთი ამოცანა იქნება საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნითა და ადმინისტრაციული ბარიერების აღმოსაფხვრელად შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება და მისი შესრულების მონიტორინგი, ინვესტიციათა მოზიდვის მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორებთან მჭიდრო თანამშრომლობა, საინვესტიციო პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და წინადადებების მომზადება. საბჭო მოამზადებს რეკომენდაციებს ქვეყანაში არსებულ საგადასახადო და სხვა მარეგულირებელ აქტებში შესაძლო ცვლილებების შეტანისთვის. ასევე განიხილავს საქართველოში მოღვაწე ინვესტორების წინაშე არსებულ პრობლემატურ საკითხებს. საბჭო ასევე იზრუნებს არსებული პრობლემების გადასაჭრელად სათანადო რეკომენდაციების შემუშავებაზე და ქვეყნის შესაბამის უწყებებთან, ორგანიზაციებთან ერთობლივი თანამშრომლობით ქმედითი ღონისძიებების გატარებაზე. დებულების პროექტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილია, განიხილოს და მოისმინოს ინფორმაცია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორი ქვეყნების მიერ დაფინანსებული საინვესტიციო პროექტების შესახებ და წარმოადგინოს შესაბამისი წინადადებები ინვესტიციათა მოზიდვის მიზნით.

საბჭო დაკომპლექტდება როგორც ხელისუფლების, ასევე კერძო სექტორის სულ 19 წარმომადგენლით. საინვესტიციო საბჭოში გაწევრიანების სურვილი გამოთქვა ევრობანკის პრეზიდენტმა ჟან ლემიერმა.

ამ სტრუქტურის დაფუძნება მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი მოთხოვნაა.

რევოლუციამდე, ოფიციალური ვერსიით, საინვესტიციო გარემოს ქვეყანაში პრეზიდენტთან არსებული სოციალური ინვესტიციების ფონდი არეგულირებდა. ეკონომიკის სამინისტროს საინვესტიციო და საინოვაციო პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის დიმიტრი გულისაშვილის თქმით (ძველი ხელისუფლების დროს გულისაშვილი სოციალური ინვესტიციების ფონდში მუშაობდა), ეს ფონდი უფრო მაკოორდინირებული ორგანო იყო, რომლის მთავარი მიზანიც დონორთა კოორდინაცია და მათი დახმარება იყო. რაც შეეხება ახალ საინვესტიციო საკონსულტაციო საბჭოს, მისი წინამორბედისგან განსხვავებით, იგი კერძო სექტორის წარმომადგენებითაც იქნება დაკომპლექტებული.

შარშან სოციალური ინვესტიციების ფონდმა მსოფლიო ბანკისა და უცხოური ინვესტიციების საკონსულტაციო სამსახურის - FIAC-ის მხარდაჭერით ჩაატარა სპეციალური კვლევა, რომლის მიზანიც იყო ინვესტიციების სფეროში ბარიერების აღმოფხვრის ხელშეწყობა. კვლევაში, ადგილობრივი სპეციალისტების გარდა, უცხოელი ექსპერტებიც მონაწილეობდნენ. ამჟამად ეს კვლევა მსოფლიო ბანკის სათაო ოფისშია გაგზავნილი. თუ მსოფლიო ბანკი დოკუმენტს დაამტკიცებს, მაშინ იგი საქართველოს მთავრობას წარედგინება. ეკონომიკის სამინისტროს საინვესტიციო და საინოვაციო პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის თქმით, სწორედ ეს დოკუმენტი დაედება საფუძვლად საბჭოს სამოქმედო გეგმას.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "თბილგაზი" თბილისის უბნებისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების აღდგენის პროცესს განაგრძობს. ერთკვირიანი ინტერვალით ბუნებრივი აირის მიწოდება აღუდგებათ დიღმის, გლდანი-ნაძალადევის და ისანი-სამგორის რაიონებს. დიღმისთვის ბუნებრივი აირის მიწოდება 7 ივნისიდან დაიწყო, ხოლო 14 ივნისისათვის დაგეგმილია გაზის მიწოდება გლდანი-ნაძალადევის რაიონისთვის, ერთი კვირის შემდეგ კი ბუნებრივ აირს ისანი-სამგორის რაიონი მიიღებს. "თბილგაზის" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, იმ კორპუსების მაცხოვრებლებს, რომელთა დავალიანება 1000 ლარს აჭარბებს, ბუნებრივი აირის მიწოდება არ აღუდგებათ. შემოდგომიდან კი "თბილგაზი" უკვე აბონენტთა ინდივიდუალური გამორთვის სისტემაზე გადავა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საერთაშორისო სავაჭრო პალატის მსოფლიო 35-ე კონგრესის მონაწილე უცხოელი ბიზნესმენები საქართველოთი დაინტერესდნენ და ახლო მომავალში საქართველოში სტუმრობა გადაწყვიტეს. კონგრესზე გლობალური ეკონომიკის წინაშე მდგარ სხვადასხვა პრობლემებს შორის განიხილებოდა განვითარებად ქვეყნებში ვაჭრობის ხელშეწყობისა და ინვესტიციების წახალისების გზები. **პრაიმ-ნიუსი**

**ს.ს. "თელასი"**
**გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის მასალა:**

| | |
|---|---|
| **საკლემე ბლოკი ლითონის 2-ანი -** | **1207ც** |
| **საკლემე ბლოკი ლითონის 3-ანი -** | **1005ც** |
| **მომჭერი დამიწე.ღეროს DES-30 –** | **5144ც** |
| **ბოქლომი 63მმ (ჩინური) - 2383ც** | |
| **ხარიხა კაბ. დამჭ. პლასტმას 90მმ -** | **7230ც** |
| **დამჭიმი საჰაერო კაბელის -** | **2175ც** |
| **ჭანჭიკი "U"-ფორმის 8მმ -** | **4493ც** |

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მასალა უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მოგვმართონ ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53; დატოვონ თავიანთი შემოთავაზებები სს "თელასის" კანცელარიაში ან მობრძანდნენ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;

თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 16 ივნისის.

# ერთიან ეკონომიკურ სივრცეში - აზერბაიჯანთან ერთად

ნიკა მარიამიძე

*საქართველო და აზერბაიჯანი ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნაზე საუბრობენ. ეს განზრახვა გუშინ, სასტუმრო "ქორთიარდ-მარიოტში", საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკურ ურთიერთობათა სამთავრობთაშორისო კომისიის პირველი სხდომაზე გახმაურდა. სხდომის ბოლოს ხელი მოეწერა ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობთაშორისო კომისიის ოქმს, რომელშიც ყურადღება ორი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობების ყველა მიმართულების განვითარებაზეა გამახვილებული, მათ შორის - სარკინიგზო გადაზიდვებთან დაკავშირებულ თანამშრომლობაზეც.*



*სხდომის ბოლოს ხელი მოეწერა ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობთაშორისო კომისიის ოქმს, რომელშიც ყურადღება ორი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობების ყველა მიმართულების განვითარებაზეა გამახვილებული.*

**"საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკურ ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან აზერბაიჯანი და საქართველო ერთად მიიწევენ ევროპული ინტეგრაციისაკენ,"** - განაცხადა გუშინ სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ. მისი ინფორმაციით, დღეისათვის საქართველო-აზერბაიჯანს შორის სავაჭრო ბრუნვა 100 მილიონ დოლარს აჭარბებს, რაც გაცილებით ნაკლებია ამ ორი ქვეყნის რეალურ რესურსებთან შედარებით.

ვითარების გამოსწორებისთვის პრემიერ-მინისტრი აუცილებლად მიიჩნევს აზერბაიჯანისა და საქართველოს ეკონომიკის ჰარმონიზებას. **" ჩვენ განვიხილავთ სარკინიგზო გადაზიდვების, ენერგეტიკის, ვაჭრობის, საბაჟო სატარიფო პოლიტიკის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. აზერბაიჯანი და საქართველო ინვესტორებისა და საერთაშორისო პარტნიორებისათვის მიმზიდველ ქვეყნებად უნდა იქცნენ. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩვენს მიერ ხელმოწერილ ოქმში დაფიქსირებული საკითხები,"** - განაცხადა გუშინ ჟვანიამ.

გუშინდელ სამთავრობოთაშორისო სხდომაზე მხარეებმა იმ საკითხების განხილვას მიჰყვეს ხელი, რომლებიც 14 ივნისს, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის საქართველოში ვიზიტისას, უშუალოდ აზერბაიჯანის პირველ პირთან უნდა შეთანხმდეს. სხვა საკითხებთან ერთად, ალიევის ვიზიტისას საქართველოსა და აზერბაიჯანის სარკინიგზო ტრანსპორტის კოორდინირებული მუშაობის საკითხიც უნდა გადაიჭრას. იქვე, ხელი მოეწერება ხელშეკრულებას შესაბამის უწყებებს შორის. შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანი მიზანშეწონილად მიიჩნევს სატრანზიტო გადაზიდვების ტარიფის შემცირებას. ეს საკითხი გუშინ საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკურ ურთიერთობათა სამთავრობთაშორისო კომისიამაც წამოწია.

აზერბაიჯანის დელეგაციის ხელმძღვანელის, აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილის აბას აიდინ ოღლი აბასოვის განცხადებით, ეს აუცილებელი პირობაა ორი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისთვის, რადგან ტარიფების ზრდა გადაზიდვების მოცულობის შემცირებას იწვევს, რაც არც ერთი სატრანზიტო ქვეყნის ინტერესებში არ შედის.

აბასოვის განცხადებით, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობები უკვე არსებობს და ქვეყნები სტრატეგიული პარტნიორები არიან. **"ჩვენ ვთანამშრომლობთ ისეთ მნიშვნელოვან პროექტებზე, რომლებიც მსოფლიოს ყურადღებას იმსახურებს. ესენია აბრეშუმის გზა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტი და შაჰდენიზი-ერზერუმის გაზსადენის პროექტი,"** - განაცხადა აბასოვმა. მისივე თქმით, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის უნდა განვითარდეს კომუნიკაციის სისტემები, რაც ქვეყნების განვითარებისათვის მნიშვნელოვანი იქნება.

დაბოლოს, გუშინ მხარეები ეკონომიკურ საკითხებზე მსჯელობით არ შემოფარგლულან. აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ კმაყოფილება იმასთან დაკავშირებითაც გამოთქვა, რომ საქართველოში აზერბაიჯანის თეატრს კარგი პირობები აქვს შექმნილი, თბილისში კი მალე ჰეიდარ ალიევის სახელობის პარკი გაიხსნება, სადაც აზერბაიჯანის ექს-პრეზიდენტის ძეგლსაც დადგამენ.

# კიდევ 3,3 მილიონი ევრო საქართველოს ენერგოსექტორისთვის

გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (KFW) საქართველოს ენერგოსექტორის ვალის რესტრუქტურიზაციის ხელშესაწყობად ახალი გრანტი - 3,3 მილიონი ევრო გამოყო. საგრანტო ხელშეკრულება გუშინ კანცელარიაში საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა, სახელმწიფო მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა და KFW-ის მმართველ დირექტორთა საბჭოს წევრმა ინგრიდ მატეუს მაიერმა გააფორმეს.

KFW საქართველოსთვის უკვე კარგად ნაცნობი პარტნიორია. მის მიერ დაფინანსებულ პროექტებს შორისაა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის პროგრამა, პროექტი "კადასტრი და მიწის რეგისტრაცია II", მიწისძვრით დაზარალებულთა პროგრამა, ტუბერკულოზის კონტროლის ზერეგიონალური პროგრამა, ბორჯომის ეროვნულ პარკში სამუშაო ადგილების შექმნის პროგრამა, კომუნალური ინფრასტრუქტურის პროგრამა (ფაზა-1) და ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა.



ვახო ბასელიას ფოტო

*საგრანტო ხელშეკრულება გუშინ კანცელარიაში გაფორმდა.*

ახალი დახმარების ფარგლებში გათვალისწინებულია ენერგოკომპანიებსა და სახელმწიფო სექტორს შორის წარმოქმნილი ვალის გასტუმრების მექანიზმის შექმნა. კერძოდ, საქართველოში შეიქმნება ენერგოვალების მომსახურების სააგენტო, რომელსაც გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი დააფინანსებს და რომელიც ენერგოსფეროში ვალების დაფარვის მექანიზმს შეიმუშავებს.

გრანტით გათვალისწინებულია საქართველოს ენერგოსექტორში მოქმედი სუბიექტების ურთიერთდავალიანებების შეფასება და ვალის ტვირთის შემსუბუქებისკენ მიმართული მოკლე თუ საშუალოვადიანი ღონისძიებების შემუშავება.

ენერგეტიკის ვალების მომსახურების სააგენტო, რომელიც გრანტის მეშვეობით შეიქმნება, საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდება, ენერგეტიკის ვალებს აღწერს და საწარმოების რეაბილიტაციის გეგმას შეიმუშავებს. ამასთან, სააგენტო საერთაშორისო აუდიტორ კომპანიებს დაიქირავებს და თუ აღმოჩნდა, რომ ვალები ხელოვნურად არის წარმოქმნილი, სასამართლოში გაასაჩივრებს, სათანადო გადაწყვეტილების მიღებისთანავე კი - ჩამოწერს.

ენერგოვალების მომსახურების ახალი სააგენტო დარგის როგორც საგარეო, ასევე საშინაო ვალებზეც იმუშავებს.

ენერგოვალების სააგენტოს გარდა, გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი საქართველოში ექსპერტთა ფონდის ჩამოყალიბებასაც დააფინანსებს. ამისთვის ქართულ მხარეს 2,5 მლნ. ევრო გადაეცემა.

*24 საათი*

# რა ხდება იზოტოპების ინსტიტუტში?

*იზოტოპების ინსტიტუტის დირექტორსა და თანამშრომელთა ერთ ნაწილს შორის დაპირისპირება ზენიტშია. ადმინისტრაციისა და დირექტორის გადადგომის მოთხოვნით გუშინ მცირერიცხოვანი, მაგრამ ხმაურინი აქცია მოეწყო. აქციის მონაწილენი იზოტოპების ინსტიტუტის ხელმძღვანელობას საეჭვო ფინანსურ მანიპულაციებსა და ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევაში ადანაშაულებენ. ინსტიტუტის გენერალური დირექტორი თამაზ აბზიანიძე ყველა ბრალდებას აბსურდულს უწოდებს.*

ეთერ მამულაშვილი

საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრის (იზოტოპების ინსტიტუტის) ხელმძღვანელობასა და კოლექტივს შორის ურთიერთობა გასულ წელს დაიძაბა, თუმცა კულმინაციას მან ამ ცოტა ხნის წინათ მიაღწია, როცა დირექციამ საკუთარ თანამშრომლებს ცენტრის ტერიტორიაზე შეკრება და ნებისმიერი ტიპის თავყრილობა აუკრძალა. მეტიც, დირექციის სპეციალური გადაწყვეტილებით, კრების ჩასატარებლად ინსტიტუტის სააქტო დარბაზის გამოყენება კატეგორიულად აიკრძალა. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა მთლიანად პროფკავშირული ორგანიზაციის კომიტეტის წევრებს ეკისრებათ.

**"დირექცია იტოვებს უფლებას, დარღვევის შემთხვევაში მიმართოს შესაბამის უწყებებს",** - ნათქვამია ცენტრის მიერ მიღებულ სპეციალურ განცხადებაში, რაც, იურისტების შეფასებით, რბილად რომ ვთქვათ - არაკანონიერია.

სამართლებლივი განათლების ცენტრის ექსპერტის მერაბ ბასილაიას თქმით, იზოტოპების ინსტიტუტის დირექციის ეს აკრძალვა ანტიკონსტიტუციურია და ის ადამიანის უფლებებს უხეშად არღვევს. **"თავისუფალი შეკრებები და აზრის გამოხატვა საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო ნორმებით არის გარანტირებული",** - განმარტავს ბასილაია.

სწორედ ამ მიზეზით გუშინ ინსტიტუტის თანამშრომლებს საკუთარი მოთხოვნებისა და კონსტიტუციური უფლებების დასაცავად აქციის ჩატარება ცენტრის ტერიტორიიდან საკმაოდ მოშორებულ ტერიტორიაზე მოუხდათ.

თავის მხრივ, ინსტიტუტის დირექტორი თამაზ აბზიანიძე განმარტავს, რომ მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი და მის შენობაში განლაგებული შპს "სი-ფი-აი ჯორჯია" განეკუთვნება განსაკუთრებულ და სტრატეგიულ ობიექტთა რიგს, სადაც ხდება საშიშ ნივთიერებათა წარმოება და აქ რეჟიმის დარღვევა კატეგორიულად იკრძალება. **"ცენტრის დარბაზებში ეს ადამიანები უფრო მეტ დროს ატარებდნენ, ვიდრე სამსახურში. მათი საქციელი ყოველგვარ წესებს არღვევდა, რაც ცენტრის მუშაობას საკმაოდ სახიფათოს ხდიდა",** - განაცხადა "24 საათთან" საუბრის დროს აბზიანიძემ.

მისი თქმით, უკმაყოფილო თანამშრომლების ოცკაციან ჯგუფს ინსტიტუტში პირადი ინტერესები გააჩნიათ - მათ დირექციის "თბილი" სავარძლების ხელში ჩაგდება სურთ.

ცნობისათვის: იზოტოპების ინსტიტუტს, რომლის ანალოგი მთელ მსოფლიოში ერთი-ორია, უკანასკნელი შვიდი წელია, რაც ბიუჯეტიდან არც ერთი თეთრი არ მიუღია. დღემდე ცენტრი სხვადასხვა გრანტებითა და ჰოლანდიელი ინვესტორის წყალობით სულდგმულობს. ინსტიტუტში წარმოებული პროდუქციის საზღვარგარეთ რეალიზაციას უცხოელი ინვესტორი უზრუნველყოფს. აბზიანიძე შიშობს, რომ საპროტესტო აქციები ინვესტორს წასვლის შესახებ გადაწყვეტილებას მიაღებინებს. დაპირისპირებულ თანამშრომელთა თავკაცის გია ახალკაცის მტკიცებით, უცხოური კომპანიის მიერ გამოყოფილი თანხები **"არ იყო ინვესტიცია. ეს იყო პროცენტიანი სესხი, რომელიც ინსტიტუტმა უნდა დააბრუნოს".**

კოლექტივის წარმომადგენლები კი პოზიციებს არ დათმობენ და საქმის გარჩევას სასამართლოში აპირებენ.

# ვიზების გაცემის პროცედურის გართულებამ აშშ-ს ბიზნესი 30 მილიარდი დოლარით აზარალა

*ამერიკული სავაჭრო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ 2002 წლის ივლისიდან ხელისუფლების მიერ სხვა ქვეყნის ბიზნესმენებისთვის ვიზების გაცემის პროცედურის გაჭიანურების გამო ამერიკულმა კომპანიებმა 30 მილიარდზე მეტი დოლარი დაკარგეს. აქედან, 25,5 მილიარდი დოლარი - მოგებაზე, ხოლო 5,15 მილიარდი დოლარი კი არაპირდაპირ ხარჯებზე მოდის. გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ორგანიზაციის 734 წარმომადგენელმა, მათ შორის იყვნენ წარმოებისა და ტექნოლოგიების ასოციაცია და შიდა ვაჭრობის ეროვნული საბჭო.*

სოფო თბილელი

Santangelo Group-ის წარმომადგენლისა და კვლევის ერთ-ერთი მონაწილის ჩარლზ სანტაგელოს განცხადებით, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ, ანუ მაშინ, როდესაც კონგრესმა განხორციელებული ტერაქტების საპასუხოდ ვიზის გაცემის პროცედურა გაამკაცრა, "მკვეთრად გაიზარდა" ისეთი კომპანიების რაოდენობა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ "ახალი" სავიზო რეჟიმი პირდაპირ და უარყოფითად აისახება მათ ბიზნესზე. სანტაგელოს შეფასებით, აშშ-ს ხელისუფლებამ არ გამოყო საკმარისი სახსრები იმისათვის, რომ უსაფრთხოების ზომების გაძლიერებას ამერიკული ბიზნესისათვის არ ევნო.

ანგარიშში მოყვანილია "ბოინგებთან" დაკავშირებული მაგალითი. გამოკვლევის თანახმად, ბოინგები "ჩარჩნენ და ახლაც გაუნძრევლად დგანან" სიეტლის ასაფრენ ბილიკზე მხოლოდ იმის გამო, რომ უცხოელ მყიდველებს არ შეეძლოთ ვიზის მიღება მფრინავებისთვის, რათა ეს ნაყიდი ბოინგები თავის ქვეყანაში ჩაეყვანათ. მკვლევარების ვარაუდით, შესაძლოა, Motorola-მ დაკარგოს 10 მილიონი დოლარის ღირებულების კონტრაქტი, რომელიც ვიეტნამის ხელისუფლებისთვის რადიოსადგურის დამონტაჟებას გულისხმობს. ანგარიშში მოტანილი ერთ-ერთი მაგალითით, Lucent Technologies-იც გადააწყდა 14 ჩინელი თანამშრომლისთვის ვიზის მიღებასთან დაკავშირებულ პრობლემას, რომლებიც კომპანიამ კვალიფიკაციის ასამაღლებლად მიიწვია.

მკვლევარების დასკვნით, ვიზების დროულად მიღებისას ყველაზე დიდი სირთულეები ჩინეთის, ინდოეთისა და რუსეთის განმცხადებლებს ექმნებათ. სამეულს მოჰყვება მალაიზია, ინდონეზია და სამხრეთ კორეა.

გასულ კვირას საკონსულო საკითხებში სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ მორა ხარტიმ ვიზების მისაღებად შესული განაცხადების შესწავლის ვადების შემცირებასთან დაკავშირებით გააკეთა განცხადება. მისი ინფორმაციით, გასულ წელს ხელისუფლებამ შვიდ მილიონზე მეტი არაიმიგრაციული ვიზა გასცა. ხარტიმ იქვე ისიც დაუმატა, რომ შარშან განაცხადების მხოლოდ 2,2 პროცენტი გაიგზავნა ვაშინგტონში შემდგომი დამატებითი შემოწმებისთვის, ხოლო განაცხადების 80 პროცენტს პასუხი სამი კვირის ვადაში გაეცა.

საკონსულო საკითხებში სახელმწიფო მდივნის პრესმდივნის კელი შენონის განცხადებით, გასულ წელს ხელისუფლებამ აამოქმედა ახალი სისტემა, რომლის თანახმადაც, შესაძლებელი გახდა ვიზის ერთი წლის განმავლობაში განახლება და ყოველი გამგზავრებისთვის აღარ იყო საჭირო ვიზის მისაღებად ახალი განაცხადის წარდგენა.

სავაჭრო ორგანიზაციებმა, რომლებმაც ზემოთ აღნიშნული კვლევა დაასპონსორეს, რეკომენდაციათა პაკეტიც მოამზადეს. ერთ-ერთი რეკომენდაცია ვიზების გაცემასთან დაკავშირებული ვადის 30 დღით შემცირებას და იმ კომპანიებისთვის, რომლებიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოღვაწეობენ, "ოქროს ბარათის" შემოღებას გულისხმობს.

# "დიდი რვიანის" სამიტის შედეგები



დიდი რვიანის სამიტის მონაწილეები სამახსოვრო ფოტოს იღებენ.

REUTERS

გუშინ აშშ-ს ჯორჯიის შტატში მსოფლიოს დიდი რვიანის სამიტი დასრულდა. სამყაროს ყველაზე ძლიერი რვა სახელმწიფოს ლიდერები ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობასა და აფრიკის ღარიბი ქვეყნებისათვის ვალების ჩამოწერის პროგრამის გაგრძელებაზე შეთანხმდნენ. რაც შეეხება ერაყის საკითხზე აშშ-სა და საფრანგეთის განსხვავებულ პოზიციებს, პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო ძალების ჩართვა ერაყულ კამპანიაში "არარეალისტური" ნაბიჯი იქნება. როგორც ცნობილია, საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი ერაყში ნატო-ს ძალების განლაგებას უჭერდა მხარს. ამდენად, ეს საკითხი კვლავ ღიად რჩება.

ახლო აღმოსავლეთის საკითხთან დაკავშირებით კი ბუშმა აღნიშნა, რომ კონფლიქტის ორივე მხარე - ისრაელის და პალესტინის ლიდერები კონსენსუსის მიღწევის და მშვიდობის დამყარების აუცილებლობას აშკარად გრძნობენ. აფრიკის ქვეყნებს კი მსოფლიოს რვა ლიდერი ვალების აპატიებს და უახლოესი ორი წლის განმავლობაში ფინანსური ვალდებულებებისგან ათავისუფლებს. ასევე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ათობით ათასი სამშვიდობო ჯარისკაცის მომზადების თაობაზე აფრიკის კონფლიქტურ რაიონებში გასაგზავნად.

რვიანის ლიდერები მსოფლიოს 27 ულატაკეს ქვეყანას 2006 წლამდე ფინანსურად დაეხმარებიან. ამ 27 ქვეყნიდან ოცდასამი აფრიკაში მდებარეობს.

თავდაპირველად, პროგრამით გათვალისწინებული იყო ამ ღატაკი სახელმწიფოებისათვის 100 მილიარდი დოლარის ოდენობის ვალის ჩამოწერა. თუმცა, სამიტზე აღინიშნა, რომ ამ პროგრამის მხოლოდ მესამედია შესრულებული და უმრავლეს ქვეყნებში ეკონომიკური ვითარება 25 წლის განმავლობაში უკეთესობისკენ არ შეცვლილა. სამიტის შედეგებზე ვერც აფრიკის ლიდერების საერთაშორისო სავალუტო ფონდისადმი გაგზავნილმა სათხოვარმა წერილმა იმოქმედა. **"ჩვენ მოვითხოვთ ვალების ასი პროცენტით ჩამოწერას. ეს კი მთელი მსოფლიო თანამეგობრობის ინტერესებში შედის,"** - განაცხადა ნიგერიის პრეზიდენტმა ოლუსეგინ ობასანჯომ. თუმცა, რვიანის სამიტის შედეგები კარდინალურად განსხვავდება ამ წერილში დაყენებული მოთხოვნისაგან.

ჯორჯიის შტატში შეკრებილმა ლიდერებმა ასევე განიხილეს სუდანში შექმნილი ჰუმანიტარული კრიზისი. კერძოდ, დასავლეთ სუდანში, დარფურის პროვინციაში, სადაც სამოქალაქო ომია გაჩაღებული, შიმშილისაგან ათასობით ადამიანი იტანჯება. დარფური, ჰუმანიტარული და ეთნიკური კრიზისის თვალსაზრისით, მსოფლიოს ერთ-ერთ უმწვავეს კერად შეფასდა.

**"ჩვენ კონფლიქტში ჩართულ ყველა მხარეს ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტისაკენ მოვუწოდებთ, რათა საქველმოქმედო საერთაშორისო ორგანიზაციებს რეგიონში ჰუმანიტარული დახმარების შეტანის საშუალება მიეცეთ. ასევე დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ლტოლვილების დაბრუნება მშობლიურ ტერიტორიებზე,"** - განაცხადეს სამიტის მონაწილე ლიდერებმა.

აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში "დიდი რვიანის" სამიტზე ერაყისათვის ვალების ჩამოწერის ინგლისურ-ამერიკული ინიციატივით წარსდგა და ინდუსტრიული ქვეყნის ლიდერებს ამ წამოწყებაში მხარდაჭერა სთხოვა. სანაცვლოდ კი, ბუშმა "დიდი რვიანის" მეთაურებს აღუთქვა, რომ შეერთებული შტატები ღარიბეს ქვეყნებს (აფრიკისა და აზიის 41 ქვეყანა) საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკთან შუამდგომლობას გაუწევს მათ წინაშე არსებული ვალების ჩამოწერასთან დაკავშირებით. შეგახსენებთ, რომ ერაყის დავალიანება ამ დროისათვის 90 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს.

მსოფლიოს რვა უდიდესი ინდუსტრიული ქვეყნის ხელმძღვანელებმა სი-აილენდზე, სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასები და მსოფლიო ეკონომიკაზე ვალუტის კურსის მერყეობის გავლენა განიხილეს. **"შეუძლებელია ისაუბრო მსოფლიო ეკონომიკაზე ისე, რომ არ შეეხო ყველასთვის ისეთ მტკივნეულ საკითხს, როგორიცაა ნავთობის ფასები. ამ ეტაპზე მთავარია, მომპოვებელმა ქვეყნებმა მიიღონ სტიმული მოპოვების გასაზრდელად, რაც ტექნიკურად სავსებით შესაძლებელია"**, - განაცხადა გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა. მის მსგავსად, კანადის პრემიერ-მინისტრი პოლ მარტინიც მიიჩნევს, რომ ოპეკის ქვეყნებს ნავთობის მოპოვების გაზრდის რეალური რეზერვები აქვთ და მოპოვების გაზრდა ნავთობის ფასებზე აუცილებლად დადებით გავლენას მოახდენს.

გერმანიის კანცლერმა და კანადის პრემიერ-მინისტრმა კოლეგებს, ნავთობის მოპოვების გაზრდის მიზნით, "ოპეკზე" ზეწოლაში მხარდაჭერა სთხოვეს. სამიტზე მსოფლიო ეკონომიკის ჭრილში კიდევ ერთი საკითხი - სავალუტო ბაზარი განიხილეს.

სამიტის ოფიციალური ნაწილის დაწყებამდე ჯორჯ ბუში თავის კოლეგებს პირისპირ შეხვდა. ერთსაათიან არაფორმალურ შეხვედრაზე, რომელმაც საკმაოდ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ვლადიმირ პუტინს რუსეთში დემოკრატიული ინსტიტუტების შეზღუდვისა და ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების შესახებ საუბარი მაინც მოუწია.

ბუშმა და პუტინმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების საკითხიც განიხილეს. ევროკავშირთან მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ, მოსკოვს მხოლოდ ისღა დარჩა, რომ ხელშეკრულებები დანარჩენ სავაჭრო პარტნიორებთან, მათ შორის, ვაშინგტონთანაც გააფორმოს. რუსეთში არ გამორიცხავენ, რომ მოლაპარაკებები, შესაძლოა, წლის ბოლომდე დასრულდეს. ამერიკულ-რუსული მოლაპარაკებების კიდევ ერთი შედეგია ნატო-ს სამხედრო-საზღვაო სწავლებაში მონაწილეობაზე მოსკოვის თანხმობა. აღნიშნული სწავლება შემოდგომაზე ჩრდილოეთ ატლანტაში ჩატარდება.

გერმანული პრესის შეფასებით, "დიდი რვიანის" სამიტი ეტიკეტია და მეტი არაფერი. მიმოხილველების აზრით, მომავალ მსოფლიო ეკონომიკაზე მსჯელობა, დისკუსიაში წამყვანი განვითარებადი ქვეყნების ჩართვის გარეშე, უაზრობაა.

## ირანი ბრალდებებს კვლავ უარყოფს

ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ უკანასკნელ პერიოდში ატეხილი მითქმა-მოთქმა არ ცხრება. როგორც ჩანს, პროგრამა, რომელიც აშშ-ს მხრიდან წამოსულ ბრალდებებში უმთავრესია, ირანს არ ეთმობა.

ბოლოს გავრცელებული ინფორმაციით, იგი შავ ბაზარზე ურანის გასამდიდრებელი მოწყობილობის შეძენას აპირებს. ამის შესახებ "ასოშეიტედ პრესს" ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოში მომუშავე ანონიმურმა წყაროებმა აცნობეს. მათი თქმით, ირანის ხელისუფლებამ აღიარა, რომ უკანონო გარიგებების დადებასა და მოწყობილობის შეძენას ცდილობდა. ექსპერტთა აზრით, ეს მოწყობილობა თავისუფლად შეიძლება, ატომური იარაღის დასამზადებლად გამოიყენონ.

ორშაბათს სააგენტო გამართავს სხდომას, სადაც დაგეგმილია ირანის შესახებ ახალი რეზოლუციის მიღება. დოკუმენტის პროექტი საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და გერმანიის ერთობლივი ძალისხმევით მომზადდა. დოკუმენტში მწვავედ არის გაკრიტიკებული ირანის ხელისუფლება, სააგენტოსთან არასაკმარისად აქტიური თანამშრომლობის გამო. ვაშინგტონმა, მთლიანობაში, მოიწონა რეზოლუციის პროექტი, თუმცა მოითხოვა, რომ მასში ირანის მიერ დამატებით აღნიშნული ყოფილიყო იმ ინფორმაციის მიწოდების ბოლო ვადა, რომელიც დაამტკიცებს, რომ ირანის ბირთვული პროგრამა ატომური იარაღის შექმნას არ ითვალისწინებს.

ირანის თემა აქტიური განხილვის საგანი იყო "დიდი რვიანის" სამიტზეც. ხუთშაბათს სამიტში მონაწილე სახელმწიფოთა მეთაურებმა ირანს მოუწოდეს, ბირთვული პროგრამა სააგენტოს დამკვირვებელთათვის უფრო გამჭვირვალე გაეხადა. პასუხად, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰამიდ რეზა აზეფიმ მსოფლიოს ლიდერთა ქმედებას არალოგიკური უწოდა. მისი სიტყვებით, ირანი არ დახურავს ამ პროგრამას, რადგანაც მშვიდობიანი ატომური ენერგიის გამოყენება სუვერენული სახელმწიფოს ბუნებრივი უფლებაა. აზეფი ამტკიცებს, რომ ირანი ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ მის მიერ ხელმოწერილ ყველა საერთაშორისო შეთანხმებას ასრულებს, რისი დამამტკიცებელიც სააგენტოსთან თანამშრომლობაა. ამასთანავე, მან დასძინა, რომ "დიდი რვიანის" ქვეყნებმა ირანის ბირთვული პროგრამა კი არ უნდა დაბლოკონ, არამედ ირანს გამოცდილებით, ტექნოლოგიებითა და აღჭურვილობით უნდა დაეხმარონ.

## საუდის არაბეთი ლიბიის ლიდერის წინააღმდეგ

გუშინ საუდის არაბეთის ერთ-ერთმა წამყვანმა გაზეთმა "ოკაზმა" არაბულ სამყაროს ლიბიის ლიდერის მოამარ კადაფის წინააღმდეგ საერთო ზომების მიღებისკენ მოუწოდა. საუდელების გაცოფება ცოტა ხნის წინ გავრცელებულმა ინფორმაციამ გამოიწვია, რომლის თანახმად, შარშან ლიბიის ლიდერი საუდის არაბეთის დე ფაქტო მმართველის, პრინც აბდულას მოკვლას გეგმავდა.

ხუთშაბათს შეერთებული შტატების მაღალჩინოსნებმა განაცხადეს, რომ ისინი ამოწმებენ ერთ-ერთი დაკავებული ამერიკელი მუსლიმის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, თითქოს, კადაფიმ ლიბიის სადაზვერვო სამსახურს პრინც აბდულას მოკვლა დაავალა. ლიბიამ დაუყოვნებლივ უარყო ეს ბრალდება და მას "ტყუილი" უწოდა.

ხუთშაბათსვე "ნიუ-იორკ ტაიმსმა" გამოაქვეყნა საუდის არაბეთის მიერ დაკავებული, ლიბიის დაზვერვის ოფიცრის მოჰამად ისმაელის ჩვენება, რომლის თანახმად, უშუალოდ კადაფის დაქვემდებარებაში მყოფი მაღალჩინოსნები მექაში თავდასხმას ამზადებდნენ. საუდელი დიპლომატების თქმით, ისინი ჩამოსულების საბანკო ანგარიშმა - ერთმა მილიონმა დოლარმა დააეჭვა.

მართალია, ჯერჯერობით, საუდის არაბეთის მმართველ წრეებს კომენტარი არ გაუკეთებიათ, მაგრამ, როგორც წესი, გაზეთები ხელისუფლების აზრს ახმოვანებენ. არაბულმა გაზეთმა "ოკაზმა" კადაფის "სიმსივნე" უწოდა, რომელიც მოცილებული უნდა იქნეს.

შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ ამ საკითხს გაარკვევს. მას შემდეგ, რაც ლიბიამ საკუთარ ბირთვულ პროგრამაზე უარი განაცხადა, ურთიერთობები ლიბიასა და დასავლეთს შორის მკვეთრად გაუმჯობესდა.

"ოკაზში" გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნულია, რომ ლიბიის მიერ მასობრივი განადგურების იარაღზე უარის თქმით, კადაფი თავისი "შავ-ბნელი, აგრესიული განზრახვის" შენიღბვას ცდილობს.

აბდულასა და კადაფის შორის დაპირისპირება ახალი არ არის. შარშან, მარტში არაბული ქვეყნების სამიტზე ლიბიის ლიდერმა საუდის არაბეთი გააკრიტიკა. მისი თქმით, საუდის არაბეთი ერაყზე ომის წინ ამერიკულ ჯარს მასპინძლობდა. გაცოფებულმა აბდულამ შეკრება დატოვა. ოთახიდან გასვლის წინ მან კადაფისკენ თითი გაიშვირა და ყველას შეახსენა, რომ ლიბიის ლიდერი საეჭვო ვითარებაში მოვიდა ხელისუფლების სათავეში.

## ნატო და უკრაინა თანამშრომლობას აღრმავებენ

რევაზ ბახტაძე

6-7 ივნისს ვარშავაში უკრაინა-ნატო-ს მაღალი დონის არაფორმალური კონსულტაციები გაიმართა. უკრაინულ დელეგაციას თავდაცვის მინისტრი იევჰენ მარჩუკი ხელმძღვანელობდა, სადაც მაღალი თანამდებობის სამოქალაქო და სამხედრო პირები შედიოდნენ. ორმხრივი შეხვედრა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იააპ დე ჰოოპ სხეფერმა გახსნა.

"უკრაინა არის და დარჩება იმ პარტნიორად, რომელთანაც ნატო-ს პოლიტიკური კონსულტაციების გაგრძელება სურს, ისევე როგორც პრაქტიკული თანამშრომლობა... დღეს ჩვენი დისკუსია გამოაჩენს, რა შეგვიძლია გავაკეთოთ ჩვენი ურთიერთობების გასაუმჯობესებლად," - განაცხადა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა.



ნატო-მ და უკრაინამ ხელი მოაწერეს სტრატეგიული საჰაერო გადაზიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, ნატო-ს შესაძლებლობა ექნება, უკრაინის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები გამოიყენოს.

ნატო-ს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ორდღიანი კონსულტაციების დროს, 7 ივნისს ნატო-მ და უკრაინამ ხელი მოაწერეს სტრატეგიული საჰაერო გადაზიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, ნატო-ს შესაძლებლობა ექნება, უკრაინის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები გამოიყენოს.

"სტრატეგიული საჰაერო გადაზიდვის მნიშვნელობა არსებულ სტრატეგიულ გარემოში აშკარაა, - განაცხადა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იააპ დე ჰოოპ სხეფერმა ხელმოწერის ცერემონიალზე, - ეს ჩვენ საშუალებას მოგვცემს, საომარი ოპერაციებისას შეიარაღებული ძალები სწრაფად გადავისროლოთ ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ადგილას, როდესაც ეს აუცილებელი იქნება. ეს ხელშეკრულება, მას შემდეგ რაც რატიფიცირებული იქნება და ძალაში შევა, ხელს შეუწყობს ალიანსის მიერ უკრაინის სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებას."

ნატო-ს წევრ სახელმწიფოებს, ამერიკის გამოკლებით, დიდი სამხედრო-სატრანსპორტო საშუალებების არასაკმარისი რაოდენობა გააჩნიათ.

ამავე შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ აუცილებელია, უკრაინამ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში რეფორმები გააგრძელოს. რაც ყველაზე მთავარია, უკრაინის წარმომადგენლებმა და ნატო-ს მაღალჩინოსნებმა თვის ბოლოს სტამბოლში დაგეგმილი ნატო-ს სამიტის ის საკითხები განიხილეს, რომელიც უკრაინას შეეხება.

ივნისის ბოლოს, სტამბოლში ნატო-ს სამიტი გაიმართება, სადაც ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი განიხილება - მათ შორის, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულების ადაპტირებული ვარიანტი, რომელიც სამხრეთ კავკასიასაც მოიცავს.

## თურქებსა და ქურთებს შორის ზავი დარღვეულია

გუშინ სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში, ქალაქ ბატმანის მახლობლად, ორი თურქი პოლიციელი ქურთების მუშათა პარტიის წარმომადგენლებმა მოკლეს.

ცოტა ხნის წინ, ქურთების მუშათა პარტიამ საჯაროდ გააკეთა განცხადება, რომ თურქეთის ხელისუფლებასთან ხუთი წლის განმავლობაში არსებულ ზავს ცალმხრივად წყვეტს და დამოუკიდებელი ქურთისტანის შესაქმნელად შეიარაღებულ ბრძოლას აგრძელებს.

ქურთებსა და თურქებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება 1984 წლიდან დაიწყო და ორივე მხრიდან, დაახლოებით, 30 000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. 1999 წელს თურქებმა ქურთების ლიდერი აბდულა ოჯალანი შეიპყრეს, რის შემდეგ შეიარაღებული დაპირისპირება შეწყდა.

აღსანიშნავია, რომ ეს ყველაფერი ქურთების მიმართ ანკარას პოლიტიკის შერბილების ფონზე ხდება. ცოტა ხნის წინ, თურქეთის მთავრობამ ქურთებს მშობლიურ ენაზე მაუწყებლობის უფლება მიანიჭა, რაც ევროკავშირის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენდა თურქეთის ევროგაერთიანებაში გასაწევრიანებლად.

ზავის დარღვევის შემდეგ, მაისი ყველაზე სისხლიანი თვე გამოდგა - 12 მეამბოხე და 8 სამხედრო დაიღუპა. ამ კვირის დასაწყისში სამი ქურთი პარტიზანი თურქმა სამართალდამცველებმა მოკლეს.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯებ თაიიპ ერდოგანმა განაცხადა, რომ ქურთების მუშათა პარტიის საკითხი მან "დიდი რვიანის" სამიტზე შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან ერთად განიხილა, რომელიც ჯორჯიის შტატში გაიმართა. "აშშ-მ იცის მუშათა პარტიის საკითხის შესახებ, მაგრამ სამოქმედო გეგმა არ გააჩნია," - განაცხადა ერდოგანმა თურქული ტელევიზიით გამოსვლისას.

ანკარა ცდილობს, რომ შეერთებულმა შტატებმა სადამსჯელო ღონისძიებები განახორციელოს ჩრდილოეთ ერაყში მცხოვრებ ქურთულ რეგიონში, სადაც, თურქების შეფასებით, დაახლოებით 5000 ქურთი მეამბოხე იმალება.

*როიტერი*

## პირადი მცველები პრეზიდენტის წინააღმდეგ

კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მორიგი შეთქმულება გაიხსნა, - ასეთი განცხადება გააკეთა გუშინ პრეზიდენტმა ჯოზეფ კაბილამ. სახელმწიფო ტელევიზიით პრეზიდენტის გამოსვლის ჩანაწერი გადაიცა, სადაც იგი აცხადებს, რომ უშიშროების სამსახურებმა გადატრიალების მცდელობა ჩაახშეს. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, აღნიშნული გადატრიალება მისი დაცვის ზოგიერთი წევრის მიერ მზადდებოდა. "სახელმწიფო უწყებები ადგილზე არიან, თავად პრეზიდენტიც ადგილზეა," - ამბობს სამხედრო ფორმაში გამოწყობილი კაბილა, - მოსახლეობამ სიმშვიდე და, ამასთანავე, სიფრთხილე უნდა შეინარჩუნოს." პრეზიდენტი ცდილობს, თანამემამულენი დააწყნაროს. გავრცელებული ინფორმაციით, მისი პირადი დაცვის ათეულობით წევრია დაპატიმრებული.

შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი მატა ლიუანგა ამბობს, რომ არა უმეტეს 20 შეთქმულისა გაიქცა აეროპორტის მიმართულებით, მაგრამ პრეზიდენტის ერთგულმა ძალებმა მათ გზა გადაუღობეს.

ცენტრალური აფრიკის რესურსებით მდიდარ სახელმწიფოში, მიმდინარე წელს, გადატრიალების ეს უკვე მეორე მცდელობაა. კაბილას გარდამავალი ხელისუფლება შარშან მოვიდა სათავეში, რათა ხუთი წლის წინანდელი სამოქალაქო დაპირისპირებისათვის წერტილი დაესვა.



ჯოზეფ კაბილას საკუთარი მცველები აუჯანყდნენ.

გასულ კვირას განდგომილმა ჯარისკაცებმა ქვეყნის აღმოსავლეთში მდებარე ქალაქი ბუკავუც კი დაიკავეს, თუმცა დროებით - ოთხშაბათს სამთავრობო ჯარებმა ქალაქი უკან დაიბრუნეს.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, კუდურა კასონგო აცხადებს, რომ თავდასხმის ორგანიზატორი, მაიორი ერიკ ლენგე, ალყაში მოაქციეს კინშასას ნჯილის აეროპორტთან ახლოს, ქალაქის ცენტრიდან 25 კმ-ში. "ჩვენმა უშიშროების ძალებმა ლენგე ალყაში მოაქციეს, როდესაც იგი მცირე ჯგუფთან ერთად გაქცევას აპირებდა," - ამბობს კასონგო.

უფრო ადრე, თვითმხილველთა მტკიცებით, დედაქალაქში აფეთქებებისა და საარტილერიო დანადგარებიდან სროლის ხმა ისმოდა. ქალაქის მცხოვრებნი ასევე აღნიშნავენ, რომ დროდადრო ავტომატური იარაღიდან წარმოებული გასროლების ხმაც ესმოდათ.

ლენგემ, პრეზიდენტის პირადი მცველების ნაწილთან ერთად, სახელმწიფო რადიო დაიკავა, მაგრამ, როგორც ხელისუფლება აცხადებს, მთავრობის ერთგულმა სამხედრო დანაყოფებმა იგი მალევე დაიბრუნეს. ლენგემ რადიოს პირდაპირი ეთერით განცხადების გაკეთება მაინც მოასწრო, სადაც ამბობდა, რომ გარდამავალ ეტაპს მომავალი არ აქვს და ამიტომ, იგი ქვეყანაზე კონტროლს თავის თავზე იღებს. ამბოხებულთა ლიდერი არმიას არწმუნებდა, წინააღმდეგობა შეეწყვიტა, რათა ქალაქისა და მთელი ქვეყნის ბრძოლის ველად გადაქცევა არ მომხდარიყო. იგი ასევე ამტკიცებდა, რომ მას მომხრეები მთელ ქვეყანაში ჰყავს.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ანტონი გონდამ აღნიშნა, რომ ზოგიერთი ამბოხებული თავის შეფარებას უცხოურ საელჩოებში აპირებდა, დანარჩენი კი დედაქალაქის სამხრეთით გაქცევას ცდილობდა. "ეს იყო ლოკალური ინციდენტი, რომელშიც მისი (კაბილას) ზოგიერთი მცველი მონაწილეობდა," - განუცხადა გონდამ "როიტერს".

შეტაკებები ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ქვეყანაში ფართომასშტაბიანი რეგიონული კონფლიქტის წარმოშობის საფრთხეს ქმნის, რომელშიც კონგოს მეზობელი რუანდაც იქნება ჩათრეული. შეგახსენებთ, რუანდამ ზაირი ორჯერ დაიპყრო - 1996 და 1998 წლებში.

წელს ეს შემთხვევა უკვე მეორეა, როცა კაბილას ხელისუფლებას იარაღით უპირისპირდებიან. მარტში შეიარაღებულმა პირებმა ოთხ სამხედრო ბაზაზე და ორ სატელევიზიო სადგურზე თავდასხმა მოაწყვეს. აღსანიშნავია, რომ აქამდე, ხუთი წლის მანძილზე შედარებით სიმშვიდე იყო.

კონგომ უახლოეს წარსულში უკვე გადაიტანა სამოქალაქო ომი. 1998 წელს ქვეყანაში სერიოზული ომი დაიწყო, რომელიც კონგოს საზღვრებს გასცდა და მასში მეზობელი რუანდა და უგანდა აღმოჩნდნენ ჩართულნი. მაშინ 3,3 მლნ. ადამიანი დაიღუპა აფრიკის სიდიდით მესამე სახელმწიფოში.

დღევანდელი პრეზიდენტი ჯოზეფ კაბილა თანამდებობაზე 2001 წლის იანვარში მოვიდა. მან ამ პოსტზე მამამისი, მოკლული ლორან კაბილა შეცვალა.

## ტონი ბლერის დამარცხების დასაწყისი

დიდ ბრიტანეთში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მმართველი ლეიბორისტული პარტიის კრახით დასრულდა. წინასწარი შედეგების თანახმად, ლეიბორისტულმა პარტიამ ინგლისსა და უელსში ორასზე მეტი ადგილი დაკარგა და, საერთო ჯამში, კონსერვატორებისა და ლიბერალ-დემოკრატების შემდეგ, მესამე ადგილი დაიკავა. პარალელურად, გაიმართა ლონდონის მერის და ქალაქის ასამბლეის არჩევნები, თუმცა შედეგები ხვალ დილით გახდება ცნობილი.

ამ არჩევნებს დამკვირვებლები ტონი ბლერის და ლეიბორისტული პარტიის საბოლოო მარცხის წინაპირობად განიხილავენ. დიდი ბრიტანეთის საყოველთაო არჩევნები კი მომავალ წელს გაიმართება. სააგენტო "ბიბისის" ცნობით, საპარლამენტო არჩევნები დღეს რომ გამართულიყო, კონსერვატიული პარტია ხმების 28 პროცენტს აიღებდა, ლიბერალ-დემოკრატები - 30 პროცენტს, ხოლო მმართველი ლეიბორისტული პარტია კი - 26 პროცენტს.

არც ის არის ვინმესთვის საიდუმლო, თუ რა გახდა ლეიბორისტული პარტიის რეიტინგის ასე მკვეთრად დაცემის მიზეზი.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა და ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ტონი ბლერმა თავად აღიარა, რომ ერაყში არსებული ვითარება ლეიბორისტთა დამარცხების მთავარი მიზეზია. თავად ლეიბორისტული პარტიის შიგნით კი, ბლერის ოპონენტებმა პრემიერ-მინისტრის გასაკრიტიკებლად ახალი და მძლავრი საბაბი მიიღეს. გარდა ამისა, უახლოეს დღეებში პარტიის შიგნით განახლდება მსჯელობა იმის თაობაზე, საჭიროა თუ არა პარტიის ხელმძღვანელობის შეცვლა, ბლერის მეთაურობით. ბლერის ლეიბორისტული ოპოზიცია იმედოვნებს, რომ თუკი პარტია ახალ ხელისუფლებას აირჩევს, ლეიბორისტებს ძველი იმიჯის აღდგენის შანსი გაუჩნდებათ, რადგან რეიტინგის დაცემის მთავარ საბაბად ბლერს და მის ერაყულ პოლიტიკას ასახელებენ. ბრიტანული არჩევნები, ლეიბორისტთა მარცხის გარდა, სხვა რამითაც გამოირჩევა. კერძოდ, პირველად თავისი არსებობის ისტორიაში, მწვანეთა პარტიამ რამდენიმე ადგილი მოიპოვა.

ასე რომ, ბრიტანეთის პოლიტიკური ცხოვრება ახალ ფაზაში შედის. კონსერვატორები მომავალ წელს დიდი გამარჯვებისათვის ემზადებიან, ლეიბორისტები კი - თავის გადარჩენისათვის. ოღონდ თავის გადარჩენის გზა მათთვის ერთადერთია - ტონი ბლერის გადაყენება.

## ქართული ღვინის დეგუსტაცია

*ორი დღის განმავლობაში საგამოფენო ცენტრ "ექსპო ჯორჯიაში" პროფესიონალ თუ მოყვარულ დეგუსტატორებს ალკოჰოლური სასმელების დეგუსტაციის შესაძლებლობა ჰქონდათ. გუშინ "ექსპო ჯორჯიის" ეთნოგრაფიულ კუთხეში, კლასიკური მუსიკის თანხლებით, "ფონდმა ქართულმა ხარისხმა" დეგუსტაციაში გამარჯვებული საუკეთესო ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანიები დააჯილდოვა.*

თამარ დვალი

ერთი საუკუნის შემდეგ ძველი ტექნოლოგიებით დამზადებული ქართული ღვინო "საეკლესიო" კვლავ გაყიდვაში გამოვა. წითელი ღვინო, რომელიც საფერავის, ალექსანდროულისა და ოჯალეშისაგან მზადდება, ნატურალურ თაფლს შეიცავს. "ვაზიანის" მიერ ნაწარმოები აღნიშნული პროდუქცია პროფესიონალი თუ მოყვარული დეგუსტატორების ყველაზე დიდ მოწონებას იმსახურებდა. მსგავსი ტექნოლოგიებით დამზადებული ღვინო პირველად 1907 წელს ჩამოუსხამთ. კომპანია "ვაზიანი", რომელიც 1985 წლიდან აწარმოებს ალკოჰოლურ სასმელებს, კიდევ ორი საუკეთესო ხარისხის პროდუქციისთვის დააჯილდოვეს. "ფონდმა ქართულმა ხარისხმა" "ქინძმარაულსა" და ცქრიალა ღვინო "სამეფოს" სერტიფიკატი გადასცა.

"მანავის ღვინის მარანი" ახალბედა კომპანიაა. ღვინის წარმოება მათ ერთი წლის წინათ დაიწყეს. ღვინოს, რომელსაც საკუთარ ვენახში მოყვანილი ყურძნისაგან ამზადებენ, მალე სხვადასხვა ქვეყანაში გააგზავნიან.

"ღვინოს უნდა მოეფერო, კარგი რომ გამოვიდეს", - აღნიშნა "მანავის" მთავარმა ტექნოლოგმა თემურ გონჯიაშვილმა. მისივე თქმით, როდესაც საუკეთესო ღვინის მწარმოებელი ფრანგები ქართული ღვინით ინტერესდებიან, ეს უკვე ქართული ღვინის მაღალ ხარისხზე მეტყველებს.

ალკოჰოლური სასმელების დეგუსტაციის ორგანიზატორი იყო ფონდი "ქართული ხარისხი", ხოლო პროფესიონალი დეგუსტატორები "საქართველოს ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის" წარმომადგენლები იყვნენ. საუკეთესო გემოვნური თვისებებისათვის სერტიფიკატები გადაეცათ შემდეგ კომპანიებს: "დავით სარაჯიშვილი და ენისელი"; "მანავის ღვინის მარანი"; "გომი" და "ვაზიანი".

დეგუსტაციაში გამარჯვებულებთან ერთად "ფონდმა ქართულმა ხარისხმა" "ხარისხის ნიშნით" დააჯილდოვა ის კომპანიები, რომელთა მიერ წარმოებულ პროდუქციასაც შესაბამისი ექსპერტიზა ჩაუტარდა, მათი ხარისხის მენეჯმენტი კი საუკეთესოდ აღიარეს. ეს კომპანიებია: "კასტელი-საქართველო"; "პოულტერი-ჯორჯია"(კოდა) და "ქართუ უნივერსალი"(თოლია).

საღამოს მასპინძლისთვის "ექსპო ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისთვის კახა გველესიანისთვის "ხარისხის ნიშნის" მინიჭება მოულოდნელი აღმოჩნდა.

შეგახსენებთ, რომ "ხარისხის ნიშნით" საქართველოში სულ რამდენიმე კომპანიაა დაჯილდოებული. მათ ამ ნიშნის შენარჩუნება რომ შეძლონ, პროდუქციის ხარისხი არ უნდა გააუარესონ; წინააღმდეგ შემთხვევაში, ხარისხის ნიშანსაც დაკარგავენ და მომხმარებელსაც.

## დედაქალაქის მოპირკეთება

თამარ დვალი

*გუშინ მერიის კეთილმოწყობის სამსახურის ძალისხმევით, დედაქალაქის მთავარი მაგისტრალისა და მოედნების იერსახის გალამაზება დაიწყო. 10-15 დღეში, თითქმის ყველა ქუჩაზე შეიღებება ბორდიურები და ტროტუარები. სამშაბათიდან კი თბილისის ქუჩებში ნაგვის ახალი მანქანები გამოჩნდება.*



*სამშაბათიდან თბილისის მოსახლეობას კრასნოდარიდან გამოგზავნილი სამი ნაგვის და ექვსი დასასუფთავებელი მანქანა მოემსახურება.*

ევროპის, თითქმის ყველა ქვეყანაში ბორდიურები და ტროტუარები შავ-თეთრ ფერებშია შეღებილი. ამიერიდან არც თბილისი ჩამორჩება ევროპულ სტანდარტებს და, გზის მდგომარეობას თუ არ გავითვალისწინებთ, ბორდიურები და ტროტუარები თანამედროვე სტანდარტებს დააკმაყოფილებს. რაც შეეხება გზის პრობლემას, მისი მოგვარება ქალაქის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ გახდება შესაძლებელი. თუმცა, რამდენად მოგვარდება ეს პრობლემა, წინასწარ არავინ იცის. იგივე შეიძლება ითქვას თბილისის ჩაბნელებულ ქუჩებზეც.

თბილისში არსებულ 11 ხიდს აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდება. ზოგიერთს გაუკეთდება თუჯის აივნები; შეიღებება მოაჯირები. როგორც თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი შალვა ბებოშვილი აცხადებს, მსგავსი სამუშაოების ჩატარება, მხოლოდ გაზაფხულ-ზაფხულის სეზონზეა შესაძლებელი.

ქალაქის დასუფთავების მიზნით, მაისის თვეში დაწყებული პროექტი ივნისის თვეში განხორციელდება. საბერძნეთის რეგიონული განვითარების სააგენტოდან მიღებული გრანტის საშუალებით, დედაქალაქი თანამედროვე კომუნალური სპეც-ტექნიკით აღიჭურვება. სამშაბათიდან თბილისის მოსახლეობას კრასნოდარიდან გამოგზავნილი სამი ნაგვის და ექვსი დასასუფთავებელი მანქანა მოემსახურება.

ბებოშვილის თქმით, ზაფხულის სეზონისთვის არა მარტო თბილისის გალამაზება-დასუფთავება მოხდება, არამედ დაიწყება მისი მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავებაც. თუკი თბილისელების გარკვეული ნაწილი ვერ შეძლებს დასასვენებლად აჭარაში ან ოქროს ქვიშებზე წასვლას, მათ შესაძლებლობა ექნებათ, თბილისის ზღვაზე დაისვენონ. მართალია, რამდენიმე წლის წინათ თბილისის ზღვის გარკვეული ნაწილი კერძო საკუთრებაში გადავიდა, მაგრამ 150 ათასი კვადრატული მეტრი ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის საკუთრებაში დარჩა, სადაც არანაირი გადასახადი არ არსებობს. სტერეოტიპების მიხედვით, უფასო მომსახურება უხარისხოსთან ასოცირდება, თუმცა კეთილმოწყობის სამსახურში გვპირდებიან, რომ სანაპირო დასუფთავებული და მოვლილი იქნება. სანაპიროზე მოთავსდება საჩრდილობლებიც. რაც შეეხება წყლის ხარისხს, მისი გაფილტვრა ღორღის მეშვეობით ხდება.

ახლო მომავალში თბილისის ზღვაზე ქართული მედიის წარმომადგენლები ფართომასშტაბიან აქციას გეგმავენ. აქციის ორგანიზატორი ნათია ქემაშვილი დეტალების

## "ქართველები იარაღს ხომ არ მოგვიშვერენ"?!

### კითხვა, რომელიც დღეს ოს ახალგაზრდებს აწუხებთ

*"კავკასიის შემსწავლელი ახალგაზრდული ცენტრის", "კავკასიური სახლისა" და ჰენრიხ ბიოლის ფონდის წევრები ქალაქ ცხინვალში იმყოფებოდნენ. მათ შეხვედრები ჰქონდათ ცხინვალის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან, სტუდენტებთან და ცხინვალში არსებული არასამთავრობო ორგანიზაცია "რესურს-ცენტრის" ხელმძღვანელებთან.*

ლელა მარგიანი

კულტურულ ცენტრ "კავკასიურ სახლში", რამდენიმე წელია, არსებობს "საკვირაო სკოლა" და "კავკასიის შემსწავლელი ახალგაზრდული ცენტრი", სადაც თბილისელი ახალგაზრდები სწავლობენ კავკასიურ ენებს - აფხაზურს, ოსურს, ჩერქეზულს; ეცნობიან კავკასიელი ხალხების კულტურას, ფოლკლორს, ადათ-წესებს. "ცენტრის" ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართულები კავკასიური კონფლიქტების მოგვარების საქმეში. ქართველი ახალგაზრდები, სახალხო დიპლომატიის კუთხით, ცდილობენ მეზობელ ხალხებს შორის "ჩატეხილი ხიდების" აღდგენას. ამ მიზანს ემსახურებოდა ცოტა ხნის წინ მათი ცხინვალში მოულოდნელი სტუმრობაც.

დავით კაკუბავა, "ახალგაზრდული ცენტრის" წევრი: "ცხინვალში ჩვენი ჩასვლა მოულოდნელი იყო იქაური სტუდენტებისთვის. ამის მიუხედავად, ძალიან თბილად მიგვიღეს. საყვედურიც კი გვითხრეს, რომ ამდენი წელია, ქართული მხრიდან - არც ახალგაზრდული და არც არასამთავრობო ორგანიზაციებიდან - არავის უცდია მათთან შეხვედრა, პრობლემებზე საუბარი".

დათოს და მისი მეგობრების აზრით, თბილისის მხრიდან ასეთმა უყურადღებობამ ქართველი და ოსი ახალგაზრდების გაუცხოება გამოიწვია. ცხინვალელი სტუდენტები იქაური იდეოლოგიის დიდ გავლენას განიცდიან. მათ არ იციან, როგორ ვითარდება პროცესები ჩვენთან.

პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ ცხინვალთან ახლოს ჩატარებულმა სამხედრო მანევრებმა გაართულა ოს ახალგაზრდებთან ურთიერთობა, ჩაშალა რამდენიმე დაგეგმილი შეხვედრა. "ცენტრის" წევრების აზრით, ჯობდა, ჯერ "ჰუმანიტარული შტურმი" განხორციელებულიყო და ოსური საზოგადოება მომზადებულიყო კონფლიქტის მოსაგვარებლად.

დავით კაკუბავას თქმით, "სამხედრო მანევრები სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს - პირიქით კი მოხდება, რადგან, უფროსებისგან განსხვავებით, ოსი ახალგაზრდები, რომლებიც კონფლიქტის შემდეგ აღიზარდნენ, არ იცნობენ საქართველოს, ქართულ საზოგადოებას. მათთვის არსებობს ერთადერთი ქვეყანა - რუსეთი, რომელსაც მიიჩნევენ ოსი ხალხის დაცვის გარანტად".

პრესკონფერენციაში მონაწილეობდა "ცენტრის" წევრი ნინო პოპიაშვილი, რომელიც შერეული, ქართულ-ოსური ოჯახის შვილია. ნინოს ინფორმაციით, წლების განმავლობაში, მაშინაც კი, როდესაც ოსური მხარე არ იღებდა მონაწილეობას ორმხრივ თუ სამმხრივ შეხვედრებში, იგი სიამოვნებით მონაწილეობდა კავკასიურ სახლში გამართულ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში. "კავკასიურმა სახლმა" გამოსცა კავკასიელი ხალხების ფოლკლორი. სხვა ხალხების მსგავსად, გამოიცა ოსური ფოლკლორიც. სამი - ოსური, ქართული და რუსულენოვანი კრებულის პრეზენტაცია ცხინვალში გაიმართა და ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა.

"კავკასიური სახლის" თანამშრომლის დიანა მიქაძის თქმით, ცხინვალში შეხვედრისას ოსმა ახალგაზრდებმა გამოხატეს შიში: "ხომ არ მოგვიშვერენ ქართველები იარაღს; საქართველოში ხომ არის ისეთი ხალხი, ვინც ამის წინააღმდეგი იქნება"?

"ოსი ახალგაზრდები დავარწმუნეთ, რომ ასეთი რამ არ მოხდება, რადგან საქარველოს მთავრობა მხოლოდ მშვიდობიანი გზით აპირებს კონფლიქტების მოგვარებას", - განაცხადა ჩვენთან საუბრისას დიანა მიქაძემ.

## საბავშვო კინოცენტრი პროექტის გაგრძელებას ელოდება

*საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში საბავშვო კინოცენტრმა "ფიფქიამ" შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებებით უზრუნველყოფის პროექტის პრეზენტაცია მოაწყო.*

ნონა მაისურაძე

2003 წლის აგვისტოში აღნიშნულმა კინოცენტრმა ტენდერში გაიმარჯვა და სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა მას 39 669 ლარის ოდენობის თანხა გამოუყო; 2004 წლის იანვრიდან აგვისტომდე კი გათვალისწინებულია ყოველთვიურად მისი 3 305 ლარით დაფინანსება. პროექტის ფარგლებში, საბავშვო კინოცენტრი უზრუნველყოფს ავტო-კინოჩვენებას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში; ღონისძიებები მოეწყობა იმერეთში, გურიაში, აჭარაში.

2004 წლიდან კი პროექტი ხორციელდება ქუთაისში სმენა და მეტყველებადაქვეითებულ მოზარდთა სკოლა-ინტერნატის ბენეფიციართათვის. სკოლა-ინტერნატში ოთხი რეგიონიდან (იმერეთი, გურია, სამეგრელო, აჭარა) 54 მოზარდი სწავლობს. მათი ნახატები, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები და ფოტონამუშევრები პროექტის მესვეურებმა სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში წარმოადგინეს.

პროექტის კოორდინატორი ქეთევან ფანცხავა: "სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს მადლობას ვუხდით იმისათვის, რომ საშუალება მისცა ამ კატეგორიის ბავშვებს, კულტურულ ცხოვრებას ეზიარონ. ერთი წელი, რაც მათთან ვმუშაობთ, ის პერიოდია, როცა შეიძლება მოზარდები, პროფესიული თვალსაზრისით, ფეხზე დააყენო და სამომავლოდ მათი პროფესია განსაზღვრო. ბავშვებს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეფიციტი არ უნდა ჰქონდეთ და ჩვენ ამ პრობლემის მოგვარებისთვისაც ვიზრუნეთ. მოზარდების მიმართ საოცარი პასუხისმგებლობის გრძნობა გაჩნდა და გვინდა, მათთან ურთიერთობა ამ ეტაპზე არ შეწყდეს".

## "ოტსტუპნიკები" კანონიერების დამკვიდრების მოლოდინში

*პოსტსაბჭოთა საქართველოში წარმოშობილი ე.წ. "ოტსტუპნიკების" ბედი დღესაც გაურკვეველია. დასადგენია "ოტსტუპნიკების" ზუსტი რაოდენობაც. დაუზუსტებელი მონაცემებით, თბილისში ამ კატეგორიას 70 ათასამდე ოჯახი მიეკუთვნება, რომელთაგან რამდენიმე ასეული ადამიანი უკვე გამოსახლებულია საცხოვრებელი ფართიდან. პარლამენტმა 1 მაისამდე შეჩერებული კანონი, რომელიც ამგვარ ურთიერთობებს აწესრიგებდა, "ოტსტუპნიკების" რაოდენობის დადგენის მიზეზით, 1 იანვრამდე გადაწია. შესაბამისად, ქალაქის გამგეობებსაც გაუგრძელდათ ვადა "ოტსტუპნიკების" აღსარიცხავად.*

თამარ ჯაჯანიძე

1998 წლის 25 ივნისს მიღებული "საქართველოს კანონი საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ", 2001 წლის 7 ივნისს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ, გაუქმდა. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა მეორე მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც საცხოვრებელი სადგომის ნასყიდობის ხელშეკრულებას, რომლის ფორმაც არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შემძენს მესაკუთრედ ცნობდა. ამას გარდა, ამოიღეს მეხუთე მუხლი მთლიანად და მეშვიდე მუხლის მეორე პუნქტი, რომლებიც მოსარგებლეების უფლებებს განამტკიცებდა. სასამართლოები ამ კანონის დახმარებით არკვევდნენ მესაკუთრეებსა და მოსარგებლეებს შორის დაძაბულ ურთიერთობებს. მოსამართლეებს ინდივიდუალურად უნდა შეესწავლათ თითოეული სარჩელი და მიეღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება. **"ახალი პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა, ფაქტობრივად, ვერც მოასწრო ამ საქმის შესწავლა. სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ ვალდებულების გადატანა. 1 იანვრამდე არა მარტო "ოტსტუპნიკების" რიცხვი დადგინდება, არამედ კანონში ცვლილებებიც მომზადდება. კანონში შესატანი ცვლილებების მომზადება ნიკა გვარამიას დაევალა",** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ამ კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ბეჟუაშვილმა.

"ბინის შემძენთა უფლებების დაცვის კავშირი", რომელმაც მომზადა აღრიცხვის პროექტი და პარლამენტშიც შეიტანა, წლების განმავლობაში ითხოვდა პარლამენტში შესაბამისი კომისიის შექმნას, რათა კანონი დახვეწილიყო, მანამდე კი გამოცხადებულიყო მორატორიუმი, რაც მოქალაქეებს ქუჩაში გაყრისგან დააზღვევდა. დღეს მათი მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. სასამართლოებს აკრძალული აქვთ საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრეებსა და მოსარგებლეებს შორის დავების გადაწყვეტა. ახლა ჯერი პარლამენტზეა. "ოტსტუპნიკებს" მომავლის იმედი აქვთ.

## კომპანია "ყაზბეგი" მესაზღვრეებს ეხმარება




"ყაზბეგის" წარმომადგენლებმა სომხეთ-საქართველოს სასაზღვრო-საკონტროლო პუნქტზე განლაგებულ ნაწილს საკვები პროდუქტები გადასცეს

კომპანია "ყაზბეგის" წარმომადგენლებმა სოფელ გუგუთში, სომხეთ-საქართველოს სასაზღვრო-საკონტროლო პუნქტზე განლაგებულ ნაწილს სხვადასხვა დასახელების საკვები პროდუქტები გადასცეს.

ბოლო ერთი თვის განმავლობაში "ყაზბეგი" ამგვარ ღონისძიებას უკვე მესამედ ახორციელებს. გასულ თვეში "ყაზბეგის" საჩუქრები წითელ ხიდთან და საქართველო-რუსეთის საზღვარზე განლაგებულ სასაზღვრო ჯარის ჯარისკაცებს გადაეცათ.

"ყაზბეგის" მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი თოფაძემ სოფელ გუგუთში მესაზღვრეებს კვების პროდუქტები - კარაქი, კარტოფილი, ფქვილი, შაქარი, ცივი ჩაი და ლუდი გადასცა.

"ყაზბეგი" სასაზღვრო საკონტროლო-გამშვები პუნქტებისთვის ტექნიკური აღჭურვილობის შეძენას და მესაზღვრეთა პუნქტების სამშენებლო-აღდგენით სამუშაოებში მონაწილეობასაც გეგმავს.

"ყაზბეგში" მიიჩნევენ, რომ სასაზღვრო ჯარების გაძლიერება ქვეყნის საზღვრების განმტკიცების , შიდა ბაზრის დაცვის და ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების საფუძველია.

## საქველმოქმედო გამოფენა

ნინო ბერელიძე

გუშინ სათნოების სახლ "კათარზისში" მხატვარ ზურაბ გაბუნიას ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა გაიხსნა. ნახატებთან ერთად გამოფენილია ვერცხლის, სპილენძისა და კერამიკის ჭადრაკის ფიგურები - ქართველი პოლიტიკოსები; ხეში ნაკვეთი ხატები, ჭადრაკის მაგიდა და ძველი თბილისის მაკეტი, რომელიც წაბლისა და კაკლის ხისგანაა შესრულებული. ამ იშვიათი ნამუშევრების ავტორების ნაწილი სათნოების სახლის ბინადარია, ნაწილი კი მასთან აქტიურად თანამშრომლობს.

**"ეს ნამუშევრები ჩვენს სახელოსნოშია შესრულებული. ხეში გამოკვეთილი ნივთები განუმეორებელია - მსგავსს ვერსად ნახავთ; პოლიტიკოსთა ფიგურები კი ერთი წლის განმავლობაში კეთდებოდა და ვარდების რევოლუციამდე რამდენიმე დღით ადრე დასრულდა. იმედი გვაქვს, გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც შეიძენენ ნამუშევრებს და ამით სათნოების სახლს ფინანსურ დახმარებას გაუწევენ. ამ იდეით დაინტერესდა ქალაქის მერი, რუსეთის ელჩი საქართველოში; ვიცი, რომ ბატონ ნიკო ლეკიშვილსაც სურდა, თავისი ფიგურა შეეძინა",** - ამბობს "კათარზისის" პრეზიდენტი ზაურ ალადაშვილი.

რაც შეეხება მხატვარ ზურაბ გაბუნიას, იგი სამხატვრო აკადემიის ფერწერის კათედრის დოცენტია; ჰქონდა რამდენიმე პერსონალური გამოფენა; მისი ტილოები გამოფენილი იყო დიჟონში, პარიზში, ვაშინგტონში, სან-ფრანცისკოში, ნიუ-იორკში, მიუნხენში, ტალინში, მოსკოვში... **"ძნელია, ხელოვანმა ადამიანმა ფასი დაადო საკუთარ ნამუშევარს და გასაყიდად გაიმეტო. მაგრამ, გული არ მწყდება, რადგან ეს ფული კეთილ საქმეს მოხმარდება. ამ მოხუცებს ყველასგან ესაჭიროებათ ყურადღება - მათი თანადგომა თითოეული ჩვენგანის ვალია",** - ამბობს ზურაბ გაბუნია.

გამოფენა-გაყიდვა 27 ივნისამდე გაგრძელდება.

*საფეხურები*

## სიბერე, როცა არავინ გყავს

*არასამთავრობო ორგანიზაცია "საფეხურების" პროექტი, "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით", აგრძელებს "ნამდვილი ამბის" სერიის გამოქვეყნებას. ისტორიებს ქმნიან ადამიანები, ჩვენი საზოგადოების წევრები. ისინი გვიამბობენ თავიანთ პრობლემებზე. პროექტის საშუალებით, შესაძლებელია მოვუსმინოთ და დავეხმაროთ მათ.*

თინათინ ასათიანი

მარტოხელა მოხუცები - ცაცა და ეთერ ხუციშვილები ოთხმოც წლამდე ასაკისანი არიან. ისინი ვაჟა ფშაველას პროსპექტზე მე-4 სართულზე ცხოვრობენ. ხუციშვილებს ნათესავი არ ჰყავთ და აღარც მეგობრები შემორჩათ. ქ-ნ ცაცას ქმარი ადრე გარდაეცვალა, შვილი კი ტუბერკულოზური ვირუსით 8 წლის წინათ დაეღუპა.

ქ-ნი ცაცა განათლებით ეკონომისტია, მისი და კი აღმოსავლურ ენათმცოდნე. ისინი უკვე დიდი ხანია, არსად მუშაობენ, ამიტომ 20-ლარიანი პენსიის და საოჯახო 35-ლარიანი დახმარების ანაბარა ცხოვრობენ.

ქ-ნ ეთერს ცოტა ხნის წინათ ინფარქტი ჰქონდა და საავადმყოფოში იწვა. ის დღემდე მკურნალობს; ახლა კიდევ სხვა პრობლემაც დაემატა - ოთახში წაიქცა და სახე დაიშავა. ქ-ნი ეთერი, დისგან განსხვავებით, არასოდეს ყოფილა გათხოვილი.

ხანშიშესულ დებს მუდამ სიფრთხილე და დასვენება სჭირდებათ, მაგრამ ამისთვის მატერიალური საშუალება არ გააჩნიათ და უკიდურეს გაჭირებაში ცხოვრობენ. მართალია, ქ-ნი ცაცა ამბობს, რომ შვილის დაკარგვის შემდეგ აღარაფერი ახარებს, მაგრამ ცხოვრების ბოლოს ელემენტარული საარსებო საშუალება ხომ მაინც უნდა ჰქონდეთ?!

ადამიანებს, რომელთაც შესწევთ ძალა და აქვთ საშუალება, დაეხმარონ მოხუცებს, ხუციშვილების ოჯახის არსებობაც არ იციან. იქნებ, მართლაც, არაფერი კარგი აღარ მომხდარა ქ-ნი ცაცას ცხოვრებაში შვილის გარდაცვალების შემდეგ; იქნებ არსებობს საშუალება, რომ მან ცოტა ხნით მაინც, თუნდაც ერთი წუთით, დაივიწყოს თავისი უბედურება და ღრმა მოხუცებულობაში ეს მძიმე ყოფა ოდნავ მაინც შეუმსუბუქდეს.

***შენიშვნა:*** *სტატიის შინაარსი დაფუძნებულია რესპონდენტთან უშუალო ინტერვიუზე და მიუკერძოებლად აღწერს მხოლოდ იმ ფაქტებს , ისტორიებს, თუ პრობლემებს, რის შესახებაც თავად რესპონდენტი საუბრობს. პროექტის მიზანია, მისცეს საშუალება მარგინალური ჯგუფების წარმომადგენლებს, თავიანთი პრობლემების შესახებ ამცნონ საზოგადოებას. ამ ეტაპზე პროექტის ფარგლებში არ შედის რესპონდენტის მიერ მოთხრობილი ფაქტებისა სხვადასხვა დონეზე გადამოწმება.*

**P.S. თუ ვინმეს დახმარების სურვილი გაუჩნდება, დაუკავშირდით პროექტს, "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით", კოორდინატორს ნანა ბარამიძეს.**

**მობ: 893 32 44 41**

**ან ელექტრონული ფოსტით მისამართზე:**

**stagesngo@hotmail.com**

# იმერეთში შენახულ ნაღმებს ეუთო-ს სამხედრო ექსპერტები ამოიღებენ

*ბაღდათის რაიონის სოფელ ვარციხის ტერიტორიაზე მდებარე სამხედრო ნაწილი N44762 წლების მანძილზე საავიაციო საბრძოლო მასალების საწყობს წარმოადგენდა. აქ ტექნიკური ნორმების დარღვევით ინახება მძიმეწონიანი ავიაბომბები. ნაწილის ტერიტორიაზე განთავსებულია როგორც "მიწა-მიწას" ტიპის ფრთოსანი რაკეტები, ასევე უთვალავი საავიაციო ბომბი და საბრძოლო მასალა, რომელთა უმეტესობა 500-600 კილოგრამს იწონის.*

ბექა სისაური
*ქუთაისი*

სამხედრო ნაწილის ტერიტორია 55 ჰექტარზეა გადაჭიმული და საავიაციო ბომბებიც მთელ ამ პერიმეტრზე, ღია ცის ქვეშ ყრია. ექსპერტების განმარტებით, მათი დეტონაციის შემთხვევაში იმერეთის რეგიონი მთლიანად აფეთქდება. მიუხედავად იმისა, რომ ნაწილის ხელმძღვანელობა აღნიშნული პრობლემის მოგვარებას წლების განმავლობაში ითხოვდა, ხელისუფლებამ რეალური ნაბიჯების გადადგმა მხოლოდ ახლა დაიწყო.

ორი დღის წინ აღნიშნული სამხედრო ნაწილი იმერეთის გუბერნატორმა დათო მუმლაძემ დაათვალიერა. მისი განმარტებით, შაბათს ეუთო-ს წარმომადგენლები და სამხედრო ექსპერტები ჩამოვლენ, რომლებიც სპეციალურ პოლიგონზე ავიაბომბების განადგურებას დაიწყებენ. **"ღმერთმა არ ქნას, აქ რაიმე მოხდეს, თორემ ქუთაისსა და ბაღდათს ჰაერში აიტანს. შაბათს ჩამოვა ეუთო-ს წარმომადგენელი, რათა მოხდეს ყველა საშიში ბომბისა და სხვა საშუალებების გაუვნებელყოფა, რათა გადავარჩინოთ იმერეთი აფეთქებას,** "- აცხადებს მუმლაძე. სამხედრო ნაწილის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის - მელაშვილის განმარტებით, მძიმეწონიანი საავიაციო ბომბებიდან დეტონატორები ამოღებულია და ცალკე ინახება, თუმცა მათი აფეთქების საშიშროება მაინც არსებობს. დეტონაცია კი, შესაძლოა, უბრალო გაუფრთხილებლობამ ან სულაც სტიქიურმა მოვლენამაც გამოიწვიოს. **"ნაწილის ტერიტორიაზე ფიქსირდება მოსახლეობის შემოპარვის მცდელობები... ტერიტორიის დასაცავად საკმარისი ძალები გვაქვს, მაგრამ პრობლემებია შუქის მხრივ. როდესაც ნაწილს შუქი გაეთიშება, ვითარება, ფაქტობრივად, უკონტროლო ხდება. საბრძოლო მასალის დეტონაციის შემთხვევაში 80 კილომეტრის რადიუსში აღარფერი იარსებებს,"** -განმარტავს მელაშვილი. მისივე განცხადებით, ავიაბომბების დაახლოებით 70 პროცენტი მოძველებული და გამოსაყენებლად უვარგისია.



*ნაწილის ტერიტორიაზე განთავსებულია როგორც "მიწა-მიწას" ტიპის ფრთოსანი რაკეტები, ასევე უთვალავი საავიაციო ბომბი და საბრძოლო მასალა.*

სამხედრო ნაწილი რუსების მიერ 1937 წელსაა დაარსებული და კოპიტნარში განთავსებული სამხედრო-საჰაერო ძალების საწყობს წარმოადგენდა. რუსებმა იგი იმიტომ არ წაიღეს, რომ ბომბების უმეტესი ნაწილი ძალიან მოძველებული გახლდათ. ექსპერტების განმარტებით, მოძველებული საავიაციო ბომბები ღია ცის ქვეშ აწყვია. მათში კოროზიის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. ბომბები იმდენად სავალალო მდგომარეობაშია, რომ მათი ადგილიდან დაძვრაც კი უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს.

გარდა აფეთქების საშიშროებისა, საავიაციო ბომბები რეგიონს ეკოლოგიური კატასტროფითაც ემუქრება. ავიაბომბების საწყობი აჯამეთის ეროვნულ ნაკრძალშია განთავსებული, სადაც მსოფლიოში უნიკალური ჯიშის მუხები ხარობს. შესაძლოა, ღია ცის ქვეშ, ყოველგვარი ტენიკური პირობების დარღვევით შენახული ბომბებიდან მომწამვლელმა ქიმიურმა ნივთიერებებმაც დაიწყოს გამოჟონვა. ადგილობრივი მოსახლობა კი კარგა ხანია, რაც მომატებულ თავის ტკივილს, არტერიულ წნევას და სიმსივნით დაავადების ხშირ შემთხვევებს უჩივის. საქართველოს ხელისუფლებამ აღნიშნული ბომბების მოცილება და ქვეყნის გარეთ გატანა რამდენჯერმე სცადა. ავიაბომბების გადამუშავებით ჯერ უკრაინა, შემდეგ კი ევროპის ერთ-ერთი ყოფილი სოციალისტური ქვეყანა დაინტერესდა. თუმცა საქმე ბოლომდე არც ერთხელ არ მივიდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ბომბები ძვირფას ლითონებს შეიცავენ, რის გამოც ნაწილის გაქურდვის მცდელობა არაერთხელ დაფიქსირდა. მაგალითად, შარშან აფხაზეთიდან დევნილმა რამდენიმე პირმა ფერადი ლითონის გულისთვის ბომბების დაშლა მოინდომა. მაშინ შს სამინისტროს ტრანსპორტის პოლიციის ათასეულის პოლიციელმა გოჩა კვარაცხელიამ, ამავე სამინისტროს საპატრულო-საგუშაგოს პოლიციელმა ჩაკვეტაძემ, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულმა პირებმა - თამაზ ცინაძემ, ვიტალი ბეზუვლადნიკოვმა სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე განთავსებული ფრთოსანი რაკეტა სპეციალური ხელსაწყოების გამოყენებით დაშალეს და შიგთავსიდან ფერადი ლითონი - პოლადიუმის შემცველი დეტალები ამოიღეს. ქურდებმა აღნიშნული დეტალების გატანა ნაწილის ტერიტორიის გარეთაც მოახერხეს. სამხედრო ნაწილის პირადმა შემადგენლობამ კი მხოლოდ ერთი მათგანი - ბეზუვლადნიკოვი დააკავა. მოგვიანებით, ბაღდათის პოლიციის მიერ გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ცინცაძე და კვარაცხელიაც იქნა დაკავებული. სამხედროების განმარტებით, საკმარისი იყო, ქურდები რაკეტის დაშლისას 10 სმ-ით დაბლა ჩასულიყვნენ, რომ დეტონაცია გარდაუვალი იქნებოდა. გამოძიებით გაირკვა, აღნიშნულ პირებს ანალოგიური დანაშაული გასული წლის თებერვალსა და მარტშიც ჩაუდენიათ.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პრობლემის გადაწყვეტის გზები უკვე გამონახულია. რწმუნებულმა მიწის მართვის სამსახურს ბომბების გაუვნებელყოფისთვის პოლიგონის გამოყოფა უკვე დაავალა.

---

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

**განათლების სისტემის წარმატებული რეფორმირებისთვის აუცილებელია განისაზღვროს ის სტრატეგიული მიზნები, რომელსაც სახელმწიფო უსახავს სისტემას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თხოვნით ქართველმა და უცხოელმა ექსპერტებმა მოამზადეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების პროექტი.**

**2004 წლის 8 ივნისს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბერძენიშვილი, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები შეხვდნენ თბილისის 205-ვე სკოლის დირექტორს. მათ დაურიგდათ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების პროექტი, რომელსაც ისინი წარუდგენენ სკოლის პედკოლექტივებს განსახილველად. სამინისტრო, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად პროექტს საქართველოს ყველა 3089 სკოლაში გაავრცელებს. დაიწყო ეროვნული მასშტაბის უპრეცედენტო კამპანია, რომლის მიზანია საქართველოს ყველა პედაგოგის მონაწილეობა ამ ფუძემდებლური დოკუმენტის შემუშავებაში.**

**განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყურადღებით შეისწავლის სკოლებისა და პედაგოგების მიერ წარმოდგენილ თითოეულ წინადადებასა და შენიშვნას და მათი გათვალისწინებით დოკუმენტის საბოლოო ვერსია საქართველოს მთავრობას განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინება.**





# ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

## პროექტი

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები თავისუფალი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი პიროვნების ჩამოყალიბებისთვის.

ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს აუცილებელ ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებში აყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას, ეხმარება მოსწავლეს ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე, მოზარდმა უნდა შეძლოს:

**ა. კომუნიკაცია ადამიანებთან და ჯგუფებთან**

სასკოლო განათლებამ უნდა მისცეს საზოგადოების მომავალ წევრს ზოგადი საკომუნიკაციო ჩვევები - წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა, უპირატესად საქართველოს სახელმწიფო ენაზე. ასევე უნდა განუვითაროს ჯგუფური მუშაობის და ჯგუფების შექმნის ჩვევები. ამასთან ერთად, სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს ამ უნარების გამომუშავება მშობლიურ ენაზე მათთვის, ვისთვისაც სახელმწიფო ენა მშობლიური ენა არ არის.

**ბ. ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და გაუმჯობესება**

მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ გარემოს, როგორ შეინარჩუნოს, დაიცვას და გააუმჯობესოს გარემო.

**გ. ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტურად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი**

დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და მრავალფეროვანი შინაარსის ინფორმაცია, ინფორმაციის ეფექტურად გამოყენების ჩვევები სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ მოიპოვოს ინფორმაცია, არამედ შეაფასოს ის შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით; განსაზღვროს დასახული მიზნებისათვის ამ ინფორმაციის გამოყენების ფორმები; ეფექტურად გამოიყენოს ტექნოლოგიური მიღწევები ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობისათვის საჭირო პირობების გასაუმჯობესებლად.

**დ. დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება**

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

**ე. იყოს შემოქმედი, იცხოვროს არა მარტო არსებულის ხარჯზე, არამედ თვითონაც შექმნას ღირებული**

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს ის ჩვევები, რომელიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

**ვ. საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების მანძილზე და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთ**

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი მთელი ცხოვრების მანძილზე დამოუკიდებლად შეიძინოს ახალი ცოდნა და უნარ-ჩვევები; მოზარდს უნდა შეეძლოს თავისი უნარებისა და სულიერი მიდრეკილებების ადექვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის ნათელი წარმოდგენა; მოზარდი მზად უნდა იყოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის ცხოვრებისეული არჩევანის გასაკეთებლად.

**ზ. ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება**

სასკოლო განათლებამ უნდა მისცეს მოზარდს საკუთარი ქვეყნის სულიერი, ინტელექტუალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების არა მარტო განსაზღვრის და შემეცნების, არამედ მათ სასიკეთოდ გადაწყვეტილებების მიღებისა და აქტიური მოქმედების უნარ-ჩვევა.

**თ. იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტული მოქალაქე**

დღევანდელ ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან, დინამიურ სამყაროში, საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა შეძლოს მოზარდში ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვისა და პატივისცემის უნარის გამომუშავება. ასევე, სკოლამ უნდა მისცეს მოსწავლეს ცოდნა, გამოიყენოს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვისა და პატივისცემის უნარი საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკულად განახორციელოს, იცხოვროს ამ პრინციპებზე დაყრდნობით.

*ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ძირითადი მიმართულებები და საშუალებები*

ზემოთ აღწერილი უნარ-ჩვევების განვითარებისთვის საქართველოს სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას, შეიმუშაოს და დანერგოს:

**1. ზოგადი განათლების პოლიტიკა და კანონმდებლობა**

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკითა და კანონმდებლობით განისაზღვრება სასკოლო განათლების სფეროში ჩართული მხარეების უფლებები და მოვალეობები, ასევე მიზნების შესრულების ძირითადი გზები და საშუალებები.

**2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სისტემა**

სასკოლო სისტემას შეადგენენ სხვადასხვა სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმისა და დაფინანსების წყაროების მქონე დამოუკიდებელი იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ საგანმანათლებლო საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მართვის პრინციპების და ეროვნული სასწავლო გეგმების, სასკოლო წესდებების მიხედვით. სასკოლო სისტემა მოიცავს მუდმივად განვითარებად მატერიალურ და ადამიანურ რესურსებსაც.

**3. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სისტემის რეგულირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები**

სკოლის სისტემის მართვის აუცილებელი კომპონენტებია: ლიცენზირება, აკრედიტაცია და ატესტაცია; სკოლის ადმინისტრაციული, ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვის უნარის განვითარება; სასკოლო სისტემის მართვის ძირითადი ფორმების განსაზღვრა და მისი შესრულების უზრუნველყოფა. ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვისა და ფუქციონირების ხარისხის შეფასება; ეროვნული შეფასებისა და საგამოცდო სისტემების შექმნა და მართვა.

**4. ეროვნული სასწავლო გეგმა**

ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების საფუძველზე. ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს: სასკოლო განათლების სფეროში მოსწავლეთა დატვირთვის აუცილებელ საფეხურებს; შინაარსობრივი და ჩვევითი ცოდნის გამომუშავების ზოგად ხერხებს; თითოეული საფეხურის დამთავრებისას შინაარსობრივი და ჩვევითი ცოდნის აუცილებელ ოდენობას; საგნებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებს სასკოლო განათლების ყველა საფეხურზე.

ცალკე აღებული თითოეული ეს საშუალება ვერ უზრუნველყოფს მოზარდში ზემოთ ჩამოთვლილი უნარ-ჩვევების სრულყოფილად ჩამოყალიბებას საზოგადოებრივი აქტივობისა და ყველა არსებული რესურსის ეფექტური ამოქმედების გარეშე. ამიტომ, ამ ჩვევების გამომუშავება ხდება სასკოლო გარემოს სრული ჩართვით: მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების, ადმინისტრატორებისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით, საკლასო ოთახებსა თუ სახლებში, კლუბებში, სკოლის დერეფნებსა თუ სპორტულ დარბაზებში, სკოლის ეზოებსა თუ სახელოსნოებში, გამოცდებისას თუ არჩევნებისას. მოსწავლეები, მათი მშობლები, მასწავლებლები, დირექცია თუ თემი არიან ის ძირითადი მოქმედი პირები, რომლებიც საკუთარი მონაწილეობით განაპირობებენ მიზნების შესრულების ხარისხს, მის წარმატებასა თუ წარუმატებლობას.

სახელმწიფო მიზნად ისახავს ისეთი სასკოლო სისტემის შექმნას, რომელიც ყოველ მოსწავლეს მისცემს თანაბარ შესაძლებლობას გამოიმუშავოს აღწერილი უნარ-ჩვევები.

სახელმწიფო არ დაუშვებს მოსწავლის დისკრიმინაციას სოციალური, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური კუთვნილების, ფიზიკური შესაძლებლობების თუ რაიმე სხვა ნიშნით.

*სწავლება-სწავლის ძირითადი პრინციპები*

ქართული საგანმანათლებლო ტრადიციისა და განათლების მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით 1-12 კლასებში სწავლება-სწავლის ძირითადი პრინციპები

**ა. სასწავლო საგნები იყოფა ექვს ძირითად ჯგუფად:**

1. ქართული ენა და ლიტერატურა;
2. მათემატიკა;
3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
4. საქართველოს ისტორია და საზოგადოებრივი მეცნიერებები;
5. უცხო ენები;
6. ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდა.

სასწავლო საგნების ჯგუფებად გაერთიანების მთავარი მიზანია მრავალფეროვანი საგნობრივი პროგრამის სისტემატიზაცია. საგნობრივი ჯგუფები შეიცავს მსგავსი მიზნების, შინაარსისა და შესწავლის მეთოდების მქონე საგნებს.

**ბ. თითოეული საგნობრივი ჯგუფი ისწავლება სასკოლო სწავლების სამივე საფეხურზე მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად**

თანამედროვე მსოფლიოში წარმატების მისაღწევად ადამიანს მრავალმხრივი განვითარება ესაჭიროება, რაც უნდა აისახოს სასკოლო გეგმასა და საგნობრივი ჯგუფების საათობრივ განაწილებაზე.

**გ. დაწყებით საფეხურზე საგნობრივ ჯგუფებში შემავალი საგნების სწავლება უფრო ინტეგრირებულია ვიდრე საბაზო და საშუალო საფეხურებზე.**

აზროვნების განვითარების კვალდაკვალ, მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, სამყაროსა და საზოგადოების ცხოვრების სულ უფრო დაწვრილებით შეისწავლონ. ამიტომ, განათლების საბაზო და საშუალო საფეხურებზე საგნები უფრო სპეციალიზებულად ისწავლება. სასწავლო პროცესში ამ საგნების შესწავლის შედეგად გამომუშავებულ უნარ-ჩვევებსა და მათ განვითარებას უფრო მეტი ყურადღება ეთმობა, ვიდრე დიდი მოცულობის ცოდნის გადაცემას და შეძენას. 10-12 კლასებში ხდება მოსწავლეთა მიერ საკუთარი ინტელექტუალური მიდრეკილებების განსაზღვრა და გაღვივება. გარკვეული მიმართულების მიხედვით სწავლა საშუალებას მისცემს ახალგაზრდას მოემზადოს უმაღლესი სასწავლებლების პროგრამების დასაძლევად. სწავლების მიმართულებებად დაყოფა ნიშნავს იმას, რომ გარკვეულ საგნებს, მოსწავლის არჩევანის მიხედვით, მეტი საათი დაეთმობა. ეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს სხვა საგნობრივი ჯგუფების უგულვებელყოფას.

*საგნობრივი ჯგუფების ძირითადი ამოცანები*

**1. ქართული ენა და ლიტერატურა**

ამ საგნობრივმა ჯგუფმა უნდა განუვითაროს მოზარდს ძირითადი საკომუნიკაციო უნარები (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) საქართველოს სახელმწიფო ენაზე. ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის ერთერთი მთავარი მიზანია გამოუმუშავოს მოზარდს ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემა, შეაყვაროს კითხვა, ხელი შეუწყოს მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური აღქმის და შეფასების უნარის ჩამოყალიბებას. ამ ამოცანას ემსახურება უცხოური ლიტერატურის შედევრთა გაცნობა ქართული ლიტერატურის სწავლების პროცესში. ამ საგნობრივი ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის განვითარება. მოსწავლეს უნდა გამოუმუშავდეს საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოთქმისა და სხვადასხვა შინაარსისა და დანიშნულების ტექსტის წერის უნარის.

**2. მათემატიკა**

მათემატიკური საგნების სწავლების ძირითადი მიზანია მოზარდში კვლევის ჩვევის, აგრეთვე ანალიტიკური, ლოგიკური, სისტემური და სიმბოლური აზროვნების გამომუშავება. მათემატიკის სწავლამ მოსწავლეს უნდა შესძინოს ის უნარ-ჩვევები, რომელიც მას დაეხმარება ცხოვრებისეული, პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად.

**3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებმა მოზარდს უნდა გამოუმუშავოს კვლევის, სამყაროსა და გარემოს შესწავლის, მისი დაცვისა და შენარჩუნების უნარ-ჩვევები. მოსწავლე გაეცნობა სამეცნიერო მეთოდებს და შეისწავლის მათი გამოყენების ხერხებს სამყაროს აღქმისა და გააზრებისათვის, აგრეთვე, გაეცნობა მეცნიერებათა მიღწევებს და მათ კავშირს ყოველდღიურ ცხოვრებასთან. საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების ერთ-ერთი მთავარი მიზანია იმ უნარების გამომუშავება, რომელიც ეხმარება ადამიანს, განსაზღვროს თავისი ადგილი ბუნებრივ გარემოში და დააკვირდეს მიმდინარე ბუნებრივ პროცესებს.

**4. საქართველოს ისტორია და საზოგადოებრივი მეცნიერებები**

ამ საგნობრივი ჯგუფის მთავარი მიზანია, გამოუმუშავოს მოზარდს როგორც საქართველოს მოქალაქეს უნარი, განსაზღვროს თავისი ადგილი მსოფლიოში გეოგრაფიული, ისტორიული, რელიგიური, პოლიტიკური, კულტურული თუ ეთნიკური რეალობების გათვალისწინებით. ცოდნისა და ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად ამ საგნობრივი ჯგუფის მიზანია: ისეთი უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომელიც მოამზადებს მას აქტიური და პასუხისმგებელი მოქალაქეობისთვის და საფუძვლად დაედება საკუთარი და საზოგადოებრივი ინტერესების შეცნობას, საკუთარი და სხვა კულტურების და მათ წარმომადგენლების პატივისცემას და შემწყნარებლობას.

**5. უცხო ენები**

უცხო ენების საგნობრივმა ჯგუფმა საქართველოს მოქალაქეს უნდა განუვითაროს სახელმწიფო ენასთან ერთად კიდევ ორ ენაზე კომუნიკაციის უნარი. ამ საგნობრივი ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, სხვა ენობრივი ჯგუფების წარმომადგენლებთან, წერილობით თუ ზეპირად, წარმატებით ურთიერთობის უნარის განვითარება. ძირითადი ყურადღება აქაც, ისევე, როგორც ყველა სხვა საგნობრივ ჯგუფში, შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარს ექცევა.

**6. ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდა**

ამ საგნობრივი ჯგუფის მიზნებია ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, ჯგუფური მუშაობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის უნარების გამომუშავება, მოზარდებში შრომითი, პრაქტიკული და სახელობო უნარ-ჩვევების განვითარება. ამ საგნობრივმა ჯგუფმა უნდა განუვითაროს მოზარდებს ხელოვნების ნიმუშების შექმნისა და მათი შეფასების, შეცნობის უნარი.

# ცხინვალში ვარდებს ელოდებიან

*"ჩემი პრეზიდენტი პუტინია!" - ამბობს ცხინვალის შესასვლელში მდგარი უზარმაზარი ბილბორდი. ის გორი-ცხინვალის სარკინიგზო გადასარბენზე სულ ახლახან გაჩნდა - ალბათ, არჩევნებისას. 31 მაისის შემდეგ ცხინვალი ცხოვრების ახალ რიტმზე გადავიდა - გაძლიერებული ბლოკ-პოსტები, ფორმიანი და შეიარაღებული ადამიანები და მათი შემხედვარე დათრგუნული მოქალაქეები... ქალაქში უცხო სახის გამოჩენა ეჭვს და უნდობლობას ბადებს; და თუ ეს უცხო ქართველი აღმოჩნდა, ის აუცილებლად მოხვდება ცხინვალის მილიციის განყოფილებაში. ჩემი დაკავებისა და ცხინვალის ჯერ სამართალდამცავ, შემდეგ სპეცსამსახურში წარდგენის მიზეზიც ეს იყო. თუმცა ჩხრეკისას ჟურნალისტის დამადასტურებელი დოკუმენტი აღმომიჩინეს. რამდენიმე საათიანი საუბრის შემდეგ ერგნეთის ბაზრობიდან მომავალ სამარშრუტო ტაქსში ვიჯექი და თბილისისკენ მოვდიოდი.*

თეიმურაზ სირაძე
ზვიად თხელიძე

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონიდან გადმოხვეწილი ქართველები, ძირითადად, გორში, რეგიონის მიმდებარე სოფლებში, დაბებში და თბილისში დაფუძნდნენ. მას შემდეგ ცამეტი წელიწადი გავიდა. ცამეტი წელიწადი დიდი დროა ერთი ოჯახის ისტორიისთვის.

აგარაში მცხოვრებ ქართველ დევნილებს, კითხვაზე - დაბრუნდებიან თუ არა უკან - ცხინვალში, პასუხის გაცემა უჭირთ. მათგან განსხვავებით, ცხინვალის მიმდებარე ქართული სოფლების მოსახლეობას ერთი სული აქვს, როდის გათავისუფლდებიან ქართულ ენაზე ჩურჩულით საუბრისგან (მაგალითად, საზოგადოებრივ ტრანსპორტში); იმის შეგრძნება, რომ ისინი მიატოვეს, მოწყვეტილნი არიან სამშობლოს, ძალზე აღიზიანებთ. რამდენიმე დღის წინ ცხინვალში ამბავი გავრცელდა, რომ თამარაშენში ოსები სცემეს...

ქართული სამსახურების უნიათო მუშაობამ თავისი შედეგი გამოიღო. 13 წლის განმავლობაში ოსი მოსახლეობის ინფორმაციის ძირითადი წყარო რუსული ტელეარხები იყო; გაჭირვებით იღებდნენ ტელარხ "თრიალეთის" და "რუსთავი 2"-ის საინფორმაციო გადაცემებს. ოსები დღეს პირველი არხის ოსურ გადაცემას უყურებენ, მაგრამ მშობლიურ ენაზე არც ერთი სიტყვა არ გვესმისო, აცხადებს ყველა ერთად.

ცხინვალის რეგიონის უშიშროების სამინისტროში ყოფნის რანდენიმე საათი სამსახურის თანამშრომლებთან საუბარში გავატარე. მათ ისიც კი არ იცოდნენ, რატომ შეიყვანა ქართულმა მხარემ სამხედროები და ტექნიკა რეგიონში. კითხვაზე - როგორ ფიქრობთ, გენერალმა ნაბდზოროვმა რატომ გააკეთა განცხადება მაინცდამაინც 31 მაისს, უპასუხოდ დატოვეს, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ისინი რუსეთს უკვე ეჭვის თვალით შეჰყურებენ. კითხვაზე - სამხრეთ ოსეთი რომ საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნდეს, რას მოიქმედებენ, მათ საკმაოდ მშვიდად მიპასუხეს: ჩრდილოეთ ოსეთს შევაფარებთ თავსო. გამოდის, რომ ისინი ამაზე ფიქრობენ.




იური ლობოდინის ფოტო

*ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება და დიალოგი გრძელდება. ცხინვალში ვარდებს მართლაც ელოდებიან.*

ოს რადიკალებთან საუბრისას, ასეთები კი, ძირითადად, რეგიონის სამართალდამცავ და ძალოვან სტრუქტურებში "მოღვაწეობენ", რამდენიმე ცნება დომინირებს - ქართველების მიერ მოწყობილი გენოციდი, სისასტიკე და უნდობლობა. აშკარაა ისიც, რომ მტრის ხატის შექმნის სპეციალისტებს, რუსეთის შესაბამის სამსახურებს, კარგად უმუშავიათ - სოროსის ფონდი, ოსების სისხლში მოსვრილი ქართველები და ამერიკის შეერთებული შტატები თავზარს სცემს იმათ, ვისაც სამუშაო კაბინეტებში ლენინის შრომები (მაგალითად "ლენინი და ოქტომბრის რევოლუცია") ჯერ კიდევ გამოსაჩენ ადგილზე უდევთ.

■ ■ ■

ცხინვალიდან ზნაურის მიმართულებით ერთადერთი რეისი სრულდება - "პაზიკის" ტიპის დანჯღრეული ავტობუსით დილის ცხრა საათზე. გზა ისეთი საშინელია, რომ ოცი კილომეტრის გავლას საათზე მეტი სჭირდება. ავტობუსი უკან სამ საათში ბრუნდება და ამით მთავრდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმოსვლა ამ მარშრუტზე. სეპარატისტული ხელისუფლების სტრუქტურებში გამეფებულმა კორუფციამ და განუკითხაობამ, მთლიანად მოშალა მეურნეობა.

"რო ვიომო და რაღაცა მოხდეს, მერე ადგებიან, ვინც ფული იშოვნა და გადავლენ ოჯრონიკიძეში, მე კიდე აქ დავრჩები," - ამბობს ერთი ოსი გლეხი და გასაგები მიზეზების გამო ვინაობას არ ამხელს. მას ახლა იმის გაგება აინტერესებს, "ქართველები რომ შემოვლენ, რა იქნება."

დღეს რეგიონში მრავალი ოჯახია, რომელბმაც სახლები გაცვალეს - ოსი ქართველის სახლში შევიდა საცხოვრებლად და ქართველი მის სახლში. მათთვის ალბათ ეს არის გაურკვევლობისგან თავდაცვის ერთი საშუალება.

■ ■ ■

ცხინვალში გამომავალ გაზეთში "მოლოდიოჟ ოსეტიი" საქართველოს პრეზიდენტის გვარი სააკაშვილიდან სასუქიშვილზე გადააკეთეს. რადიკალები ყველა ოსს, რომელმაც ქართული სასუქი აიღო, მოღალატეებად მიიჩნევენ. "სასუქზე გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემები გვაქვს და ჩვენზე ასეთი ფორმით ზრუნვა იაფფასიანი რეკლამაა და მეტი არაფერი," - ამბობენ ისინი. "აქ ვარდების რევოლუცია არ გამოუვათ, ეკლები დახვდებათ," - იმუქრებიან, მაგრამ მათ მუქარაში პროპაგანდისტის პათოსი უფრო გამოსჭვივის, ვიდრე თავისუფლებისთვის მებრძოლისა.

ემზადებიან თუ არა ოსები ომისთვის? ქალაქში მყოფი სამხედრო მოსამსახურეების ფორმა ძირითადად რუსული წარმოებისაა და აშკარად ახალი. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც ამერიკული ნაჭრისგან ქართველების შეკერილი ფორმა აცვიათ - ალბათ სამშვიდოებოებისგან იყიდეს. შეიარაღება და ეკიპირებაც შესაბამისი. არიან თუ არა ტყეებში დამატებითი შეიარაღებული დაჯგუფებები, ძნელი სათქმელია. თუ ასეთები მართლაც არსებობენ, მათი რაოდენობა ან ძალზე მცირეა, ან მათი ადგილ-მდებარეობა განსაკუთრებით არის გასაიდუმლოებული.

ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება და დიალოგი კი გრძელდება. ცხინვალში ვარდებს მართლაც ელოდებიან. სხვადასხვაგვარია ეს მოლოდინი, თუმცა ყველა საქართველოს მოქალაქეები არიან...

# როგორი უნდა იყოს პროკურორი? - დიიინჯი....

მაია მოსიაშვილი

ქვემო ქართლის ოლქის პროკურორი დაახლოებით ორი თვის წინ შეიცვალა, ახალგაზრდა მამუკა ცაავა ძველმა კადრმა - გია ჯიქიამ შეცვალა. ამ საკადრო ცვლილების ნამდვილი მიზეზი დღემდე უცნობია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ცაავას მუშაობის პერიოდში ქვემო ქართლის პროკურატურა აღძრული საქმეების რაოდენობის მიხედვით რეგიონებში პირველ ადგილზე იყო. ცნობილია ისიც, რომ ახალგაზრდა პროკურორსა და ასევე ახალგაზრდა მხარის გუბერნატორს, სოსო მაზმიშვილს შორის ფარული დაპირისპირება არსებობდა. გუბერნატორმა ოლქის პროკურორი რამდენჯერმე საჯაროდ გააკრიტიკა იმის გამო, რომ მან ვერც ერთი საქმე "ხმაურიანად" ვერ დაასრულა და ასევე ვერ შეძლო მამალაძის ვერც ერთი თანამოაზრე გამგებლის დაკავება. ცაავა ბოლომდე უტყვი იყო. მას მხოლოდ ერთხელ წამოსცდა, გუბერნატორს უფლება არ აქვს მითითებები მაძლიოს, ურჩევნია თავი დამანებოს, თორემო... და გაუშვეს კიდეც სამსახურიდან.

გია ჯიქიას ოლქის პროკურორად დანიშვნის შემდეგ ეს უწყება უფრო აქტიური არ გამხდარა. ცაავამ ოთხ თვეში 80-ზე მეტი საქმის აღძვრა მოასწრო, ჯიქიამ კი ტემპი აშკარად დააგდო.

**"ჩვენ ვჩქარობთ, ოღონდ დინჯად ვჩქარობთ. ყველამ იცის ჩემი პოზიცია, პროკურორი ფრთხილი უნდა იყოს,"** - განუცხადა "24 საათს" ოლქის პროკურორმა. ის ამბობს, რომ არავისთან შეჯიბრებას არ აპირებს და მხოლოდ სტატისტიკის მონაცემების გასაუმჯობესებლად ამას არ გააკეთებს.

პოსტრევოლუციურ საქართველოში პროკურატურის მთავარ პრიორიტეტად სამოხელეო დანაშაულის აღკვეთა იქცა. ეს ძალიან მომგებიანი იყო ეგზალტირებულ მასებზე შთაბეჭდილების მოსახდენად. თითქოსდა ლევან მამალაძის მიერ მართულ ქვემო ქართლში კორუმპირებული ჩინოვნიკების აღმოჩენა და გამოვლენა ძნელი არ უნდა ყოფილიყო, თუმცა მოლოდინი არ გამართლდა - დღემდე არ არის ცნობილი, ვინ ანაწილებდა უსამართლოდ მიწებს, ვინ სარგებლობდა უკანონოდ სახელმწიფოსთვის კუთვნილი სიმდიდრეებით და ა. შ.

გია ჯიქია აცხადებს, რომ მიწასთან დაკავშირებული არც ერთი სისხლის სამართლის საქმე დასრულებული არ არის, **"რადგან ის ძალიან შრომატევადია, შეცვლილი და დამახინჯებულია საკადასტრო რუკები, ამიტომ გამოძიება რევიზიების დასრულებას ელოდება."** მსგავს საქმეთა ზუსტ რაოდენობას პროკურორი ვერ იხსენებს და არც იმის თქმა შეუძლია, წინასწარ მივა თუ არა გამოძიება მსხვილ თანამდებობის პირებამდე.

**"ნაჩქარევი გადაწყვეტილება პროკურორმა არ უნდა მიიღოს. მტკიცებულებების და სათანადო საფუძვლის გარეშე საქმის აღძვრა მის გაჭიანურებას იწვევს. როგორ ფიქრობთ, რატომ არ დამთავრდა ეს საქმეები სამ თვეში? იმიტომ რომ თავის დროზე ნაჩქარევად იყო ისინი აღძრული,"** - ასე აკრიტიკებს თავის ახალგაზრდა წინამორბედს ჯიქია, რომლის ორთვიანი მოღვაწეობის პერიოდში მხოლოდ ერთი საქმე აღიძრა სამოხელეო დანაშაულზე. სამაგიეროდ აქცენტი გადავიდა მსხვილ სამრეწველო საწარმოებზე - "აზოტსა" და მეტალურგიულ კომბინატზე. ორივეგან უკვე დიდი ხანია პროკურატურის რევიზორები მუშაობენ, თუმცა იმის გამო, რომ შესასწავლი და გამოსაძიებელი ძალიან ბევრია, საქმის დასრულებამდე ბევრი წყალი ჩაივლის.

**"მეტალურგიაზე საქმე სამი თვის წინ აღიძრა - შათირიშვილს ედავებიან, რომ მანქანები გაასხვისა. მეტალურგიულ ქარხანაში სხვა დარღვევა თუ ვერ იპოვეს, ეს უბრალოდ ღიმილის მომგვრელია. ამიტომ, სერიოზული ფაქტები რომ დაიდოს და შემდეგ შეფასება მიეცეს, მათ გამოვლენა სჭირდება. ამჟამად დაახლოებით 600 ტომამდე საბუღალტრო დოკუმენტაციის დამუშავება ხდება. ეს საქმეები ლოგიკურ დასასრულამდე მივა, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ 1996 წლიდან დიდი დრო გავიდა. ეს ხალხი გულხელდაკრეფილი ხომ არ იყო. ისინი ყველფერს აკეთებდნენ, რომ დოკუმეტაცია განადგურებულიყო. მოწმეთა ჩვენებების მიღებაც პრობლემებთან არის დაკავშირებული. ასე რომ, ბევრი ხელისშემშლელი ობიექტური მიზეზი არსებობს,"** - ასე გვაიმედებს ოლქის პროკურორი.

მისი ინფორმაციით, ამ თვეში უნდა დამთავრდეს საქმე ბოლნისის გამგებლის მიმართ, ხოლო ახლახან პროკურატურამ წარმოებაში მიიღო საქმე მარნეულის რაიონის თანამდებობის პირთა მიმართ, სადაც საზღვარგარეთის სხვადსხვა ფონდების მიერ დაფინანსებული სოციალური პროექტებისათვის გამოყოფილი თანხების დატაცებაზეა საუბარი. გია ჯიქია კონკრეტულ გვარებსა და სახელებს არ ასახელებს, თუმცა ისედაც ცხადია, რომ ეს ორი საქმე ლევან მამალაძის ორ უახლოეს თანამოაზრეს - ბოლნისის გამგებელს ზურა ჯაფარიძეს და მარნეულის გამგებელს გოჩა ლორიას უკავშირდება. რამდენად წარმატებით გაართმევს თავს პროკურატურა ამ რთულ საქმეებს, სულ მალე შევიტყობთ.

# მამაა მკვლელი თუ შვილი, გაურკვეველია

*კახეთში კრიმინალური ვითარება ბოლო დროს საგრძნობლად დაიძაბა. არცთუ იშვიათად დანაშაულს თვით ძალოვანი უწყების თანამშრომლები ჩადიან. გუშინ გურჯაანში 29 წლის გოჩა აბაზაშვილი მოკლეს.*

კახეთის რეგიონში პოლიციის უფროსები მხოლოდ მაშინ აქტიურდებიან, როცა მათ სავარძლებს საფრთხე ემუქრებათ. სწორედ ასეთ ამბავს შეეწირა ორი თვის წინ გურჯაანელი კობა აბაზაშვილი, რომლის დაკავების მიზეზად თავდაპირველად ნარკოტიკების მოხმარება სახელდებოდა. აბაზაშვილის უკანონოდ დაპატიმრების შესახებ ეჭვი მას შემდეგ გაჩნდა, როცა თელავის ნარკოლოგიური სამსახურიდან გურჯაანის პოლიციაში საპირისპირო დასკვნა მივიდა, მაგრამ კობა აბაზაშვილს, ნარკორეალიზაციის ბრალდებით, მაინც სამთვიანი პატიმრობა შეუფარდეს.

ოჯახის წევრები დღემდე ამტკიცებენ, რომ კობას ნარკოტიკი ჩაუდეს: "ჩემი ძმა რამდენიმე თვე ავადმყოფობდა. მას ღვიძლის დაშლა და ტუბერკულიოზიც ჰქონდა. პოლიციამ კი ეს ყველაფერი ქულების მოსახვეჭად გააკეთა," - აცხადებდა თავის დროზე ეჭვმიტანილის ძმა გოჩა აბაზაშვილი.

იმის გულისთვის, რომ გოჩას ძმის უდანაშაულობა დაემტკიცებინა, მან დახმარებისთვის არაერთი უწყების ხელმძღვანელს მიმართა, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს კი მან ის პოლიციელი მონახა, რომელმაც, მისივე მტკიცებით, კობა აბაზაშვილს ნარკოტიკი ჩაუდო: "ჩვენ ყველამ კარგად ვიცოდით, რომ კობას ნარკოტიკი ზურა შავკაციშვილმა ჩაუდო. სწორედ ამის გამო ჩემი ძმისშვილი, ზურას ხშირად ხვდებოდა და ეუბნებოდა, საქმე ხომ გაიკეთე, ახლა ჩემი ძმა გამოუშვიო. ისიც დღესხვალეობით ჰპირდებოდ დახმარებას," - აცახდებს შოთა აბაზაშვილი.

ასეთი დაპირებები ამ საკითხთან დაკავშირებით და საქმეების გარჩევა თითქმის ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა, ბოლო შეხვედრა კი, რომელიც გუშინწინ საღამოს შედგა, გოჩასთვის საბედისწერო ღმოჩნდა. როგორც შოთა აბაზაშვილი აცხადებს, მის ძმისშვილსა და ზურა შავკაციშვილს შორის შეხვედრა ღამის თორმეტ საათისთვის სოფელ გურჯაანში, შავკაციშველების სახლის წინ, "საჭაშნიკეს" კიბეებთან შედგა. ამ ფაქტს გოჩა აბაზაშვილის მეზობელი თემურ სიმონიშვილიც ადასტურებს: "ტელეფონზე რომ მორჩა საუბარს, გოჩა ზურასთან შესახვედრად წავიდა. იქ რაც მოხდა, ეს უკვე დილით შევიტყვე," - ამბობს სიმონიშვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ სატელეფონო საუბრის დროს ზურა შავკაციშვილი მეგობრის ბავშვის დაბადების დღეზე იმყოფებოდა და როგორც შოთა აბაზაშვილი აცხადებს, "სტრელკა" გოჩას სწორედ მან დაუნიშნა: "მე რას წარმოვიდგენდი, რომ ძმის შვილს მომიკლავდნენ. არა და ზუსტად მათი შეხვედრის დროს იარაღის გასროლა რამდენჯერმე მომესმა, რადგან მე შავკაციშვილების მეზობლად "საჭაშნიკესთან" ვცხოვრობ," - ამბობს შოთა აბაზაშვილი. მან მკვლელობის შესახებ გვიან ღამე გაიგო.

მომხდართან დაკავშირებით საქმის მოკვლევა რაიონულმა პროკურატურამ დაიწყო. დღის მეორე ნახევარში კი დამნაშავის ვინაობაც გაირკვა. მკვლელად ზურაბ შავკაციშვილის მამა, იოსებ შავკაციშვილი გამოცხადდა. ამის შესახებ კომენტარისთვის "24 საათი" პროკურორს რევაზ ჩივიაშვილს დაუკავშირდა და პარალელურად ეჭვმიტანილსაც გაესაუბრა. ჩივიაშვილის მტკიცებით, "გოჩა აბაზაშვილი შავკაციშვილების ოჯახს მიუვარდა. ოჯახის უფროსს - იოსებ შავკაციშვილს სიტუაცია რომ განემუხტა, "თავდამსხმელი" კიბეებზე ჩააცილა. მოგერიების მიზნით მან გოჩას ხელიდან ავტომატი გამოსტაცა და ჰაერში გაისროლა".

განსხვავებულია იოსებ შავკაციშვილის კომენტარი ჟურნალისტებთან. მისი თქმით, გოჩა აბაზაშვილს ზურას ნაცვლად ტელეფონზე მან უპასუხა. "თორმეტი საათი იქნებოდა, ჩემი შვილის მობილურმა დარეკა. რადგან ზურას ეძინა, მე ვუპასუხე, უშვერი სიტყვებით იმუქრებოდა. იგი ზურას კიბეებზე ჩამოსვლას მოითხოვდა. სიტუაციის განსამუხტავად მე ჩავედი ჩემი შვილის მაგიერ. მან ეტყობა ვერ მიცნო, ავტომატი გადატენა და დამიმიზნა, მე კი გვერდიდან მოვუარე და წავართვი. რამდენჯერმე ჰაერშიც გავისროლე, ამასობაში კი მან ყუმბარის გახსნა დაიწყო. მე მისთვის ავტომატი არ მისვრია. არ ვიცი, როგორ მოხვდა," - ამბობს ბრალდებული იოსებ შავკაციშვილი.

გარდაცვლილის ახლობლები აცხადებენ, რომ მკვლელობამდე გოჩას შავკაციშვილები ფიზიკურად გაუსწორდნენ. ეს ფაქტი ექსპერტმა გურამ კანტროშვილმაც დაადასტურა.

მომხდართან დაკავშირებით მასალების მოკვლევას რაიონის პროკურატურა აწარმოებს, საქმე განზრახ მკვლელობის ბრალდებით არის აღძრულია, თუმცა, როგორც ჩივიაშვილი განმარტავს, შესაძლებელია მკვლელობას სხვა კვალიფიკაცია მიეცეს.

*24 საათი*

# ძველი ხელისუფლება თელავში კიდევ ერთხელ დამარცხდა

*გაუთავებელი სასამართლო პროცესი, რომელიც თელავში სავარძლებისთვის ბრძოლას უკავშირდებოდა, ამ ცოტა ხნის წინ ძველი ხელისუფლების მხარდამჭერების სასარგებლოდ დასრულდა, მაგრამ მათთვის გამარჯვების ზეიმი ნაადრევი აღმოჩნდა, რადგან იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზამ ამჯერად უპირატესობა ახლ ხელისუფლებას მიანიჭა.*

ზვიად რუაძე
კახეთიდან

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ კახეთის რეგიონმა გუბერნატორებთან ერთად გამგებლებიც რამდენჯერმე გამოიცვალა. რაიონების თავკაცების სიმრავლით კი რეკორდი თელავმა მოხსნა. მოვლენები აქ მას შემდეგ გამწვავდა, რაც სათავეში მოსვლა ძველი ხელისუფლების გუნდმა კვლავ მოინდომა.

გელა კირვალიძე მედეა მეზვრიშვილის წასვლის შემდეგ თელავის გამგებლად დაინიშნა, მაგრამ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტად მოსვლის შემდეგ, მის ნაცვლად გამგებლის მოვალეობის შესრულება "განაციონალებულ ტრადიციონალისტ" გოჩა მამცაშვილს მოუწია, რამაც თელავში აურზაური გამოიწვია, სახელისუფლებო პარტიაში კი განხეთქილებამ იჩინა თავი. მასობრივ აქციებს და ხელჩართულ ბრძოლებს ორად გახლეჩილ "ნაციონალებში" წინ უძღოდა გელა კირვალიძის მხარდამჭერებისგან (მათ უკან მეზვრიშვილი მოიაზრებოდა) მთელი რიგი სასამართლო პროცესები. ისინი მამაცაშვილს იმ დოკუმენტაციის გაყალბებაში ადანაშაულებდნენ, რომლის საფუძველზედაც მოხდა აპარატის თანამშრომლების გათავისუფლება. "საკუთარი უფლებების" აღსადგენად განსაკუთრებული ბრძოლა, გოჩა მამაცაშვილის მოსვლამდე კირვალიძის ყოფილ პირველ მოადგილეს გელა ღარიბაშვილს მოუხდა. ამის გამო მან რაიონულ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. სასამართლოზე მესამე მხარეს ყოფილი გამგებელი გელა კირვალიძე წარმოადგენდა, რომელმაც ჩვენების დროს ახალი ხელისუფლების მისამართით სკანდალური განცხადება გააკეთა - იგი ამ ყველაფერში ბრალს, მამაცაშვილის გარდა, პეტრე ცისკარიშვილსაც სდებდა: **"პეტრე ცისკარიშვილის ჩამოსვლის დღეს გოჩა მამაცაშვილი მეწვია და თანამდებობის დატოვება მიბრძანა, გამგებლის პირველი მოადგილის ჯერ არარსებული ვაკანსიის შევსება კი საკუთარი კანდიდატურით მოისურვა. კარგად მახსოვს, მისი წასვლის შემდეგ როგორ მოვაწერე ხელი განცხადებას გამგებლის პირველი მოადგილის გოჩა მამაცაშვილის დანიშვნის შეახებ, მაგრამ პირველი მოადგილის გელა ღარიბაშვილის განკარგულებაზე ხელის მოწერა მოუცლელობის გამო ვერ მოვახერხე, შესაბამისად, ბრძანების წიგნშიც არ გამიტარებია. ამის გარეშე კი ღარიბაშვილის იძულებითი თხოვნა სამსახურიდან წასვლის თაობაზე ძალაში ვერ შევიდოდა, აღნიშნული საბუთი თავლითაც არ მინახავს და როგორ გაჩნდა მასზე ხელმოწერა, ჩემთვის გაუგებარია,"** - განაცხადა სასამართლოზე კირვალიძემ. სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით, სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელე მხარის მოთხოვნა და გელა ღარიბაშვილი, გამგეობის რამდენიმე სხვა თანაშრომელთან ერთად, თანამდებობაზე აღადგინა. გამარჯვებით ფრთაშესხმულმა გამგებლის ექსმოადგილეებმა - ლევან დიასამიძემ, გელა ღარიბაშვილმა, თემურ დაღუნდარიძემ და ადმინისტრაციული ორგანოებთან მუშაობის განყოფილების გამგემ, თამაზ კარდენახიშვილმა ჩივილი გააგრძელეს. ისინი, მათი თქმით, გამყალბებლის - გოჩა მამაცაშვილის მიმართ სისხლის სამრთლის საქმის აღძვრას ითხოვდნენ. პროკურატურამ კი საქმის აღძვრამდე ხელმოწერაზე ექსპერტიზის ჩატარება მოითხოვა. პასუხი კირვალიძის მხარდამჭერებისთვის "მეხის დაცემასავით გაისმა". იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზითა და სპეცგამოკვლევით დადგინდა, რომ ბრძანება ღარიბაშვილის გათავისუფლების შესახებ მართლაც კირვალიძის მიერ იყო ხელმოწერილი. ეს ფაქტი პირველად თელავის გამგეობის პრეს-სამსახურმა გაახმოვანა: **"თუ გავითვალისწინებთ რაიონში ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს, სერიოზული ეჭვი გვაქვს, რომ ესენი არიან რევანშისტების ერთ-ერთი რგოლი, რომელიც ერთიანი სამოქმედო პროგრამით და ცრუ ჩვენებებით ცდილობს რაიონში სიტუაციის დაძაბვას. მერწმუნეთ, ექსპერტიზის დასკვნა არ იქნება ბოლო ფაქტი. მეზვრიშვილის კლანი კვლავ შეეცდება თანმდებობებზე დაბრუნებას,"** - ამბობს მამაცაშვილის პრეს-მდივანი.

იმისათვის, რომ ექსპერტიზა ობიექტურად წარმართულიყო, გელა კირვალიძეს ჩამოერთვა ხელმოწერის ნიმუშები. **"ექსპერტიზამ მართლაც დაადასტურა, რომ ხელმოწერა კირვალიძეს ეკუთვნოდა. თუმცა გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით კვლავ მიმდინარეობს,"** - განაცხადა თელავის პროკურორის თანაშემწემ ზურაბ ჯავახიშვილმა. თავად გელა კირვალიძე კი "24 საათთან" საუბარში აცხადებს, რომ იგი ვერ იხსენებს იმ ფაქტს, თუ როდის მოაწერა ხელი ღარიბაშვილის გათავისუფლების შესახებ დოკუმენტაციას. **"მე იმ დროს ძალზე განერვიულებული ვიყავი და არ მახსოვს, როგორ მოვაწერე ხელი საბუთებს. თუ ვინმე შემახსენებს ამას, კარგი იქნება. რაც შეეხება ამ ფაქტთან დაკავშირებით ზეწოლას, არ ყოფილა, თუმცა სხვა რამეზე ზეწოლები ხშირია, რომლის შესახებ, სამწუხაროდ, ვერ გეტყვით,"** - განმარტავს კირვალიძე.

**ქართული ფოლკლორი აქ და ამერიკაში**



"უნივერსიტეტი" ერთადერთი ანსამბლი იქნება, რომელიც ამერიკაში, კლასიკური მუსიკის ფესტივალზე ფოლკლორს შეასრულებს.

B2

**მუდამ ჭორჭიაზე ფიქრში**



რეი ჩარლზი
(1930-2004)

B3

**აფრიკელები საქართველოს, საქართველო ევროპის წინააღმდეგ**



B5

# პროფესიული, ნაკლებად „ტუსოვშიკური" ფესტივალი

მაია ჭალაგანიძე

*წიგნის ფესტივალები და ბაზრობები, ჯერ-ჯერობით, საეჭვო ხარისხის კონცერტებთან ასოცირებულ ფილარმონიაში იმართება. იმიტომ რომ, ა) ეს არ არის დიდი ფერსტივალი და ბ) ორგანიზატორებს არ სჭირდებათ ავტობუსების დაქირავება დიდუბეში, საგამოფენო ცენტრ "ექსპოჯორჯიაში" მკითხველთა ორგანიზებულად წასაყვანად. მელიქიშვილისა და კოსტავას ქუჩის კუთხე წიგნის მოყვარულთათვის გაცილებით ადვილი მისასვლელია.*

*ეს გიორგი დარსალიას ორგანიზებული წიგნის პირველი ფესტივალი იქნება. მანამდე ის "ექსპოჯორჯიაში" აწყობდა წიგნთან არანაირად დაკავშირებულ საერთაშორისო გამოფენებს. სხვადასხვა სამსახურებში იქამდე მუშაობდა, ვიდრე არ გადაწყვიტა, გაეკეთებინა ის, რაც ყოველთვის სურდა - წიგნის მაღაზია. არის გამომცემლობა "არეტეს" და მაღაზია "პარნასის" დამფუძნებელი და დირექტორი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის ფაკულტეტზე სამი წელი ისწავლა. მერე ავსტრიაში წავიდა და ინსბურგის უნივერსიტეტში პოლიტოლოგიის საფუძვლები შეისწავლა. როგორ პოლიტიკურ შეფასებებს აკეთებს, ამას ქვემოთ ნახავთ. როგორ ფესტივალებს აწყობს - 15 ივნისს ვიხილავთ.*

ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა გქონდეს წაკითხული ყველა წიგნი.

ავკრძალავდი წიგნს, სადაც ასწავლიან, როგორ უნდა მოკლას ადამიანმა ადამიანი...

გამოფენების მოწყობა მუდმივი მილიონი დეტალია... ისეთ კითხვებს მისვამენ, "ღამის შოუს" ჰედლაინებში რომ გამოდგება.

ნებისმიერი ფესტივალი, გამოფენა თუ ბაზრობა ურთიერთობების დამყარების საშუალებაა. ამ შეზღუდულ სივრცეში მთელი წიგნის სამყარო ტრიალებს.



მარიკა ამირეჯაშვილის ფოტო

*გიორგი დარსალია სტუმრად "24 საათის" რედაქციაში.*

**- რა განსხვავებაა წიგნის ფესტივალსა და წიგნის ბაზრობას შორის?**

- პრინციპული განსხვავება არ არის. ფესტივალი უფრო საზეიმო დასახელებაა, თორემ მუსიკა და პრეზენტაციები ნებისმიერ თავმოყვარე წიგნის ბაზრობასაც გააჩნია.

ერთი თვის წინაც კი არ იყო ზუსტად ცნობილი, ჩატარდებოდა თუ არა ეს ფესტივალი - დაფინანსების და შიდა ორგანიზაციული პრობლემები იდგა. თავიდანვე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კულტურის სამინისტროს. წელს წიგნის მეექვსე ფესტივალი ტარდება და ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც მას სახელმწიფო აფინანსებს. აქამდე მსგავსი გამოფენები ან უცხოელი დონორების, ან გარე დაფინანსებების ხარჯზე ტარდებოდა.

**- ქვეყანაში ეს არავის აინტერესებდა?**

- არა მხოლოდ წიგნის ბაზრობას და ფესტივალს, არამედ ნებისმიერ გამოფენას თავად მონაწილენი აფინანსებენ.

**- როგორია გამოფენის არქიტექტურა, კონსტრუქცია?**

- იმის გამო, რომ საქართველოში წიგნის ფესტივალის ფუნქცია საცალო გაყიდვაა, უფრო მნიშვნელოვანია, რომ სტენდი ცენტრში იდგეს, იქ, სადაც ბევრი ხალხი ტრიალებს.

უცხოეთის ფესტივალების ფუნქციაა წიგნით მოვაჭრეთათვის, დილერებისთვის პროდუქციის გაცნობა და ამიტომ მის გამართვას წყნარ გარემოში არჩევენ ხოლმე. ფილარმონიის ფოიე იმხელა არ არის, რომ განლაგებას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს. განსხვავება პირველ და მეორე სართულებს შორის არის.

**- მხოლოდ ქართულ გამოცემებს ვიხილავთ?**

- არა. ნებისმიერ ენაზე გამოცემული პროდუქციის დისტრიბუტორები იქნებიან. წარმოდგენილი იქნება რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია, ელექტრონული გამოცემები...

**- ქუჩის მოვაჭრეები არ იქნებიან?**

- არა. გამოფენაზე მხოლოდ იურიდიული პირები იქნებიან წარმოდგენილნი.

**- რამდენად საჭიროა ეს ფესტივალი გამომცემელთათვის?**

- ინტერესი თითქმის ასპროცენტიანია და ფესტივალში მეტ-ნაკლებად ცნობილი გამომცემლობები იღებენ მონაწილეობას.

**- ორგანიზატორებმა სტენდების მოსაწყობად კრიტერიუმები დააწესეს თუ გამომცემელთა გემოვნებას ენდნენ?**

- ყველაფერი მსოფლიო, ევროპული სტანდარტებით კეთდება. ნებისმიერ გამოფენას აქვს საგამოფენო კონსტრუქცია. ჩვენ "ექსპოჯორჯიიდან" ვქირაობთ. ეს "ლეგოსავით" არის - წუთებში გადააწყობ და გადმოაწყობ. საკუთარი კონსტრუქციის ქონას და ტარებას აზრი ეკარგება, რადგან თავისუფალი ფართი 20 პროცენტით ნაკლები ღირს, ვიდრე კონსტრუქციით. მხოლოდ და მხოლოდ მსოფლიოს გიგანტი გამომცემლობები იღებენ თავისუფალ ფართს, ისინი, ვისაც რაღაც განსაკუთრებული კონსტრუქციის წარმოდგენა სურთ და ეს ხარჯები მათთვის არაფერია - თავისუფალი ფართის აღება და საკუთარი კონსტრუქციის დამზადება ფუფუნებაა. წინა ფესტივალებიდან იყო იმის შიში და გამოცდილება, რომ სკამები და მაგიდები სახლიდან მოჰქონდათ და ესთეტიკურ მხარეს ყურადღებას არ აქცევდნენ.

**- ყველა გამოფენა - სასოფლო სამეურნეო იქნება ეს თუ არქიტექტურული - დიდუბეში, "ექსპოჯორჯიაში" ეწყობა. წიგნებისა - ფილარმონიაში. ეს პოლიტიკაა?**

- ეს ტრადიციად დამკვიდრდა. დღესდღეობით წიგნის ფესტივალები, ბაზრობები თუ გამოფენები საბოლოო მომხმარებლისკენ არის მიმართული და არა ბიზნესის წარმომადგენლებისკენ. სწორედ ამიტომ შეირჩა ფილარმონია. ჩვეულებრივი წიგნის მკითხველი კი ბევრად უფრო ადვილად მოვა ფილარმონიაში, ვიდრე დიდუბეში.

ორგანიზატორებისთვის ბევრად უფრო მარტივი და მოსახერხებელი იქნებოდა "ექსპოჯორჯია". წესით, ნებისმიერი ფესტივალისთვის მზადება ერთი წლით ადრე უნდა დაიწყოს. როცა ასეა, უცხოელთა ჩამოყვანას გეგმავ და საშუალება გეძლევა, რომ ეს ინტერგამოფენა გახდეს. ასეთ შემთხვევაში გამოფენის ფილარმონიაში გაკეთება გაუმართლებელი იქნება - ინტერგამოფენას სხვა მოთხოვნები და ინფრასტრუქტურა აქვს.

**- თავად "მანიაკი" მკითხველი ხართ?**

- არ ვარ, ვერ ვიქნები და არც მინდა ვიყო. ყველა წიგნზე რომ საკუთარი აზრი გააჩნიათ ხოლმე, სულ მგონია, რომ ეს ხალხი მატყუებს. ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა გქონდეს წაკითხული ყველა წიგნი. ხშირ შემთხვევაში უხერხულ მდგომარეობაშიც ვვარდები, რადგან ზოგი ქართველი ავტორიც კი არ მაქვს წაკითხული. თუმცა, ქართველ ავტორებთან ერთად ვცდილობ, რომ თანამედროვე უცხოური ლიტერატურა ვიკითხო. უნდა იცოდე, რა არის საინტერესო, რადგანაც ეს მომხმარებელს უნდა შესთავაზო. მეორე მხრივ, ბიზნესის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია - უნდა ჩამოიტანო წიგნი, რომელიც გაიყიდება.

**- ცოცხალ ავტორებზე უფრო მეტი მოთხოვნილებაა?**

- არ დავკვირვებივარ... ამის სტრუქტუირება ცოტა რთულია. სამწუხაროდ, გარდაცვლილი ქართველი ავტორების წიგნები ან არ არსებობს, ან ძალიან ცოტაა. კლასიკოსთა წიგნები ადრეა გამოცემული. რაც უნდა სამარცხვინო იყოს, ილია ჭავჭავაძეს "პარნასში" ვერ იყიდი - არ არის გამოცემული და იმიტომ. თუ ვინმე შემოგვთავაზებს, კლასიკოსებს ყოველთვის ვიღებთ.

**- არიან ავტორები ან წიგნები, რომელზეც უარს იტყვით და მაღაზიის თაროზე არ დადებთ?**

- თითქმის არ არსებობს ისეთი ქართულენოვანი გამოცემა, რომელზეც უარს ვიტყვით. რა თქმა უნდა, თუ ეს კანონს არ არღვევს.

**- რა კანონით მუშაობენ წიგნით მოვაჭრენი?**

- წიგნის შესახებ კანონი არ არსებობს. მაგრამ, ფაშისტურ წიგნს მაღაზიაში არ დავდებ. ეს არ არის ლიტერატუტრულ-კრიტიკული სალონი, ეს - მაღაზიაა და ჩვენი კარი აბსოლუტურად ყველა ქართული გამოცემისთვის ღიაა. არბიტრობას ვერ დავიწყებთ.

**- რა წიგნს აკრძალავდით?**

- ასე უცბად არ მახსენდება... ალბათ, წიგნს, სადაც ასწავლიან, როგორ უნდა მოკლას ადამიანმა ადამიანი...

**- შეგიძლიათ აღწეროთ საქართველოში ჩატარებული წიგნის ფესტივალების ევოლუცია?**

- სამწუხაროდ, ბოლო ორ ფესტივალზე ჩავერთე... გარკვეული ძვრები ყოველთვის შეიმჩნევა. როგორც ვიცი, პირველ ფესტივალზე ძალიან ცოტა გამომცემლობა და წიგნი იყო წარმოდგენილი. გამომცემელთა, წიგნების, გამავრცელებელთა რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს. შარშანწინ პრიზების გადაცემა იყო, შარშან - არა. წლევანდელი ფესტივალი უფრო მეტად პროფესიული და ნაკლებად "ტუსოვშიკური" იქნება. იმედი მაქვს, მომავალ წელს კიდევ უფრო დაიხვეწება.

**- როგორ შეუწყობს ხელს ფესტივალი საგამომცემლო ბიზნესის განვითარებას?**

- ნებისმიერი ფესტივალი, გამოფენა თუ ბაზრობა ურთიერთობების დამყარების საშუალებაა. მთელი სექტორია თავმოყრილი იმ პატარა ფართზე და ავტორებთან, გამავრცელებელთან, გამომცემლებთან იქვე ხდება გარიგებები. ამ შეზღუდულ სივრცეში მთელი წიგნის სამყრო ტრიალებს, რაც საუკეთესოს არჩევის საშუალებას იძლევა. სწორედ ეს არის ნებისმიერი ფესტივალის პლუსი, დანიშნულება და ფუნქცია.

**- რამდენად ასახავენ გამომცემლობები თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებს?**

- მხოლოდ ნაწილობრივ. სამწუხაროდ, საქართველოში ეს ბიზნესი ისეთი მძლავრი არ არის, რომ წიგნის გამოცემა დიდ ფინანსურ რისკთან არ იყოს დაკავშირებული. გარკვეული დროის განმავლობაში სახელმწიფო ამ სექტორით აბსოლუტურად არ იყო დაინტერესებული. არსებობდნენ ფავორიტი მწერლები, რომლებიც იღებდნენ ათი ათასებს, გამოსცემდნენ ერთ წიგნს, მერე ეს წიგნი სახელმწიფო დაკვეთით იყიდებოდა. ეს წიგნის სექტორს რეალურად არაფერში ადგებოდა, თანხები იმისთვის არ იხარჯებოდა, რომ წიგნები ბიბლიოთეკებში შესულიყო.

კულტურის სამინისტრო ძალიან კარგ, ბიბლიოთეკების წიგნებით მომარაგების პროექტზე მუშაობს. ამ პროექტის უკუგება ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. საქართველოში, დაახლოებით, 300 ბიბლიოთეკაა. თუ სახელმწიფო მათ წიგნებს უყიდის, ეს იმას ნიშნავს, რომ ბიბლიოთეკა გამდიდრდება, მკითხველს საშუალება ექნება, ყიდვის გარეშე გაეცნოს წიგნს და გამომცემელს ექნება სტიმული, რომ შიშის გარეშე დაბეჭდოს წიგნები, რადგან დაახლოებით 300 ეგზემპლარი გარანტირებულად გაიყიდება. მწერლებს შემოსავალი ექნებათ და ამ ერთი პროექტით მთელი წიგნის სექტორი განვითარდება.

**- იქნებ, ზოგიერთ მწერალს არ მივცეთ ეს სტიმული?**

- გარკვეული მექანიზმი, ალბათ, იქნება. ყველა წიგნს ხომ არ იყიდიან ბიბლიოთეკები?!

**- კომერციულად მომგებიანი მდარე ლიტერატურა უფრო იბეჭდება თუ გამომცემლები გემოვნებიანი მკითხველის ინტერესებს ითვალისწინებენ?**

- გამომცემლობას გააჩნია.

**- "თავმოყვარე" გამომცემლობები ჭარბობენ?**

- შემიძლია საკუთარ გამომცემლობაზე ვისაუბრო. "არეტეს", ჯერჯერობით, 5 წიგნი აქვს გამოცემული - "წიგნი ამბა ბესარიონისა", რომელიც, სერიოზულ ლიტერატურას განეკუთვნება, გერონტი ქიქოძის "ჩანაწერები", თანამედროვე პოპულარული ავტორი ლაშა ბუღაძე და მადონას ორი საბავშვო წიგნი, რომელიც ჩემი აზრით, ფანტასტიკური წიგნებია, მაგრამ ზოგისთვის ავტორი არ არის ფანტასტიკური, რამაც ფინანსური პრობლემები შეგვიქმნა. ბევრი მშობელი სწორედ ავტორის გამო არ ყიდულობს წიგნს, თორემ მე თუ მკითხავთ, გამოცემა შედევრია - ძალიან კარგი ილუსტრაციებითა და ფორმატით. ტექსტი კი ბავშვებისთვის სიკეთისა და სიყვარულის მასწავლებელია.

**- ავტორმა შეგიშალათ ხელი, თუ ეს იყო გამომცემლობის შეცდომა - როულინგის ეპოქაში ახალი საბავშვო ავტორის გამოჩენა წამგებიანი არ იქნებოდა?**

- როგორ გითხრათ - ზოგი იმიტომ ყიდულობს, რომ მადონას დაწერილია. რაც შეეხება ჰარი პოტერს - ეს აბსოლუტურად სხვადასხვა სეგმენტია. მადონას წიგნები იმ ასაკისთვის არის გამიზნული, ვისაც ჯერ კიდევ უკითხავენ წიგნებს, ან ეს-ეს არის, კითხვას სწავლობენ.

**- გამომცემლებს აქვთ მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო წიგნები. მკითხველიც ასევე აფასებს ლიტერატურას, თუ გამომცემელსა და მკითხველს სხვადასხვა შეფასებები აქვთ?**

- ხშირ შემთხვევაში, ეს იმდენად გემოვნების საკითხი არ არის, რამდენადაც წმინდა ეკონომიკური გათვლების. დიდი სიამოვნებით გამოვცემდი უფრო კარგ ქაღალდზე და უფრო დიდ წიგნს, მაგრამ ეს ყველაფერი ფასში აისახება და მომგებიანი არ იქნება. გამომცემლისა და მკითხველის გემოვნება კი ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს.

**- წიგნის მაღაზიის მფლობელი ხართ და გაქვთ ამის კარგი თვალსაჩინოება...**

- ხშირად მიფიქრია, ამ წიგნს რა გაყიდის-მეთქი და ორ დღეში გაყიდულა. პირიქით მაგალითებიც მქონია... ვცდილობთ, რომ იყოს დიდი არჩევანი და არა რაოდენობა.

**- წიგნის მაღაზია მომგებიანი ბიზნესია?**

- წამგებიანი არ არის.

**- თქვენ კაფეც გააკეთეთ. წიგნის მოყვარულები მაღაზიაში ვეღარ დაატიეთ?**

- ნაწილობრივ, ამასაც ჰქონდა მნიშვნელობა, მაღაზიაში ჩატარებული პრეზენტაციები ერთმანეთს დაემსგავსა, არ იყო საშუალება, უფრო სერიოზული დისკუსიები გამართულიყო, აღარ იყო დასაჯდომი ადგილები.

**- და დასადგომიც...**

- დიახ. იმაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია, რომ იქ მეორე განყოფილება გამართულიყო. ამიტომაც კაფის აუცილებლობა შეიქმნა. აქ მხოლოდ პრეზენტაციები კი არ იმართება, არამედ მუდმივი შეხვედრების ადგილადაც იქცა.

**- ასაკოვანი მკითხველი შემოივლის ხოლმე თქვენთან?**

- მკითხველს ასაკობრივად ვერ დავყოფ. პატარა ბავშვებიდან დაწყებული, ყველანაირი კატეგორია დადის.

**- დღეს რას ეტანება მკითხველი?**

- აბსოლუტურად ყველაფერს, ჟანრობრივად ვერ განვასხვავებ. გაყიდულ ლიტერატურას რომ გადახედოთ, ნახავთ, რომ მხატვრულ ლიტერატურას 25 პროცენტი უჭირავს, 25 პროცენტი - საბავშვოს, 25 - სპეციალურ ლიტერატურას... დიდი განსხვავება არ არის. რისი გამოყოფაც ცალსახად შეიძლება, ეს - ქართულენოვანი ლიტერატურაა, რომელსაც 65 პროცენტი უკავია. მერე მოდის რუსული (25 პროცენტი) და სხვა ენოვანი (დაახლოებით, 10 პროცენტი). ქართულენოვანი წიგნები ბევრად უფრო ცოტა დასახელების არსებობს. კი გვგონია, რომ საქართველოში რუსული ენა მეტ-ნაკლებად ყველამ იცის, მაგრამ ეს ასე არ ყოფილა. ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ქართულად ნათარგმნი "ლოლიტა" ასე კარგად გაიყიდებოდა. წიგნის წაკითხვა ხომ ორიგინალში ყოველთვის ჯობს? ვნახოთ, როგორ გაიყიდება ჩვენი "აზაზელი..."

**- რით ხიბლავს ორგანიზატორს წიგნის ფესტივალები და ბაზრობები?**

- რაზეც ზემოთ ვილაპარაკე, ყველაფრით.

**- როგორი იქნება 15 ივნისი, ფესტივალის გახსნის დღე?**

- უფრო წინა დღეა დაძაბული, როცა ყველაფერს ვაწყობთ. დარწმუნებული ვარ, სადღაც ნათურა არ იმუშავებს, სადღაც რაღაც იქნება დასვრილი... გამოფენების მოწყობა მუდმივი მილიონი დეტალია. თუმცა, გამოფენის დღეც არ არის იოლი, ისეთი კითხვებს მისვამენ, "ღამის შოუს" ჰედლაინებში რომ გამოდგება.

**- რას აპირებთ გამომცემლები - ფილარმონია წიგნთან ასოცირდეს და არა მუსიკასთან?**

- არავითარ შემთხვევაში. ფილარმონია უნდა ასოცირდებოდეს მუსიკასთან და ფილარმონიის ფოიე უნდა იყოს დარბაზის ფოიე და არა სხვა დანიშნულების რამ. თუმცა, ცუდია თუ კარგი, მელიქიშვილის და კოსტავას ქუჩების გადაკვეთაზე მოხვედრა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე დიდუბეში.

**- სოციალური, ეკონომიკური და სხვა სიდუხჭირეების მიუხედავად, საქართველოში წიგნის მაღაზიები მომრავლდა. როგორ ხსნით ამას?**

- რევოლუციების აბსოლუტური მომხრე ვარ, რადგან რევოლუციამდელი რეჟიმი საშინელება იყო, მაგრამ იმ რეჟიმშიც ავად თუ კარგად, რაღაც ვითარდებოდა. თუმცა, ეს იყო ერთი მიმართულებით გადადგმული კუს ნაბიჯები. თუმცა, პოლიტიკაში ვერ გადავიჭრები...

**- რატომ, დღეს ვეტერინარები ამბობენ, პოლიტოლოგები ვართო და პროფესიით პოლიტოლოგის აზრი საინტერესო იქნება.**

- მთლიანი სახელმწიფო პროდუქტი რომ ავიღოთ, ხალხის ზოგადი კეთილდღეობა მაინც იზრდებოდა. ბიუჯეტში თანხები არ შედიოდა და რაც შედიოდა, ისიც არასწორად ნაწილდებოდა, მაგრამ ეს ფული მაინც ქვეყანაში ტრიალებდა და ხალხს ოდნავ მეტი ფული უჩნდებოდა, ვიდრე წინა წელს. ამიტომაც გახდა შესაძლებელი ამ ბიზნესის წამოწყება.

**- როგორ თანაცხოვრობთ კონკურენტებთან?**

- ძალიან კარგად. როცა სხვა სექტორებში ინტრიგა და ერთმანეთის ჩაძირვაა, ჩვენთან ასე არ ხდება და იმედია, არც მოხდება.

**- ფესტივალზე წიგნი იაფი იქნება?**

- ეს დოგმა არ არის. ფესტივალის ორგანიზატორი გამომცემელს წიგნების გამოფენისა და გაყიდვის ყველა პირობას სთავაზობს. გამომცემლობის პოლიტიკაზეა დამოკიდებული, დაიჭიროს ერთიანი ფასი თუ საგამომცემლო ფასში გაყიდოს პროდუქცია. რამდენადაც ვიცი, ზოგიერთი წიგნი მაღაზიის ფასში იქნება, ზოგი - იაფი.

**- ალბათ, "არეტეს" სტენდი პრესტიჟულ ადგილზე იქნება.**

- ფილარმონიის ფოიეში სტენდები ისეა გადანაწილებული, რომ ყველა ადგილი კარგია. ეს არ არის 5000 კვადრატულ მეტრზე განლაგებული ფრანკფურტის გამოფენა, სადაც ადგილს მიშვნელობა აქვს. აქ ყველა ადგილი ერთნაირია.

**- პირველად სად მოხვდით წიგნის ფესტივალზე?**

- მოსკოვში. შესასვლელის მარცხენა მხარეს ერთ-ერთი დიდი გამომცემლობის სტენდი იდგა და მარჯვნივ გორბაჩოვი კითხულობდა ნაწყვეტებს საკუთარი წიგნიდან...

**- ჩვენთან იქნებიან გორბაჩოვები?**

- ვერც გორბაჩოვს შეგპირდებით და ვერც შევარდნაძეს, მაგრამ პრეზენტაციები იქნება.

**- შევარდნაძეზე გამახსენდა - მისი მემუარების გამოცემაზე უკვე კონკურსი ხომ არ არის?**

- მემუარების გამოცემის უფლებას, ალბათ, საზღვარგარეთ გაყიდის. იქ მას მილიონებს გადაუხდიან.



## აფიშა

### თეატრები

**თბილისის სახელმწიფო თოჯინების თეატრი**
ხელის ჩრდილების თეატრი "ბუდრუგანა-გაგრა"
წარმოადგენს სპექტაკლებს: "დათვის ბელი",
"სოფლის მაშენებელი", Take Five
დას: 20:00 საათზე

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
აკა მორჩილაძე
"ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები"
რეჟისორი: დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი**
ნინო ბასილია
"თაგვი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
უილიამ შექსპირი
"ვენეციელი ვაჭარი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ალექსანდრე ვამპილოვი
"მონადირე"
რეჟისორი: გ. შალუტაშვილი
დას: 19:00 სთ.

**გრიბოედოვის თეატრი**
"Russian ბლიუზი"რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი
დას: 18:00 სთ.

### კინოთეატრები

**"ამირანი"**
"ჰარი პოტერი 3"
დას: 10:00; 13:00; 16:00; 19:00;

"ტროა"
22:00 სთ.

### გამოფენები

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
ნიკო ცეცხლაძის ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა

### კლუბები

**"აჭარა მიუზიქ ჰოლი"**
რეზიდენტი დი-ჯეები
კლუბის გახსნა: 22 საათზე
ფასი: ბიჭებისთვის 20 ლარი
გოგონებისთვის - უფასო

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# ქართული ფოლკლორი აქ და ამერიკაში

თეონა ჯაფარიძე

ქართველების ორი თვისება, რომლის გამოც ვერავინ შემეკამათება ის არის, რომ უყვართ სიმღერა და არაპუნქტუალურები არიან. ეს ორი თვისება, რომელიც არანაირად უკავშირდება ერთიმეორეს, პირდაპირ კავშირში აღმოჩნდა ერთმანეთთან, როცა თავი ცნობილი ანსამბლის - "უნივერსიტეტის" კონცერტზე ამოვყავი სახელმწიფო ფილარმონიაში. კონცერტი უკვე დაწყებული იყო და დარბაზში არ წყდებოდა დაგვიანებული მაყურებლის ანუ არაპუნქტუალური ქართველების შემოსვლა. ისინი ოჯახებით მოდიოდნენ და თავიანთ კუთვნილ ადგილებს იკავებდნენ. დარბაზი გადაიჭედა. როგორც შემდეგ შევიტყვე, ყველა ბილეთი გაყიდული აღმოჩნდა.

"ზუსტად ერთ თვეში, 11 ივლისს ანსამბლი სწორედ ამ სიმღერით გახსნის თავის კონცერტს ამერიკელი მსმენელის წინაშე. გზა დავულოცოთ ბიჭებს და მართალია, მათ ხარჯებს ნაწილობრივ ამერიკული მხარე იხდის, მაგრა მათ გამგზავრებაში თქვენც იღებთ მონაწილეობას, ამიტომ მადლობას მოვახსენებ ამ სავსე დარბაზს." - განაცხადა ანსამბლის მამობილმა და პირდაპირი მნიშვნელობითაც მამამ - "ქართული ხმების" ხელმძღვანელმა, ბატონმა თემურ ჭკუასელმა.

ტაშის გრიალში "უნივერსიტეტის" ბიჭებმა სვანური "ლაჟღვაში" ანუ ზუსტად ის სიმღერა დააგუგუნეს, რითაც ამერიკის ქალაქ ნიუ პორტში ისინი კლასიკური მუსიკის ფესტივალს გახსნიან. "უნივერსიტეტი" საქართველოდან ერთადერთი ანსამბლი იქნება, რომელიც კლასიკური მუსიკის ფესტივალზე ფოლკლორს შეასრულებს. ბიჭებისთვის ფესტივალის დირექტორს მარკ მალკოვიჩს ქალბატონმა მანანა დოიჯაშვილმა მოასმენინა. ამის შემდეგ უპრობლემოდ გადაწყვეტილა, რომ უძველეს და უცნაურ ჟღერადობას საქართველოდან ამერიკელმა მსმენელმაც გაუსინჯოს გემო, თანაც იმ მსმენელმა, რომელიც კლასიკურ მუსიკას უსმენს. "ამერიკაში "უნივერსიტეტი", უფრო ზუსტად კი, ქართული ხალხური სიმღერაა მიწვეული" - შეასწორა ნათქვამი ბატონმა თემურ ჭკუასელმა.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*"უნივერსიტეტი" ერთადერთი ანსამბლი იქნება, რომელიც ამერიკაში, კლასიკური მუსიკის ფესტივალზე ფოლკლორს შეასრულებს.*

გუშინდელ კონცერტზე პატარა ექსპერიმენტიც ჩატარდა. ბატონმა თემურმა სცენაზე კიდევ ერთი ანსამბლი - "ხორუმი" მოიხმო. "ხორუმი" ხალხური საკრავების ანსამბლია. დოლზე ცნობილმა მუსიკოსმა - მერაბ სანოძემ ანუ, როგორც მუსიკალურ წრეებშია ცნობილი, სანომ დაუკრა. ბატონმა თემურმა სანოს დაბადების დღეც მიულოცა. ცოტა ხანში კი მსმენელი უკვე "უნივერსიტეტსა" და "ხორუმს" ერთად უსმენდა.

ფილარმონიის ფოიეში კი გასაყიდად გამოეტანათ სტუდია "სანოში" გამოცემული "უნივერსიტეტის" აუდიოკასეტები და კომპაქტდისკები. მყიდველი არც მათ აკლდა. როგორც ჩანს, ქართველი მსმენელი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზს მხოლოდ ქართული ესტრადის "ვარსკვლავთა" კონცერტის დროს არ ავსებს. როგორც აღმოჩნდა, უძველეს ქართულ სიმღერას მასიური მსმენელი ჰყოლია.

# თეატრალური სალამი ახალგაზრდა ფოტოგრაფებისგან

### სამხატვრო აკადემია თეატრალური უნივერსიტეტის ფოტოხელოვანთა გამოფენას მასპინძლობს

მადი სერებრიაკოვა

უმაღლესი პროფესიული განათლება ფოტოხელოვნებაში საქართველოში შედარებით ახალი ხილია. თეატრალურ უნივერსიტეტში ამ სპეციალობით ერთ-ერთი პირველი ფაკულტეტი შეიქმნა. გუშინ, სამხატვრო აკადემიის დარბაზში ამ ფაკულტეტის პირველი სტუდენტების გამოფენა გაიხსნა. სამხატვრო აკადემიისა და თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტები და უბრალო დამთვალიერებლები თორმეტი ფოტოგრაფის განსხვავებული ესთეტიკისა და მანერით შექმნილ ფოტოსერიებს საკმაოდ კმაყოფილი ადევნებდა თვალს.

მიუხედავად იმისა, რომ თეატრალური უნივერსიტეტის მხატვრული ფოტოგრაფიისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პირველი თაობის სტუდენტები წელს მესამე კურსს ამთავრებენ, ეს მათთვის პირველი გამოფენა იყო. სტუდენტთა ამ ჯგუფს თეატრალურ უნივერსიტეტში სანდრო მამასახლისი ხელმძღვანელობს. მათ პროფესიულ ზრდაში მონაწილეობას გაზეთ "24 საათის" ფოტოგანყოფილებაც იღებს. ციფრული ფოტოგრაფიის სპეციფიკას მათ ბესო გულაშვილი ასწავლის "24 საათიდან": **"სტუდენტებთან ცოტა ხნის წინ დავიწყე მუშაობა. ეს გამოფენა პატარა რეპორტაჟებისგან შედგება, სტუდენტებმა თავისი სურვილით შეარჩიეს თემებიცა და პერსონაჟებიც".**

წარმოდგენილი სერიები, მართლაც, საკმაოდ ორიგინალური და თავისებური იყო. ნანა ხერხეულიძის სერია ერთი ოჯახის ფოტო-ისტორიას წარმოადგენდა და სოციალურად აქტუალური ჟღერადობითა და რეალისტური შტრიხებით გამოირჩეოდა. უფრო პოეტური იყო ხატია ჯიჯეიშვილის მოცეკვავეთა სერია და მისივე ძველებური კოლორიტით შესრულებული ზღვის სანაპიროს თემა. ვიზუალურად ყველაზე თავისებური და ერთი შეხედვით ეკლექტური დათო მესხის ფოტოსერია იყო. შერეულ ფერადსა და შავ-თეთრ ფოტოებს შორის კავშირი უფრო კონცეპტუალური იყო და სცდებოდა უბრალო რეპორტაჟის ფარგლებს.

რეპორტაჟის ჟანრში განსაკუთრებით თემო სუხიტაშვილის თურქეთის სერია გამოირჩეოდა. ის "24 საათის" სტაჟიორია, თუმცა ფოტორეპორტიორის თვალით დანახულ, დოკუმენტური ხასიათის ფოტოებს უჩვეულოდ ავსებდა ძალზედ პოეტური პეიზაჟების ციკლიც. ძალზედ საინტერესო იყო მზია საგანელიძის და დოდო გაბეხიას ლაკონური რეპორტაჟები.

ახალგაზრდა ფოტოხელოვანთა გამოფენა ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული. თეატრალური უნივერსიტეტის პრორექტორმა გოგი დოლიძემ ხაზი გაუსვა სამხატვრო აკადემიის რექტორის გია ბუღაძის დახმარებას, რომელმაც სტუდენტებს საგამოფენოდ აკადემიის დარბაზი დაუთმო. სტუდენტურ გამოფენას დიდი დახმარება "მაკ-დონალდსის" რესტორნების ქსელმა, გაზეთმა "24 საათმა", მაღაზიათა ქსელმა "ფოტოსამყარომ" და "კოკაკოლამაც" გაუწია.

ახალგაზრდა ფოტოგრაფები, მათი ხელმძღვანელები და, რაც მთავარია, დამთვალიერებლები აშკარად კმაყოფილები დარჩნენ გამოფენით. რა თქმა უნდა, ფოტოების პროფესიული და მხატვრული ღირსებები უკეთ წყნარ სიტუაციაში შეფასდება, თუმცა გამოფენის გახსნისთვის დამახასიათებელი ხალხმრავლობაც თავისებური სტიმული იყო სტუდენტებისთვის. უკვე საუბრობდნენ მომავალ გამოფენებზე და ახალ იდეებზე. როგორც აღინიშნა, ამიერიდან ისინი გამოფენებს ყოველ შემოდგომასა და გაზაფხულზე გამართავენ. ზაფხულში კი, როდესაც უნივერსიტეტში სწავლა შეწყდება, სპეციალური პროექტებით - გრძელვადიანი რეპორტაჟების გადაღებებით იქნებიან დაკავებულნი.

# ლიტერატურა - ნარკომანიის რეცეპტი თუ ანტირეცეპტი?

### "პარნასის" სტუმარია მწერალი და ექიმი-ნარკოლოგი მაკა მიქელაძე

თამარ სუხიშვილი

გუშინდელი შეხვედრა კაფე "პარნასში" რიგით მეხუთე გახლდათ, მეხუთე და წინა შეხვედრებისგან თვისობრივად განსხვავებული. თუ აქამდე კაფე "პარნასში" მხოლოდ წიგნის პრეზენტაციები იმართებოდა, ახლა პარნასული სივრცე ლიტერატურულ ლექციას დაეთმო, ლექციას მეტად აქტუალურ და მწვავე თემაზე - "ნარკოტიკები და თანამედროვე ქართული ლიტერატურა". ლიტერატურული შეხვედრების მასპინძელმა ბესო ხვედელიძემ სტუმრად მწერალი და ექიმი-ნარკოლოგი მაკა მიქელაძე მოიწვია.

დღეს არავისთვის არაა სიახლე ის ფაქტი, რომ, ჩვენდა საუბედუროდ, ნარკოტიკებს ახალგაზრდობის 80 პროცენტი ეძალება. ეს გუშინდელი შეხვედრის სტუმარმა ექიმ-ნარკოლოგმაც კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა. თუმცა, საუბრის თემა ამ პრობლემის განხილვა არ გახლდათ. ქართველი მწერლების (დაახლოებით თორმეტამდე მწერლის - აკა მორჩილაძის, ლაშა ბუღაძის, ბესო ხვედელიძის, ლაშა თაბუკაშვილის, დათო ტურაშვილის, ზაზა ბურჭულაძის, ზაალ სამადაშვილის, ნუგზარ შატაიძის, ბასა ჯანიკაშვილის, ქეთი ნიჟარაძის და სხვა) კონკრეტულ ნაწარმოებებზე დაყრდნობით სტუმარმა ისაუბრა იმაზე, თუ როგორ აისახება ნარკომანიის პრობლემა ქართულ მწერლობაში. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ქალბატონი მაკა ამ საკითხს უფრო სამედიცინო კუთხით შეეხო, ვიდრე წმინდა ლიტერატურული თვალსაზრისით და თანამედროვე ქართული ლიტერატურის წამალზე "შემჯდარი" გმირები საკუთარი პაციენტებივით დაგვიხასიათა.

ერთ-ერთი პირველი მწერალი, რომელიც თავის შემოქმედებაში ნარკომანიის თემას შეეხო, ანა მხეიძეა, - ამბობს მაკა მიქელაძე, მართალია, მისი პოპულარული მოთხრობა "არჩევანი მე" ძალიან კარგად იკითხება და მკითხველის დიდ თანაგრძნობასა და ცრემლსაც კი იწვევს, მაგრამ, ნარკოლოგიური თვალსაზრისით, მასში დახატული სურათი არცთუ რეალისტურია. რაც დრო გადის კლინიკურად უფრო რეალისტური სურათები აისახება ქართულ ლიტერატურაში. ხოლო მწერლები, რომელთა შემოქმედებაში ნარკომანიის თემამ გაიჟღერა, პირობითად ორ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: ერთნი, რომელნიც ამ წრეში ტრიალებენ და პრობლემას შიგნიდან უყურებენ და მეორენი, რომელნიც პრობლემას გარეშეს თვალით განიხილავენ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, პრობლემისადმი მიდგომაც განსხვავებულია, ერთ შემთხვევაში ნარკომანთა მიმართ სიმპათია მეტია, მეორეში - ნაკლები. თუმცა, ორივე მხარემ კარგად იცის, რომ გამოსავალი ერთადერთია - წამალი უნდა გადააგდო, მაგრამ საკითხავია როგორ?

რამდენად გააზრებული აქვთ ნარკომანიის პრობლემის სიმწვავე მწერლებს და რამდენად სწორად არის დასმული ლიტერატურაში ეს პრობლემა? - ასეთ შეკითხვას სვამს "პარნსასის" სტუმარი და იქვე უპასუხებს, რომ ზოგჯერ ლიტერატურა ნარკომანიის რეცეპტებს გვაწვდის, რაც ცოტათი შემაშფოთებელია. თუმცა, იქვე დასძენს, რომ საკმაოდ ხშირად ლიტერატურაში ლაფსუსებიც გვხვდება, მაგალითად, ასეთი - ჰეროინი და კოკაინი ერთი და იგივეა (მსმენელის რეპლიკა: მაშინ საშიშიც არაფერია, არ ყოფილა ეს რეცეპტები დასაჯერებელი).

რა თქმა უნდა, ყველა ნაწარმოებში ასე არ არის, ბევრგან პირიქითაა. მაგალითად, ექიმი-ნარკოლოგი მიიჩნევს, რომ ირაკლი კაკაბაძის მოთხრობაში - "ალეგრო" პირდაპირ თანამედროვე ნარკოლოგიის სამუშაო ფორმულები იკითხება. პრობლემის გადაჭრასთან ახლოს დგას ლაშა ბუღაძე, რომლის ნაწერშიც კარგად ჩანს, რომ ავტორისთვის ნარკომანის მდგომარეობა უცხოა, თუმცა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მწერალი სწორად უყურებს ამ პრობლემას. დაბოლოს, მაკა მიქელაძის აზრით, ნარკომანიის პრობლემა საუკეთესოდ არის გადაჭრილი ბესო ხვედელიძის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ მოთხრობაში, სადაც ასახულია, თუ როგორ ეხება ნარკოტიკით გაბრუებული გმირი იქითა (მიღმა) სამყაროს და იქ იგებს მთავარს - რომ იმის პოვნა, რასაც მთელი ცხოვრება ეძებდა, მხოლოდ საკუთარ თავში შეიძლება. თუ ასეა, მაშინ რაღა საჭიროა ეს გასვლები? - სვამს კითხვას ექიმი და იქვე სამედიცინო დასკვნაც გამოაქვს: ზოგიერთებს, მაგალითად, მე, ერთი ჭიქაც ჰყოფნით იმისათვის, რომ დათვრნენ, ზოგიერთებს - ხუთი, ზოგს - ათი, მაგრამ საბოოლოდ ყველა თვრება. მოკლედ, ადრე თუ გვიან ყველა ნარკომანი დეგრადირდება და აკა მორჩილაძის გმირის ნათქვამი, რომ "ნარკოტიკებს მხოლოდ სუპერფარჩაკები ანებებენ თავს" - რა თქმა უნდა, მხოლოდ პერსონაჟის თვითირონიაა.



# მუდამ ჯორჯიაზე ფიქრში

## რეი ჩარლზი (1930-2004)



"მე მუსიკასთან ერთად დავიბადე", - წერდა ის ავტობიოგრაფიაში, - "ამ დიდი სიყვარულის ახსნა მხოლოდ ასე თუ შეიძლება. მუსიკა ჩემი სხეულის ნაწილი იყო".

"რეი ჩარლზის შემოქმედება იმის დასტურია, რომ მუსიკა მართლა კვეთს ყველა საზღვარსა და კატეგორიას. რეი ჩარლზი მრავალ მუსიკალურ ჟანრში გრძნობს შინაურად თავს და ამ დროს არც საკუთარ "მეს" ღალატობს. მისი მუსიკა, მისი სულია" - წერდა ვენ მორისონი ჟურნალ "როლინგსტოუნის" აპრილის გამოშვებაში.

გუშინ კი 73 წლის მომღერლის მოულოდნელი გარდაცვალების შესახებ ცნობას მსოფლიო პრესა და ვარსკვლავები ეხმაურებოდნენ. ეს სამწუხარო ახალი ამბავი, მართლაც, ყველასთვის მოულოდნელი იყო. შარშან მას წარმატებული ოპერაცია ჩაუტარეს თეძოზე, რის შემდეგაც რეი ჩარლზი საზოგადოებაში რეგულარულად ჩნდებოდა. წესით, ივნისში უნდა დაწყებულიყო მისი საკონცერტო ტურნე, მაგრამ ამასობაში სასტიკად გაურთულდა ღვიძლის დაავადება და ხუთშაბათს, ბევერლი ჰილსზე, საკუთარ სახლში, ოჯახის წევრების გარემოცვაში გარდაიცვალა (ის ორჯერ იყო დაქორწინებული. ჰყავდა 12 შვილი, 20 შვილიშვილი და 5 შვილთაშვილი).

...ცამეტი წლის წინ, თბილისში ჩამოსული რეი ჩარლზი საოცრად ემოციური და ენერგიული ჩანდა. ისინი კი, რომელთაც რეი ჩარლზის მოსმენის საშუალება 1996 წლის შემდეგაც მიეცათ, ამტკიცებენ, რომ წლებმა მუსიკოსს ვერაფერი დააკლო. ის ძველებურად აოცებდა მსმენელს თავისი ხმით, იმპროვიზაციებით და იმ ემოციით, რასაც თითოეულ კონცერტში აქსოვდა. "ნიუ იორკ ტაიმსისთვის" წელს მიცემულ ინტერვიუშიც რეი ჩარლზი იგივეს ამბობდა:

**"დიახაც, მე გავაგრძელებ ტურნეებს, კონცერტებს. სხვაგვარად არ შემიძლია, ეს ჩემს სისხლშია. მგონი, ქაუნთ ბეისის ანდა დიუკ ელინგტონს ვგავარ. სანამ მაღალი ღმერთი ჩემს გვარს არ ამოიკითხავს თავის სიაში, სიმღერას არ შევწყვეტ".**

ამ ინტერვიუდან რამდენიმე კვირის შემდეგ რეი ჩარლზის ჯანმრთელობა გაუარესდა და ის იძულებული გახდა, 2 მარტს, მანჰეტენზე დაგეგმილი კონცერტი გადაედო. თუმცა, მუსიკოსს საყვარელ პუბლიკასთან შეხვედრის იმედი მაინც არ დაუკარგავს: **"კარგად ვიცი, რომ მარადიულად არავინ ცოცხლობს. ჭკუა ჯერ კიდევ მყოფნის, ამდენს რომ მივხვდე. მაგრამ, ისიც კარგად ვიცი, რომ მნიშვნელობა არ აქვს, რამდენ ხანს ვიცოცხლებ, მთავარია, კარგად ვიცოცხლო".**

კარგად ცხოვრება რეი ჩარლზისთვის მუსიკას ნიშნავდა. ამიტომაც სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე მან ჩაწერა დუეტების კრებული, რომელშიც ნორა ჯონსთან, ბი. ბი. კინგთან, უილი ნელსონთან, ბონი რაიტთან, მაიკლ მაკდონალდთან და ჯეიმს ტეილორთან ერთად შესრულებული სიმღერები შევიდა. ალბომის პრემიერა აგვისტოში იყო დაგეგმილი. გარდა ამისა, რეი ჩარლზის გარდაცვალებამდე უკვე დასრულებული იყო ფილმიც Unchain My Heart: The Ray Charles Story, მაგრამ ჯერჯერობით, უცნობია წელს გამოვა თუ არა ის.

რეი ჩარლზ რობინსონი 1930 წლის 26 სექტემბერს დაიბადა, ჯორჯიის შტატის პატარა ქალაქში. იზრდებოდა ფლორიდაში, კიდევ უფრო პატარა ქალაქ გრინვილში. ხუთი წლის იყო, როცა შენიშნეს რომ მხედველობა გაუუარესდა. ვარაუდობენ, რომ სენი, რომელმაც რეი ჩარლზი შვიდ წლამდე სულ დააბრმავა, გლაუკომა იყო. თვითონ მუსიკოსი ამტკიცებს, რომ მუსიკისთვის დარდის გასაქარვებლად არ მიუმართავს. ის, თურმე, 3 წლიდან უკრავდა. ფორტეპიანო კი ადგილობრივი პიანისტისგან ვაილი პიტმანისგან ისწავლა, გოსპელის რიტმები იქვე, ბაპტისტურ ეკლესიაში გაითავისა, ბლუზის ჰანგები კი მოქმედი მუსიკოსებისგან.

მოგეხსენებათ, როგორი ვრცელი და დრამატული თემაა ამერიკის სამხრეთი და რასიზმი. რეი ჩარლზიც ამბობდა, რომ რასიზმის მსხვერპლი ისიც ისევე გახდა, როგორც ნებისმიერი შავკანიანი სამხრეთში:

**"დღემდე ვერაფრით ვგებულობ, თუ როგორ შეეძლოთ თეთრკანიანებს შავკანიანები მზარეულებად დაეყენებინათ, ერთ სუფრასთან ჯდომის უფლება კი მათთვის არ მიეცათ. როგორ შეიძლება, ადამიანს ასე ეზიზღებოდეს ვინმე და ამ დროს მის მომზადებულ კერძებს მიირთმევდეს? ჯანდაბას მაგათი თავი, მე კი ესე ვარ - თუ ვიღაც არ მომწონს, მას ჩემს სამზარეულოში ტრიალის ნებას არ მივცემ. არასდროს".**

ერთი სიტყვით, ცალკე რასიზმით, ცალკე კი სიბრმავით დატანჯული ბიჭი 1937-45 წლებში წმინდა ავგუსტინის სახელობის უსინათლოთა და სმენადახშულთა სკოლაში სწავლობდა. ბრაილის შრიფტზე მან მუსიკის წერა ისწავლა. ასრულებდა შოპენს, უკრავდა კლარნეტზე, საქსოფონზე, ორღანსა და საყვირზე. რადიოში უსმენდა სვინგს, ქანთრის და გოსპელს. **"ყურები ღრუბელივით მქონდა - ყველაფერს იწოვდა და ისრუტავდა", - ამბობდა რეი ჩარლზი.**

როდესაც ახლახან ჰკითხეს, თუ რა გავლენა მოახდინა მის კარიერაზე სიბრმავემ, მომღერალმა უპასუხა: **"არავითარი, არავითარი, არავითარი. მაინც იმას გავაკეთებდი, რაც უნდა გამეკეთებინა. 3 წლიდან ვუკრავდი. მაშინ ჯერ კიდევ ვხედავდი. 7 წლიდან დავბრმავდი. ამიტომ ვამბობ, რომ ეს არაფერ შუაშია. მხედველობის უნარის დაკარგვამ არაფერი შემმატა და არც არაფერი წამართვა".**

15 წლის ასაკში რეი ჩარლზი დაობლდა, სკოლიდან გამოვიდა და მუსიკოსობა გადაწყვიტა. უკრავდა ყველგან, სადაც შეეძლო. იმავე პერიოდში გვარი შეიმოკლა და მოკრივე შუგარ რეი რობინსონში რომ არ არეოდა ვინმეს, რეი ჩარლზ რობინსონი უბრალოდ რეი ჩარლზი გახდა. მისი კერპი ნეტ "კინგ" ქოული იყო:

**"ქოულის მიბაძვა იმიტომ დავიწყე, რომ განსაკუთრებულად მიყვარდა. მაგრამ ერთ დილასაც გავიღვიძე და მივხვდი, რომ დიდად აღარ მსიამოვნებდა, როცა ხალხი ნეთ ქოულს მადარებდა. მათ ხომ ჩემი სახელი არც იცოდნენ. ამის გააზრებაზე ისე შემეშინდა, რომ დავიფიცე: "უნდა შევიცვალო, სხვა გზა არ არის, იმიტომ, რომ ხალხმა საერთოდ არ იცის, ვინ ვარ". დედაჩემიც ასე მასწავლიდა, "შვილო, იყავი ის, ვინც ხარ. მეც ამ შეგონებას გავყევი".**

ფლორიდაში სამწლიანი ხეტიალის შემდეგ რეი ჩარლზი სიეტლში გადავიდა, ჩამოაყალიბა ტრიო და შეჯდა ჰეროინზე - ეს სენი 17 წელს გაგრძელდა (ის რამდენჯერმე დააპატიმრეს კიდეც ნარკოტიკის მფლობელობისთვის). პირველი სინგლი Confession Blues 1949 წელს სიეტლში გამოუშვა, მეორე სინგლი Baby Let Me Hold Your Hand უკვე ჰიტი გახდა და ჩარლზიც ლოს ანჯელესში გადავიდა.

როგორც რიჩარდ ჰარინგტონი წერს "ვაშინგტონ პოსტისთვის", 50-იანი წლები რეი ჩარლზისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოდგა. მან აიღო ბლუზი, დაუმატა ცოტა გოსპელი და გამოუვიდა სოული. არადა, როგორც სტილით, ისევე განწყობით, ბლუზი და გოსპელი ცა და დედამიწასავით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ასე თუ ისე, მოსახდენი მოხდა: **"ელვის პრესლიმ და დანარჩენებმა გამიქსეს ბლუზი და სოფლური ჰანგები და როკ-ენ-როლამდე მივიდნენ; ჩარლზმა კი გამიქსა ბლუზი და გოსპელი და სოული შექმნა. მეტიც, მან წინა პლანზე წამოწია გოსპელი ისე, რომ მას თავისი უნიკალური ვოკალური ნიშან-თვისებებიც შეუნარჩუნა და გახდა პირველი შავკანიანი მომღერალი, რომელიც დიდ თეთრკანიან აუდიტორიაზე "გავიდა" და თან თავისი ფესვებიც დაიცვა",** - წერს ჰარინგტონი და იქვე დასძენს:

**"რეი ჩარლზი ბრმა იყო, მაგრამ არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ მეტაფორული გაგებითაც. მან თავი დაიბრმავა მუსიკალური საზღვრების, ჟანრების, შეზღუდვებისა და სტერეოტიპების წინაშე. ბავშვობიდანვე შეისისხლხორცა ბლუზი, ჯაზი, გოსპელი, პოპი, ქანთრი, რიტმ-ენ-ბლუზი, როკი, კლასიკური მუსიკა, შოუს ელემენტები. ბევრი ამტკიცებდა, რომ მუსიკაში საზღვრების დაცვა მაინც საჭირო იყო. რეი ჩარლზისთვის კი ყოველგვარი მუსიკა უბრალოდ მუსიკა იყო და მეტი არაფერი. ის მელოდიაში გრძნობდა არა სხვაობებს, კატეგორიებს, არამედ ყველა მუსიკოსისთვის საერთო მიზანს - პირადი გამოცდილების გამოხატვასა და ამბის თხრობას".**

I've Got a Woman, A Fool For You, Drown in My Own Tears, Hallelujah I Love Her So, Georgia On My Mind, Hit the Road Jack - ამ და კიდევ ათობით სხვა სიმღერამ რეი ჩარლზს პოპულარობის ზენიტი თითქმის 50 წელზე მეტ ხანს შეუნარჩუნა, 12 გრემი მოაპოვებინა და უამრავი სხვა ჯილდო. 1978 წელს მისი ავტობიოგრაფია ბესტსელერი გახდა, 1979 წელს Georgia On My Mind ჯორჯიის შტატის ოფიციალური ჰიმნი გახდა, 1980 წელს კი რეი ჩარლზმა ფილმში "ძმები ბლუზები" ითამაშა.

**"მე მუსიკასთან ერთად დავიბადე", - წერდა ის ავტობიოგრაფიაში, - "ამ დიდი სიყვარულის ახსნა მხოლოდ ასე თუ შეიძლება. მუსიკა ჩემი სხეულის ნაწილი იყო... როგორც სისხლია... ის ჩემთვის საარსებო წყარო გახლდათ, ისევე, როგორც პური და წყალი... ბრაილით მუსიკის კითხვის გამო ფანტასტიკური მახსოვრობა ჩამომიყალიბდა. შემიძლია ვიჯდე საწერ მაგიდასთან და მთელი არანჟირება ზეპირად გავაკეთო, კლავიშებზე თითის დაუკარებლად".**

ამ ლეგენდარულმა მუსიკოსმა მთელ მომავალ თაობაზე იქონია წარუშლელი გავლენა. ხშირად ამბობენ, რომ პოპ-მუსიკა თავის დღევანდელ სახეს სულ რამდენიმე სახელს უნდა უმადლოდეს, მათ შორის, ერთ-ერთი რეი ჩარლზია. არეტა ფრანკლინი, ელ გრინი, ბობი ბლენდი, ვენ მორისონი, ჯო კოკერი - მის გავლენას მეტ-ნაკლები ხარისხით ყველა განიცდიდა, თვით "ბითლზი" და "როლინგ სტოუნზიც".

1983 წელს რეი ჩარლზმა "ვაშინგტონ პოსტს" განუცხადა: **"კარგი მუსიკა კარგი მუსიკაა და დამთავრდა. როცა ვგულისხმობ კარგს, ის ყოველთვის კარგია - სულ ერთია, ბეთჰოვენი გვყავს მხედველობაში, შოპენი თუ რახმანინოვი... მუსიკა დიდი ხანია, არსებობს და რეი ჩარლზის გარდაცვალების შემდეგაც დიდ ხანს იარსებებს. მე, უბრალოდ, მინდა, ჩემი კვალი დავტოვო, რაღაც მუსიკალურად ღირებული შევქმნა. თუ ეს დიდი ჩანაწერი იქნება, დაე, იყოს. მე ისედაც ყოველთვის მეცოდინება, რომ ეს ერთი სიმღერა ნამცხვრის მოსართავად შეიძლება გამოდგეს მხოლოდ, თავად მუსიკა კი - მთავარი კერძია".**

ცალსახაა, რომ ეს კვალი რეი ჩარლზმა დატოვა და ნამცხვრის მოსართავადაც მრავალი დაუვიწყარი ჰიტი შექმნა. აი, როგორ იხსენებდნენ გარდაცვლილ მუსიკოსს ვარსკვლავები გუშინ:

"რეი ჩარლზი იყო კაცი, რომელსაც აღტაცებაში მოვყავდით, როგორც მეგობარსა და როგორც შემსრულებელს. რამდენიმე ხნის წინ ჩვენ ძალიან კარგი დრო გავატარეთ, ბევრი რამ მოვიგონეთ. ძალიან მომენატრება", - **კლინტ ისტვუდი**. რეი ჩარლზი მან 2003 წელს გამოსულ დოკუმენტურ ფილმში "ბლუზში" გადაიღო.

"რეი ჩარლზის გარდაცვალება მსოფლიო მუსიკისთვის დიდი დანაკარგია. მან შთააგონა უამრავი მუსიკოსი. ის თავისი შემოქმედებით მუდამ იცოცხლებს", - **ელტონ ჯონი**. მან რეი ჩარლზთან ერთად მარტში დუეტი ჩაწერა. იგულისხმება სიმღერა Sorry Seems to Be the Hardest Word.

"მე ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი დავკარგე. რეი ძალიან დამაკლდება. დაახლოებით ერთი თვის წინ, ჩვენ ძალიან კარგი დრო გავატარეთ ერთად - ფრენკ სინატრას It Was a Very Good Year ჩავწერეთ. ეს არასდროს დამავიწყდება", - **ვილი ნელსონი**.

# მუსიკა, რომელზეც ზეგავლენას მსმენელი ახდენს

## The Bays: "ჩვენ გვინდა სხვა ქვეყნებში ვაჩვენოთ, თუ რა ხდება ლონდონურ კლუბებში"

ვერა ნეფარიძე

*წუხელ "აჭარა მიუზიკ ჰოლში" ამ სეზონზე ერთ-ერთი უკანასკნელი იმპორტი განხორციელდა. იმის გარდა, რომ ასეთ კონცერტებს (ნაკლებად კომერციულს, რამდენადაც ღონისძიებას მთლიანად ბრიტანეთის საბჭო აფინანსებს და მოგებაზე არაა გათვლილი) განსაკუთრებული ხიბლი აქვს (ბილეთები არასდროსაა მიუწვდომელი და არარეალურად ძვირი), ისინი სხვა ღირსებებითაც გამოირჩევიან. პირველ რიგში კი, ეს კონცერტები საუკეთესო საშუალებას იძლევა კარგად შევადაროთ ჩვენთან და დასავლეთის მუსიკალურ ინდუსტრიაში არსებული რეალობა.*



ვახო ბასილიას ფოტო

*წუხელ "აჭარა მიუზიქ ჰოლში" ამ სეზონზე ერთ-ერთი უკანასკნელი იმპორტი განხორციელდა.*

რამხელა უფსკრულია ამ ორ სივრცეს შორის, ამაში კიდევ ერთხელ გუშინდელ სტუმრებთან საუბრისას დავრწმუნდი. ხარისხიანი ბრეიქბიტის გარდა, ჯგუფი The Bays მელომანთა ყურადღებას მუსიკისადმი საკუთარი განსაკუთრებული დამოკიდებულებითაც იქცევს ყურადღებას. ჯგუფი არ ამყარებს საქმიან ურთიერთობებს მუსიკალურ ფირმებთან, არ აკეთებს ჩანაწერებს ერთადერთი მიზეზით, რომ შეინარჩუნოს მსმენელთან უშუალო და ჯანსაღი ურთიერთობა; მისთვის მთავარია, ჰქონდეს ხშირი შეხება მსმენელთან. ერთი სიტყვით, მოღვაწეობის განსაკუთრებული გზა The Bays-ის ერთადერთი მეთოდია, პროტესტი გამოხატოს მსოფლიო მუსიკალურ ინდუსტრიაში დამკვიდრებული წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ.

The Bays ლონდონში ოთხი წლის წინათ მეგობრებმა ჩამოაყალიბეს. ჯგუფს თითქმის არ ჰყავს გამორჩეული ლიდერი, ექვსივე წევრი თანაბარი უფლებებით სარგებლობს, თუმცა ენდი განგადინი (ჯგუფის დრამერი), როგორც საორგანიზაციო საკითხების უშუალო კურატორი, შეიძლება უხეშად მაინც მივიჩნიოთ The Bays-ის ლიდერად. "ჩვენს მუსიკაზე ძალიან დიდი ზეგავლენა აქვს მსმენელს. ჩვენ უარს ვამბობთ ჩანაწერებსა და ლეიბლებთან კონტრაქტებზე, რათა უშუალო და ხშირი კონტაქტი გვქონდეს მსმენელთან. ისევე როგორც დი-ჯეი ადგენს საკონცერტო პროგრამას აუდიტორიის განწყობის მიხედვით, ჩვენს კონცერტებზეც მსმენელი ისმენს იმას, რაც მას სურს. ესაა ჩვენი მხრიდან ერთგვარი პროტესტი იმის მიმართ, რაც ირგვლივ ხდება, მაგრამ ჩვენ საკმაოდ წყნარად ვაპროტესტებთ და არ ვყვირით, რომ ვართ რევოლუციონერები", - ამბობს ენდი განგადინი, თუმცა სიამოვნებით იღიმის, როდესაც შევნიშნავ, რომ მისი ჯგუფის წევრები რევოლუციონერებად უკვე აღიარეს. ეს ფაქტი "ბი-ბი-სის" პირველი რადიოს ცნობილი წამყვანის ჯონ პილის სახელს უკავშირდება.

The Bays-ის მოწვევა საქართველოში არანაირად არ უკავშირდება ჩვენთან მომხდარ რევოლუციურ ცვლილებებს. უბრალოდ, ჯგუფი კარგა ხანია, თანამშრომლობს ბრიტანეთის საბჭოსთან; ეს უკანასკნელი კი, სიამოვნებით წარადგენს სხვადასხვა ქვეყანაში The Bays-ს, როგორც ლონდონის კლუბების უკანასკნელ ფავორიტებსა და ყველაზე საინტერესო წარმომადგენლებს. ჯგუფი აქამდე მსგავსი მისიით ეწვია ინდონეზიას, მექსიკას, გერმანიას "ჩვენ, უბრალოდ, გვინდა, ბრიტანეთის ფარგლებს გარეთ ვაჩვენოთ მსმენელს, რა ხდება ლონდონურ კლუბებში. იგივე მიზანი გვქონდა საქართველოში სტუმრობისასაც", - ამბობენ ჯგუფის წევრები.

"ლონდონში ანდერგრაუნდი ყოველთვის ძლიერი იყო და ასე რჩება დღესაც. მაგრამ, როდესაც მუსიკოსები მიწის ზევით ამოდიან - ხდებიან პოპულარული მუსიკალური სცენის ნაწილი, მაშინვე კარგავენ აქტუალურობას, შემოქმედებითად უინტერესონი ხდებიან. ისტორიულად ასე ხდება, - მოგვითხრობს ენდი განგადინი თანამედროვე ბრიტანული მუსიკის შესახებ, - მაგრამ, ჩვენი უპირატესობა ისაა, რომ ინგლისში უამრავი მუსიკოსია და იოლად ხდება ჩანაცვლება". თუ რამდენად ანიჭებს მნიშვნელობას The Bays მუსიკალურ მხარეს, კარგად ჩანს ერთი გარემოებიდანაც. მაშინ, როდესაც თანამედროვე ელექტრონული მუსიკა კლუბში თითქმის წარმოუდგენელია ვიზუალური გაფორმების გარეშე, ჯგუფმა ამაზეც უარი თქვა იმის გამო, რომ ეს ეფექტები მსმენელის ყურადღებას იქცევს. "ჩვენ, უბრალოდ, კარგ განათებას ვიყენებთ, ესაა და ეს", - ამაყობენ მუსიკოსები. თუმცა, რატომაც არ იამაყებენ, მათი შემოქმედებითი მიღწევები ხომ წმინდად მუსიკალური მხარის დამსახურებაა?!

## ათეულები

### კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მიხედვით

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 3.2 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2.4 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.6 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.2 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.2 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.2 |
| [illegible] | | [illegible] | 1.2 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.2 |

### კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] $ | [illegible] $ |
|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 93,687,367 | 93,687,367 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 37,931,716 | 314,523,202 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 27,869,665 | 128,478,844 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 6,550,342 | 24,064,716 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 5,977,491 | 119,290,098 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2,927,211 | 78,157,529 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2,758,007 | 18,986,876 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2,439,860 | 114,601,158 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1,847,993 | 75,377,549 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 842,684 | 6,208,665 |






### საუკეთესო სიმღერების ათეული ზრდასრულთათვის ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| Five For Fighting | 100 Years | 1 | 24 |
| [illegible] | White Flag | 4 | 40 |
| [illegible] | The First Cut Is The Deepest | 2 | 35 |
| [illegible] | This One's For The Girls | 3 | 20 |
| [illegible] | Love's Divine | 6 | 18 |
| [illegible] | Ain't No Mountain High Enough | 7 | 32 |
| [illegible] | You Raise Me Up | 5 | 33 |
| [illegible] | Drift Away | 10 | 65 |
| [illegible] | Calling All Angels | 8 | 48 |
| [illegible] | Just For You | 11 | 13 |

ფეხბურთი

# გოცირიძე ვერსად წავა

## სტკ-ამ "ვიტ ჯორჯიას" თავდამსხმელს "შინაპატიმრობა" მიუსაჯა

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო ტექნიკურმა კომიტეტმა (სტკ) მორიგი სხდომა გამართა. სტკ იგივე შემადგენლობით იყო წარმოდგენილი, რომლითაც სამი დღის წინათ საქართველოს ჩემპიონატის "ოქროს მატჩში" მომხდარი ინციდენტები განიხილა. გუშინდელი შეკრების თემაც სწორედ ეს ავადსახსენებელი მატჩი აღმოჩნდა.

დიდი აყალმაყალის შემდეგ გაირკვა, რომ ამ საკითხის განხილვა ვერც გუშინ დასრულდებოდა. სტკ-ს წევრებმა ვერა და ვერ გაბედეს სიონელი გველესიანის დასჯა, ფეხბურთელისა, რომელმაც უმოწყალოდ სცემა მსაჯი. გადაწყდა, რომ სტკ გამართავს კიდევ ერთ სხდომას, რომელსაც მსაჯები და თავად ფეხბურთელი დაესწრებიან. სწორედ იქ უნდა გადაწყდეს გველესიანის ბედი. გუშინდელ სხდომაზე კი სამაგალითოდ დაისაჯა "ვიტ ჯორჯიას" თავდამსხმელი გოცირიძე, რომელმაც მის მიერ გატანილი გოლის შემდეგ შეურაცხმყოფელი ჟესტით ბოლნისელი გულშემატკივრების პროვოცირება მოახდინა. გოცირიძე 500 ლარის ჯარიმითა და ათმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. ასევე აუკრძალეს საერთაშორისო ტრანსფერში მონაწილეობა, რითაც უცხოურ კლუბში გადასვლის საშუალება მოესპო.

# Euro 2004 დღეს ევროპის ჩემპიონატი იწყება

პორტუგალიისა და საბერძნეთის ნაკრებთა შეხვედრით დღეს სტარტს აიღებს კონტინენტის ჩემპიონატი ფეხბურთში. პორტუგალიის ქალაქებში თავი ევროპის 16-მა საუკეთესო გუნდმა მოიყარა. აღსანიშნავია, რომ ტურნირზე თამაშის უფლება პირველად თავისი არსებობის ისტორიაში ლატვიის ნაკრებმა მოიპოვა და ჯგუფურ ტურნირში ბალტიისპირელები ჰოლანდიის, გერმანიისა და ჩეხეთის გუნდებს გაეჯიბრებიან. ლატვიელთათვის ჩემპიონატზე გასვლა თავისთავად უზარმაზარი შედეგია, ამიტომ, როგორც თვითონ ამბობენ მოკრძალებული მიზნები ამოძრავებთ და სურთ მაყურებელს კარგი თამაშით დაამახსოვრონ თავი.

რაც შეეხება ფავორიტებს, ფეხბურთის სპეციალისტები ერთხმად აღიარებენ, რომ ტურნირს ასეთი ოთხი-ხუთი გუნდი ჰყავს - მასპინძელი პორტუგალია, საფრანგეთი, იტალია, ინგლისი და ჰოლანდია. თვითოეულს თავის სასარგებლოდ გარკვეული არგუმენტები აქვს. მაგალითად, იტალიელთა მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი ნოვაციის ავტორად მოგვევლინა და აპირებს მინდორზე ერთი ფორვარდი, კრისტიან ვიერი გამოიყვანოს, მაგრამ მინდვრის შუახაზში სამი ისეთი ფეხბურთელის დაყენებას აპირებს - დელ პიერო, ტოტი, დი ვაიო, რომ იტალიელებს შეტევის ხაზში, ფაქტობრივად, ოთხი თავდამსხმელი გამოსდით. ასეთი ფორმით "სკუადრა აძურამ" რამდენიმე ამხანაგური მატჩი გამართა და დამაჯერებელი გამარჯვებაც მოიპოვა. ამდენად ტრაპატონის გუნდი მოქმედ ჩემპიონ ფრანგებთან ერთად ტურნირის უმთავრეს ფავორიტებად არიან მიჩნეულნი.

თავის მხრივ არც ფრანგები მალავენ, რომ პორტუგალიაში გამარჯვებისთვის ჩამოვიდნენ, მაგრამ მაინც აღიარებენ, ინგლისის იტალიის, ჰოლანდიისა და პორტუგალიის ძალას. "ჩვენი გუნდი უაღრესად კარგად არის მომზადებული, თუმცა, ევროპის ჩემპიონატი ისეთი შეჯიბრებაა, რომ აქ ყველაფერი მოსალოდნელია. ამის მიუხედავად, შევეცდებით ჩვენი შანსი გამოვიყენოთ" - განაცხადა ლონდონის "არსენალის" ფორვარდმა ტიერი ანრიმ. ფრანგებს პირველი მატჩი 13 ივნისს ინგლისის წინააღმდეგ ექნებათ.

ინგლისელთა შვედ მწვრთნელ სვენ-გორან ერიქსონს ფრანგებთან მატჩის წინ დიდი თავსატეხი გაუჩნდა. დაცვის ხაზი, ფაქტობრივად, მოშლილია. დოპინგის მოხმარების გამო ტურნირს ტოვებს "მანჩესტერ იუნაიტედის" ცენტრალური მცველი რიო ფერდინანდი. ახლახანს კი ტრავმა მიიღო კიდევ ერთმა ჩენტრალურმა მცველმა ჯონ ტერიმ და ექიმები ერიქსონს არ ურჩევენ მის მინდორზე გამოყვანას. ასეთ ვითარებაში შვედმა გადაწყვიტა დაცვის ცენტრში "ლივერპულელი" ჯეიმი კარაგერი ათამაშოს. არადა, კარაგერი ამპლუით განაპირა მცველია. ფეხბურთელი კი ამბობს ბედნიერი ვარ, თუ მწვრთნელი გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილს მანდობსო, მაგრამ იქვე აღიარებს, რომ ფლანგზე თამაში ურჩევნია. "ინგლისის ნაკრებში არიან ფეხბურთელები, რომლებიც დაცვის ცენტრში ჩემზე უკეთ თამაშობენ - აღიარებს კარაგერი - ფლანგზე არის მომენტი, როცა სულის მოთქმა შეიძლება. ცენტრში კი ოდნავ ყურადღების მოდუნებაც კი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს, ამიტომ ცენტრში თამაში მუდმივ კონცენტრაციას მოითხოვს. რაც შეეხება საფრანგეთის ნაკრებს, მათი უმრავლესობა პრემიერლიგაში თამაშობს და მათ შესაძლებლობებზე გარკვეული წარმოდგენა გვაქვს. ჩემი აზრით, არ არსებობს ფორვარდი, რომლის შეჩერებაც შეუძლებელია".

პორტუგალის ნაკრების ლიდერებმა ლუიშ ფიგუმ და რუი კოშტამ, რომლებმაც 1989-1991 წლებში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატები მოიგეს, კარგად იციან, რომ ეს მათი ბოლო შანსია და ლუიშ ფელიპე სქოლარისაც მათი იმედი აქვს. ლუიშ ფიგუმ ისიც განაცხადა, რომ ნაკრებიდან წასვლას აპირებს, მაგრამ შეიძლება გადაწყვეტილება შეცვალოს კიდეც. "ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ვაპირებ სანაკრებო კარიერა დავამთავრო, მაგრამ ყველაფერი მაინც ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი გუნდის გამოსვლაზეა დამოკიდებული, თუ გუნდი წარმატებით იასპარეზებს, შეიძლება გადაწყვეტილება შევცვალო კიდეც და ნაკრებში რამდენიმე წელი კიდევ ვითამაშო" - ამბობს ლუიშ ფიგუ.

დღეს პორტუგალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის გახსნის შეხვედრაში საბერძნეთის გუნდს შეხვდება.

# სამაჩაბლოში ქართული ფეხბურთი ბრუნდება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო 12 ივნისს შაბათს გეგმავენ ერთობლივ ღონისძიებას ცხინვალის რეგიონში, კერძოდ, სოფელ თამარაშენში.

თამარაშენში გაიმართება ამხანაგური მატჩი საქართველოს ფეხბურთის ვეტერანებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. ფეხბურთელებისთვის ფორმები სფფ-ს ინიციატივით მოთამაშეებს გადაეცემათ საჩუქრად. მატჩის დაწყებამდე სოფელში საზეიმოდ გაიხსნება მიწის ფართი, რომელზეც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უეფას "ჰეთ-თრიქის" პროგრამის გათვალისწინებით, 30 დღეში მინიფეხბურთის ხელოვნურსაფარიან მოედანს ააშენებს.

ამხანაგურ მატჩში მონაწილეობას მიიღებენ ქართული ფეხბურთის ცნობილი სახეები: *მერაბ ჟორდანია, სერგო კოტრიკაძე, დავით გოგია, ნოდარ ხიზანიშვილი, ბორის სიჭინავა, მანუჩარ მაჩაიძე, ვლადიმერ გუცაევი, გოჩა ჯოხაძე, გოჩა მაჩაიძე, სერგო კუტივაძე, ვახტანგ ქორიძე, ლევან ნოდია, გელა კეტაშვილი, გოჩა ჩიქოვანი, მალხაზ არზიანი, რევაზ არველაძე, ბესო მჭედლიშვილი, გოჩა ტყებუჩავა, ნიკა ჩხეიძე, თამაზ კოსტავა, ზაურ სვანაძე.*

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო 12 ივნისს თამარაშენსა და აჩაბეთში სხვა სპორტულ ღონისძიებებსაც გეგმავს.

***საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური***


# დიდი რაგბი საქართველოში!

მსოფლიოს გამორჩეული, NBA-სა და ჩემპიონთა ლიგის ბადალი სარაგბო სუპერტურნირის - "ზე-12"-ის სუპერკლუბი თბილისში.

**სიურპრიზი გულშემატკივარს!**

პრეტორიელი "ლურჯი ხარები" საქართველოს საკლუბო, "ა" და ეროვნული ნაკრებების წინააღმდეგ.

**12 ივნისს - 14 საათზე**
თბილისის "ლოკომოტივის" სტადიონზე
**"ბლუ ბულზი" - საქართველოს კლუბების ნაკრები**

**16 ივნისს - 18 საათზე**
რუსთავის "მეტალურგის" სტადიონზე
**"ბლუ ბულზი" - საქართველოს "ა" ნაკრები**

**20 ივნისს - 18 საათზე**
ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე
**"ბლუ ბულზი" - საქართველოს ეროვნული ნაკრები**

არ გამოტოვოთ, ცოცხლად იხილეთ აფრიკელი "ქურციკებისა" და ქართველი "ლელოების" შერკინება.



12 და 13 ივნისს, "ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება შვიდკაცა რაგბის ევროპის სერიის თბილისის ეტაპი. მონაწილეობენ საფრანგეთის, შოტლანდიის, რუმინეთის, უკრაინის, ანდორის, შვეიცარიის, ისრაელის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.
რაგბის ქომაგებს საშუალება გექნებათ იხილოთ თავბრუდამხვევი ტემპითა და შემართებით გაჯერებული ლაღი, სხარტი ბურთაობა.
და კიდევ, 12 ივნისს, იქვე, "ლოკომოტივზე" შედგება სამხრეთაფრიკული "ბლუ ბულზის" მატჩი საქართველოს კლუბების ნაკრებთან.
ქართველ მორაგბეებს თქვენი მხარდაჭერის იმედი აქვთ, ძვირფასო გულშემატკივრებო.

**მატჩების დასაწყისი:**

**12 ივნისს - 16 საათზე**
**13 ივნისს - 10 საათზე**




ფეხბურთი

# „დინამო" სეზონს „ნეფთჩისთან" იწყებს

### განვითარების სამწლიანი სტრატეგიული გეგმა

მიხეილ აბაიშვილი

2004-05 წლების საფეხბურთო სეზონის ოფიციალურ ქრონიკას თბილისის "დინამო" დღეს ეროვნულ სტადიონზე ბაქოს "ნეფთჩისთან" ამხანაგური მატჩით გახსნის. არაოფიციალურად კი გუნდი ოთხი დღის წინ, 7 ივნისს შეიკრიბა დიღმის საწვრთნელ ბაზაზე და ვარჯიშები განაახლა.

გუშინ ბაზაზე "დინამოს" ხელმძღვანელობამ გამართა პრესკონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კლუბის მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა, მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ და პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ლევან სალუქვაძემ.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

გუშინ "დინამომ" ჟურნალისტებს ახალი ფეხბურთელები წარუდგინა.

გასული სეზონი "დინამომ" არცთუ წარუმატებლად განვლო. მართალია, ვერ შეინარჩუნა საქართველოს ჩემპინის ტიტული, მაგრამ დავით ყიფიანის თასი ისევ მოიგო და სერიოზულ საერთაშორისო წარმატებას მიაღწია: გაიმარჯვა დსთ-ს ქვეყნების ჩემპიონთა ტურნირში.

"ჩვენთვის ნებისმიერი, მით უმეტეს, ეროვნული მნიშვნელობის ტიტულის დაკარგვა სერიოზული წარუმატებლობაა. თუმცა, იმის თქმა, რომ "დინამომ" სეზონი ჩააგდო, არასწორი იქნება. გარკვეულწილად, სათასო სეზონი გამოგვივიდა - მოვიგეთ დავით ყიფიანისა და თანამეგობრობის თასები. ჩემპიონატის მეორე ეტაპზე, როდესაც სერიოზულ კრიზისში აღმოვჩნდით, სიტუაციიდან თავის დაღწევის საკმაოდ ეფექტური და სწრაფი გზა მოვნახეთ. ამისთვის თითქმის დაუძლეველი ამოცანის შესრულება გვიწევდა - ექვსიდან ექვსი მატჩი უნდა მოგვეგო, თანაც, ფინალურ ეტაპზე, საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლ გუნდებთან დაპირისპირებაში. სამწუხაროდ, მხოლოდ ხუთი მოვიგეთ", - განაცხადა დავით პეტრიაშვილმა.

"დინამოს" ხელმძღვანელობამ ივო შუშაკის გათავისუფლებით კლუბის ისტორიაში ახალ ეტაპს დაუდო სათავე. შემუშავდა სამწლიანი გეგმა, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდება და საბოლოოდ "დინამოსთვის" უწინდელი საერთაშორისო ავტორიტეტის დაბრუნებას და ევროტურნირებში წარმატებულ გამოსვლას ისახავს მიზნად. ამისთვის კლუბმა ყოფილ დროებით მწვრთნელთან გია გეგუჩაძესთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და მას მოქმედების სრული თავისუფლება მისცა.

"გასული სეზონის ყველაზე დიდ წარმატებად მივიჩნევ არა თანამეგობრობის ტურნირში ან საქართველოს თასის გათამაშებაში გამარჯვებას, არამედ იმას, რომ საფუძველი ჩაეყარა ახალი გუნდის მშენებლობას. კლუბის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა "დინამოს" განვითარების სტრატეგიული გეგმა. გია გეგუჩაძესთან, რომელიც სეზონის ბოლოს დროებით მწვრთნელად მუშაობდა, სამწლიანი ხელშეკრულება გავაფორმეთ და ყველა სპორტული საკითხის გადაწყვეტისას მისი აზრი იქნება გადამწყვეტი. გეგუჩაძემ ჯერ "დინამო-2-ში", შემდეგ კი პირველ გუნდში მუშაობით დაამტკიცა, რომ ორიგინალური ხედვის, პროგრესული საფეხბურთო სპეციალისტია და ჩვენი ნდობა დაიმსახურა", - თქვა "დინამოს" მმართველმა დირექტორმა.

გეგუჩაძეს უმაღლეს ლიგაში, მართლაც, შთამბეჭდავი სტარტი ჰქონდა. მისი ხელმძღვანელობით "დინამომ" ჩემპიონატში 6-დან 5 მატჩი მოიგო და თასის ტურნირშიც გაიმარჯვა. მართალია, იმ ერთმა წაგებულმა დანარჩენ ხუთ გამარჯვებას პრაქტიკულად ხაზი გადაუსვა, მაგრამ კრიტიკულ სიტუაციაში ასეთი შედეგი ხუმრობა არ არის.

"დიდ მადლობას ვუხდი "დინამოს" ხელმძღვანელობას იმ ნდობისთვის, მთავარი მწვრთნელის პოსტის შემოთავაზებით რომ დამიდასტურეს. "დინამოს" მწვრთნელობა პირველ რიგში პასუხისმგებლობაა და არა პრივილეგია, რაც ძალიან კარგად მესმის. საზოგადოება თავად შეაფასებს, რამდენად ღირსეულად შევძლებ ამ ტვირთის ზიდვას.

რაც შეეხება მომავალ სეზონს, საწვრთნელი პროცესი 7 ივნისს განვაახლეთ. 22 ივნისამდე თბილისში მოვემზადებით. ამ პერიოდში 4 საკონტროლო მატჩს გავმართავთ. ხვალ ეროვნულ სტადიონზე ბაქოს "ნეფთჩის" ვეთამაშებით, 15 ივნისს გორის "დილას" ვუმასპინძლებთ, 18-ში საფეხბურთო კლუბ "თბილისს" მისსავე სტადიონზე, ავლაბარში შევხვდებით, ხოლო გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე, 21 ივნისს, "ლოკომოტივთან" ჩავატარებთ ამხანაგურ შეხვედრას.

22 ივნისს გავემგზავრებით გერმანიაში, დაბა რუიტში, სადაც გერმანიის ეროვნული ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე გავივლით შეკრებას. დაგეგმილი გვაქვს ამხანაგური შეხვედრებიც. დანამდვილებით შეიძლება გითხრათ, რომ 26 ივნისს შტუტგარტის მხარის რეგიონალლიგის ნაკრებს შევხვდებით, 28 ივნისიდან კი შვეიცარიაში, ბაზელში დაგეგმილ ოთხთა ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას. ამ ტურნირში, ჩვენს გარდა, შვეიცარიის პრემიერლიგის გუნდები, "ბაზელი" და "იანგ ბოიზი", ასევე ბუქარესტის "დინამო" ითამაშებენ. ნახევარფინალში "ბაზელს" შევხვდებით და ეს თამაში 29 ივნისს გაიმართება. თუ გავიმარჯვეთ, 3 ივლისს ფინალში ვითამაშებთ, მარცხის შემთხვევაში კი მეორე წყვილიდან დამარცხებულთან მესამე ადგილის ბედს გავარკვევთ. ამ შეკრებაზე კიდევ 2-3 მატჩს გავმართავთ. მეტოქეები და თარიღები მოგვიანებით დაზუსტდება. რუიტიდან 10 ივლისს გამოვემგზავრებით", - განაცხადა გია გეგუჩაძემ.

"დინამოს" მიზნები უცვლელი რჩება: ადგილობრივ სარბიელზე ჩემპიონობა და თასი, ხოლო უეფას ტურნირზე - რაც შეიძლება მეტი ეტაპის გადალახვა.

"ჩვენ ტრადიციული, უცვლელი მიზანი გვაქვს - საქართველოს ჩემპიონატში და თასის ტურნირში გამარჯვება. რაც შეეხება უეფას თასს, ვეცდებით, რაც შეიძლება, მეტი ეტაპის ბარიერი დავძლიოთ. ჩვენი სამწლიანი გეგმის შესაბამისად, ევროტურნირებში დაძლეული ეტაპების რიცხვი არითმეტიკული პროგრესიით უნდა გაიზარდოს. პირველ წელიწადს - სულ მცირე, ერთი ეტაპი უნდა გადავლახოთ, მეორე წელს - ორი, მესამე წელს - სამი და ჯგუფურ ტურნირში მოვხვდეთ. თუმცა, არც იმაზე ვიტყვით უარს, რომ პირველივე წელს პროგრამა მაქსიმუმი შევასრულოთ და ქვეჯგუფში მოვხვდეთ", - თქვა დავით პეტრიაშვილმა.

პრესკონფერენციის შემდეგ მედიისწარმომადგენლებს "დინამოს" ახალწვეულები ახალ ფორმებში წარუდგნენ. ექსლოკომოტიველი ლაშა სალუქვაძე, ექსსიონელი ბორის გონჩაროვი და გორის "დილას" ყოფილი თავდამსხმელი მიხეილ კაკალაძე კონტრაქტით დაუკავშირდნენ ახალ კლუბს და სრულუფლებიანი დინამოელები გახდნენ. "დინამო 2"-იდან პირველ გუნდში სერიოზული შევსება მივიდა. გეგუჩაძემ ფარმკლუბიდან ერთბაშად 7 ფეხბურთელი გადმოიყვანა: მეკარე თოთლაძე, მცველები - გიგაური, ხმალაძე, ნახევარმცველები - კაშია, კანკავა, გრიგალაშვილი, თავდამსხმელი - დვალი.

კალათბურთი

# შაქილ ო`ნილი ატირდა

NBA-ის ფინალური სერიის მესამე მატჩის ("დეტროიტ პისტონზსა" და "ლოს-ანჯელეს ლეიკერსს" შორის) შემდეგ მაყურებელს უნიკალური საშუალება მიეცა, ასეთი მოვლენის მონაწილე გამხდარიყო: "ლეიკერსის" ლიდერებმა შაკილ ო`ნილმა და კობი ბრაიანტმა ცრემლები ვერ შეიკავეს! თითქოს ყოველთვის უაღრესად მობილიზებულმა და რკინის კალათბურთელებმა ემოციები ვერ მოთოკეს და გულგატეხილებმა ასე გამოხატეს თავიანთი იმედგაცრუება. ორმა ლიდერმა ჯამში მხოლოდ 25 ქულა მოაგროვა და ამით დაასამარა გუნდის იმედი, მეორე გამარჯვება ეზეიმათ ფინალურ სერიაში.

"დეტროიტი" კი პირიქით, მოწოდების სიმაღლეზე იდგა. მან "ლეიკერსს" გამარჯვებისთვის მცირე შანსიც კი არ დაუტოვა. მატჩის ბოლოს შაკილ ო`ნილმა საჯარიმოებიც კი ვერ ისროლა ნორმალურად, რომ აღარაფერი ვთქვათ სამქულიან ტყორცნებზე. "პისტონზის" გენიალურმა დაცვამ მეტოქის ლიდერს საიმედოდ შეუკრა ხელფეხი.

"ლეიკერსმა" მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ 68 ქულა მოაგროვა! კობი ბრაიანტმა კი რის ვაი-ვაგლახით შეძლო 11 ქულის რეალიზება. გახსოვთ წლევანდელ სეზონში "ლეიკერსის" ასეთი თამაში? ეს იმდენად ფილ ჯექსონის ჩავარდნა არ არის, რამდენადაც "დეტროიტის" დაცვის დამსახურება. მასპინძლებმა თავიდანვე ხელთ იგდეს თამაშის სადავეები. უკვე პირველმა მეოთხედმა აჩვენა, რომ "დეტროიტი" იმ დღეს აშკარად ჯობნიდა თავის სახელოვან მეტოქეს - 24:16 მასპინძელთა სასარგებლოდ.

"დეტროიტმა" პირველი მეოთხედი დამაჯერებელი უპირატესობით მოიგო, მიუხედავად იმისა, რომ მასპინძელთა ლიდერს რაშიდ უოლესს ორი პერსონალური შენიშვნის გამო ადრე მოუხდა სათადარიგოთა სკამზე გადანაცვლება. შემდეგ "დეტროიტმა" თავისი უპირატესობა 13 ქულამდე გაზარდა. ეს, პირველ ყოვლისა, კობი ბრაიანტის" უმოქმედობის შედეგი იყო, რომელიც საიმედოდ გაანეიტრალა ტაიშონ პრინსმა. "ტაიშონ პრინსზე უკეთესად თავდაცვა, უბრალოდ, წარმოუდგენელია", - მატჩის შემდეგ აღიარა კობი ბრაიანტმა.

მეორე მეოთხედში "ლეიკერსი" მეტოქეს 7 ქულამდე მიუახლოვდა - 39:32. ამ პერიოდში "დეტროიტმა" უამრავი შეტევა გაანიავა, ამასთან, 6 საჯარიმო ტყორცნაც ვერ გამოიყენა, რაც შეიძლებოდა, მასპინძელთათვის გამოუსწორებელი შედეგით დასრულებულიყო. თუმცა, დაცვაში კარგად ორგანიზებულ თამაშს ასეთი მიკროწარუმატებლობების განეიტრალება იოლად შეუძლია. ეს "დეტროიტმა" მესამე მეოთხედში დაადასტურა. პირველ ოთხ წუთში ჩონსი ბილასმა 8 ქულა შესძინა თავის გუნდს, ხოლო მას შემდეგ, რაც პრინსმა "ლეიკერსის" კალათში ბურთი ზემოდან ჩატენა, მასპინძელთა უპირატესობა 14 ქულამდე გაიზარდა. სტუმრებმა ადეკვატური თამაშის ორგანიზება ვერ მოახერხეს, ხოლო რიჩარდ ჰამილტონმა ბოლო წუთებზე 15 ქულა მოიპოვა და მატჩის საუკეთესო სნაიპერი გახდა.

"დღეს კარგი თამაში იყო. ჩვენ ყველაფერი გამოგვდიოდა. ყველაზე მთავარი ის არის, რომ დაცვაში შესანიშნავად ვითამაშეთ, შევძელით ისეთი მოთამაშეების განეიტრალება, როგორებიც შაკილ ო`ნილი და კობი ბრაიანტი არიან. დამსახურებულად გავიმარჯვეთ", - განაცხადა რიჩარდ ჰამილტონმა (31).

ამრიგად, სერიის ანგარიშია - 2:1 "დეტროიტ პისტონზის" სასარგებლოდ.

# NBA-ს „ათეთრებენ"

წარსულში ლეგენდარულმა კალათბურთელმა, ამჟამად "ინდიანა პეისერსის" პრეზიდენტმა ლარი ბერდმა გამოთქვა NBA-ში თეთრკანიანი კალათბურთელების მიწვევის სურვილი. მიუხედავად იმისა, რომ ბერდი თავად თეთრკანიანია, მან განაცხადა, რომ კალათბურთი ჩრდილოეთ ამერიკაში შავკანიანების თამაშია და ყოველთვის დარჩება ასეთად. ESPN-ის მფლობელ ჯიმი გრეისთან ინტერვიუში ლარიმ განაცხადა, რომ ყველაზე სახელგანთქმული ათლეტები აფროამერიკელები არიან. ამასთან დაკავშირებით NBA-ის ყოფილმა ვარსკვლავმა, რომელიც 13 სეზონი ასპარეზობდა "ბოსტონ სელტიქსში", საინტერესო მაგალითი მოიყვანა. მისი თქმით, კარიერის განმავლობაში მას ყოველთვის აღიზიანებდა, როცა მეტოქე გუნდის მწვრთნელი მეურვედ თეთრკანიანს დაუყენებდა. ბერდი გამოტყდა, რომ ამას ღირსების შელახვად აღიქვამდა. ლარის აზრით, მის თეთრ მეურვეს შანსი არ ჰქონდა, შეეჩერებინა იგი. ამის მიუხედავად კითხვაზე, საკმარისი თეთრკანიანი ვარსკვლავია თუ არა NBA-ში, ბერდმა უარყოფითად უპასუხა. მან განმარტა, რომ პროფესიულ კალათბურთში თეთრი მოთამაშეების მოწვევა საჭიროა, რადგან ამით NBA-ის პოპულარობა გაიზრდება. ამის მიზეზია ერთი ალოგიკური, მაგრამ ჭეშმარიტი ფაქტი: კალათბურთის ფანები უმეტესად თეთრკანიანები არიან. ამჟამად NBA-ის 408 მოთამაშიდან თითქმის 80 პროცენტი შავკანიანია.

რაგბი

# აფრიკელები საქართველოს, საქართველო ევროპის წინააღმდეგ

პაატა თოთაძე

საქართველოში ყოფნის მეორე დღეს სამხრეთაფრიკელებმა მომავალი ბრძოლის ველი, "ლოკომოტივის" სტადიონი დაათვალიერეს და, აღფრთოვანებულნი არა, მაგრამ არც უკმაყოფილოები დარჩენილან მოედნის საფარით.

საღამოს ექვსის ნახევარი. მცირე მოთელვა, გახურება და ვარჯიშიც დაიწყო.

- გადანაწილდით დროზე, - დასჭექა ერთ-ერთმა მწვრთნელმა. მორაგბეებიც უმალ ორად გაიყვნენ და ვარჯიში დაიწყო.

- მშვენიერი ვარჯიშია, - კლუბების ნაკრების მწვრთნელმა თემურ ბენდიაშვილმა გარჯა შეუქო აფრიკელებს.

- ნეტავ მერე რას იზამენ? - გაისმა ერთ-ერთი ქართველი მწვრთნელის კითხვა.

- რა ვიცი, რა უნდა ქნან ისეთი... - იქვე უპასუხა მეორემ.

განა სათაკილოა შენზე მცოდნისგან რაიმეს სწავლა? განა ისეთი რა უნდა გააკეთონ სამხრეთაფრიკელებმა, ქართველებმა რომ არ ვიცით? ნებისმიერი ვარჯიში ნაცნობია ჩვენთვის, მხოლოდ მოედანზე ყველაფერი სხვაგვარადაა. იქ რატომღაც ისინი გვჯობნიან. სამხრეთაფრიკელთა გუშინწინდელ ვარჯიშს მხოლოდ მალხაზ ჭეიშვილი და დავით კილასონია ესწრებოდნენ. კილასონიამ მისთვის საინტერესო ბევრი რამ აღმოაჩინა და საათნახევრის განმავლობაში რაღაცებს ინიშნავდა. გუშინაც დაესწრო რამდენიმე მწვრთნელი ვარჯიშს, მაგრამ რა საუბარიც ჰქონდათ ერთმანეთში, კი გაიგეთ.

- დიდები არიან, თორემ ბევრი არაფერი, - ასეთებსაც გაიგონებდით. არადა, ასეთი დონის გუნდი საქართველოში ჯერ არ ყოფილა. ზე-12-ზე დიდი საკლუბო შეჯიბრება სარაგბო სამყაროში არ მოიძებნება, ჰოდა, მისი წარმომადგენლები ფიზიკურად დიდები უნდა იყვნენ, თორემ სხვა აბა რით გამოირჩევიან.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

დღეს სამხრეთ აფრიკის ჩემპიონი და ზე 12-ის მე-6 გუნდი "ბლუ ბულზი" საქართველოს კლუბების ნაკრებს შეხვდება. 16-ში "ა" ნაკრებს, 20-ში კი, ეროვნულ გუნდს გაეჭიბრება.

სტუმართა აღნაგობასა და მადაზე გუშინდელ ნომერშიც ვწერდით, მაგრამ ერთი რამ კიდევ უნდა ვთქვათ. საღამოს კუს ტბაზე ასულ აფრიკელებს 200 ბოთლი ლუდი დაულევიათ და 360 ლარის ვისკი მიუყოლებიათ.

ყველაზე გამორჩეული ფიგურა აფრიკელთა შორის დენი როსოუა. ტანმაღალმა მორაგბემ მსოფლიო თასზე ორი ლელო გაუტანა ბორჯღალოსნებს. "სიმართლე გითხრათ, მაშინ თქვენი გუნდის ფიზიკურმა სიძლიერემ გამაოცა. საოცრად ჯანიანი ბიჭები იყვნენ და თითოეული სანტიმეტრისთვის თავგამოდებით იბრძოდნენ. იქ გამოჩნდა, თუ რაოდენ დიდი პატრიოტები იყვნენ ისინი", - ჩვენთან საუბრისას განაცხადა როსოუმ, - "საქართველო მომწონს, აქაური ხალხი და დამოკიდებულება მომწონს. პირობები კარგი გვაქვს, სარაგბო დონეც კარგია. ასე რომ, საწუწუნო არაფერი მაქვს".

ახლა ქართველებსაც მივხედოთ. აფრიკელთა ვარჯიშის შემდეგ ჩვენი ქვეყნის კლუბების ნაკრებმა ივარჯიშა "ლოკომოტივის" სათადარიგო მოედანზე. მწვრთნელად ამ გუნდს "ლოკომოტივის" თავკაცი თემურ ბენდიაშვილი ჰყავს. გასაკვირია, მაგრამ კლუბების ნაკრებში 20 მორაგბე ერთი კლუბიდან, "ლოკომოტივიდანაა". სხვა კლუბების რამდენიმე მოთამაშე შვიდკაცა ნაკრებში მოხვდა, დანარჩენისთვის კი ამ ნაკრებში ადგილი არ მოინახა. ასეა თუ ისე, შემადგენლობა დასახელებულია. დღეს, ორის ნახევარზე, "ბლუ ბულზს" დაპირისპირდებიან:

ძირითადი შემადგენლობა: გასვიანი, ჭავჭავაძე, სანაძე, ბერძენიშვილი, დათუნაშვილი, კახიანი, ტრაპაიძე, მაისურაძე, სამხარაძე, კვინიხიძე, კობერიძე, ხაჩირაშვილი, ალანია, ანდღულაძე, ასათიანი.

სათადარიგოები: ჯოხია, გ. ჟღენტი, დ. ჟღენტი, სარდანაშვილი, მხეიძე, ბერიძე, სოხაძე, უდესიანი, აბაშიძე.

დღესვე, ამ თამაშის გარდა, რაგბის მოყვარულთ შვიდკაცა ელით. 16 საათზე თბილისის შვიდკაცა გაიხსნება და გუნდები მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს შეეცილებიან ერთმანეთს. საქართველოს ნაკრები ტურნირზე ორი გუნდით იასპარეზებს. ამის მიზეზი ბულგარელებისა და შვეიცარიელების ჩამოუსვლელობა გახდა. ერთ-ერთი ჩვენმა მეორე გუნდმა შეცვალა, მეორე კი - აზერბაიჯანის ნაკრებმა.

პირველი გუნდი ასე გამოიყურება: ირაკლი გუნდიშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, ირაკლი გიორგაძე, ირაკლი აბუსერიძე, გიორგი კაჭარავა, ლაშა ფირფილაშვილი, ლექსო გუგავა, გია ლაბაძე, თედო ზიბზიბაძე, მალხაზ ურჯუკაშვილი. მეორეში კი მოხვდნენ მამუკა გორგოძე, შოთა საყვარელიძე, ოთარ ბარკალაია, სიმონ მაისურაძე, ბექა სარდანაშვილი, ვახტანგ მჭედლიძე მერაბ კვირიკაშვილი, დათო კაჭარავა, გიორგი შკინინი, გიორგი ელიზბარაშვილი.

TV-სპორტი

## შაბათი. 12 ივნისი

**НТВ+ФУТБОЛ**

07:00 NBA TV. WNBA-ს ჩემპიონატი. "SEATTLE STORM" - "CONNECTICUT SUN". პირდაპირი ტრანსლაცია
09:00 NBA TV. ფინალი. მე-3 მატჩი. რეზიუმე
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/2001 "არსენალი" (ინგლისი) - "შახტიორი" (უკრაინა)
15:00 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" - "ჰერტა"
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "იუვენტუსი" - "ინტერი"
18:45 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/2001. "დინამო" (უკრაინა) - "მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი)
20:30 თავისუფალი დარტყმა
20:45 სახვალიო ტელეპროგრამა
20:50 ლიბერტადორესის თასი. ნახევარფინალი. "სან პაულუ" (ბრაზილია) - "ონსე კალდასი"" (კოლუმბია). პირველი მატჩი
22:50 "ექსპერტიზა"
23:20 "დარტყმა გოლისთვის"
23:35 მოლდავეთის ჩემპიონატი. "შერიფი" - "ნისტრუ"
01:20 "FUTBOL MUNDIAL"
01:50 01:50-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. დღიური
05:00 NBA TV. WNBA-ს ჩემპიონატი. "SAN ANTONIO SILVER" - "HOUSTON COMETS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**

10:00 "ფორმულის ჰარმონია"
11:00, 14:00, 17:00, 21:30 პრესცენტრი
11:20, 21:45 "ოლიმპის შვილები"
11:25 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი. "Montreux Volley Masters" შვეიცარია. ქალები. ჩინეთი - რუსეთი
13:00 ჭადრაკი. "პეტროსიანის სახელობის გუნდი" - მსოფლიო ნაკრები
13:30 "ნადირობის სეზონი"
14:15 მძლეოსნობა. IAAF Golden League "Exxon Mobil Bisslett Games"
16:30 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
17:15 როდეო. "Bull Riders"
18:00 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
18:30 მოტოსპორტი. რუსეთის ჩემპიონატი ქანთრი კროსში. პირველი ეტაპი
19:30 "დიდი რინგი". პროგრამა პროფესიულ კრივზე
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
21:55 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი. "Montreux Volley Masters" შვეიცარია. ქალები. ნახევარფინალი
23:25 "ქრისტიანული სამყარო". ტელეჟურნალი
23:55 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი. "Montreux Volley Masters" შვეიცარია. ქალები. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:30 ახალი ამბები
01:45 ცურვა. "Mare Nostrum Swimming Series" იტალიაში

**EUROSPORT**

10:00 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
11:30 ფეხბურთი. პლანეტა ევრო
12:00 ავტორბოლები. ლე მანის 24 საათი
15:00 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
15:30 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა
15:45 მოტორბოლები. ესპანეთის გრან-პრი
18:15 ავტორბოლები. ლე მანის 24 საათი
21:30 ჩოგბურთი. ATP ტურნირი დიდ ბრიტანეთში
22:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
23:00 ფეხბურთის სიახლენი
23:15 ავტორბოლები. ლე მანის 24 საათი
01:45 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:15 ფეხბურთი. ევრო 2004. დამატებითი დრო
03:15 ახალი ამბები
03:30 ფეხბურთი. ევრო 2004. დამატებითი დრო
04:30 ფეხბურთი. პლანეტა ევრო



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# "ვთარგმნი იმას, რაც მომწონს"











იური ლობოდინის ფოტოები

ეს კოტე ყუბანეიშვილის ერთ-ერთი პატარა ლექსის ციტატაა, რომელიც, ჩემი აზრით, მის ხასიათზე საკმაოდ ზუსტად მეტყველებს.

ხელოვნურად თავს არ დავიზერებ, მე და კოტე ერთ თაობას ნამდვილად არ მივეკუთვნებით. კოტე ყუბანეიშვილი ჩემზე ბევრად უფროსია, მაგრამ, ამის მიუხედავად, სკოლის ბოლო კლასებში მისი ცნობის უზარმაზარი უპირატესობა უკვე მქონდა. ვერა-ვაკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული, შთამბეჭდავი შესახედაობის, განათლებული, ინტელიგენტი ოჯახიდან, "ბლატნოი" სიმღერების უბადლო შემსრულებელი, ძველი ბიჭი, ავანგარდი და ლოველასი, ინტელექტუალური ლიტერატურის მკითხველი, კრიმინალების მეგობარი და, ამავე დროს, ხშირად ნიტა ტაბიძესთან ჩაიზე მიწვეული, მუდამ წიგნით ხელში უნივერსიტეტთან მოსეირნე, მომხიბვლელად მოღიმარი, ახირებული ხასიათის მქონე, კონფლიქტური, პროფესიით მათემატიკოსი, უსაზღვროდ კეთილი, საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად მომუშავე და მოსწავლეების პირველი მეგობარი, ყოველთვის თითქმის ნულზე შეჭრილი თმით, თეთრ ჯინსებში და ბევრის მოლაპარაკე. კოტე ყუბანეიშვილი მთელს ჩემს სკოლას თუ არა, ნახევარს მაინც უყვარდა და გოგოები მის სანახავად სპეციალურად დადიოდნენ შატალოზე უნივერსიტეტთან. ზემოთ ჩამოთვლილი ამდენი თვისების მიუხედავად, ჩემი აზრით, კოტეს არაორდინალურობა, გამორჩეულობა სულ სხვა რამეში იყო. ის ყოველთვის იმას აკეთებდა, რაც მოსწონდა, როგორც უნდოდა, მიაჩნდა, არანაირ ჩარჩოებს, დოგმებს, ნორმებს ანგარიშს არ უწევდა და მისი ცხოვრების ნებისმიერი ეტაპი განსაკუთრებული მგრძნობელობით, სიღრმით, უყალბობით, საკუთარი თავისადმი კითხვების დასმის უნარით და იმ შინაგანი ვაჟკაცობით, სისწორით გამოირჩეოდა, რომელიც, სამწუხაროდ, არც ისე ხშირად გვხვდება. სწორედ ამიტომ სრულებით არ გამკვირვებია, რომ კოტე ყუბანეიშვილმა, რომელიც მათემატიკოსიდან ამ ხუმრობა-ხუმრობაში (10 წელი, ეტყობა, უფრო ჩვენ ვხუმრობდით, ვიდრე თვითონ) მართლა სერიოზული პოეტი დადგა, ყველა ნორმალური, მოაზროვნე ადამიანისთვის შემაჯამებელ, რეზიუმეების გასაკეთებელ ასაკში და გამოღვიძებული ქვეყნის რევოლუციურობის ფონზე სწორედ კიპლინგის "ბალადა აღმოსავლეთსა და დასავლეთზე" მოეწონა და თარგმნა გადაწყვიტა. დარწმუნებული ვარ, რომ მარადიული ფასეულობების პრობლემა კოტე ყუბანეიშვილს მთელი მისი ცხოვრება თუ არა, ბოლო ათწლეული ნამდვილად აწუხებს, აფიქრებს და როდესაც ეს, როგორც იქნა, ქვეყნისთვისაც აქტუალური გახდა, მან კიპლინგისეული გენიალური პოემა-პასუხის თარგმანი ქართულ საზოგადოებას შესთავაზა. ამავე ფასეულობებზე, ტრადიციებზე საუბრის გაგრძელებად მივიჩნევ კოტეს - ურჩი, თვითნებური, მამათა და შვილთა პრობლემის გამგრძელებელი შვილის დამოკიდებულებას მამამისის - შესანიშნავი მხატვარ-გრაფიკოსის, თემო ყუბანეიშვილისადმი, რომლის შრიფტი ახალი წიგნის ბეჭდვისას ამაყად გამოიყენა. აქვე მინდა აღვნიშნო კოტეს დის, ლენა ყუბანეიშვილის მიერ საოცარი გემოვნებით, დახვეწილობით, სიმძაფრით შესრულებული წიგნის ილუსტრაცია. ამ, ერთი შეხედვით პატარა, ლამაზი წიგნის ნახვით, კოტეში ჩემთვის უცნობი, ახალი მხარე - საკუთარი ოჯახის, როგორც ჭეშმარიტი ღირებულებების ერთ-ერთი მთავარი კერის, საწყისის პატივისცემა აღმოვაჩინე. ეტყობა, ასაკის გადმოსახედიდან რეალურად ხედავ, აფასებ, თუ ვის რა წვლილი აქვს შენში შეტანილი, საიდან მოდიხარ, ვინ ხარ, რას აკეთებ და რატომ.

დაახლოებით ათი-თორმეტი წლის წინ მამაჩემს, რომელიც იმ დროს საფრანგეთში ცხოვრობდა, სულ აინტერესებდა, საქართველოში რა ხდება, როგორია პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრება. ტელეფონით ამის მოყოლა შეუძლებლად მიმაჩნდა. ჰოდა, ავიღე, არ დავიზარე და კოტე ყუბანეიშვილის უზარმაზარი საჭირბოროტო პოემა "სნგ-ში შეპარულა მელა, ბორისს ესაუბრებოდა ნელა..." გადავწერე და როგორც ყოვლისმთქმელი, სიტუაციის რეალურად, შეულამაზებლად აღმწერი, პარიზში გავაგზავნე. მამაჩემი მერე იცინოდა, არა, კოტიკა ნახეო, ძლივს ვილაცამ ამბავი არ გამაგებინაო, თანაც გარითმულადო. სიტუაციის რეალურად აღქმა, თვალებში შეხედვა, თამამად შეფასება, ყველაფრისთვის სახელის დარქმევა, წერტილის დასმა და დროის მკაცრი მოთხოვნილების გაგება კოტეს ყოველთვის შეეძლო და დღეს კიპლინგის თარგმნაც სწორედ ამ ზუსტი ადგილის, ზუსტი დროის, ზუსტი სიტუაციის ზუსტი შეგრძნებით არის გამოწვეული და, რა თქმა უნდა, იმითაც, რომ პოეტ კოტე ყუბანეიშვილს "ბალადა აღმოსავლეთსა და დასავლეთზე", უბრალოდ, მოსწონს.

## ვაი, ვაი !

ქართულ საზოგადოებას ამჟამად დეპუტატ გოჩა ფიფიას რიგითი წინასაარჩევნო სპეკულაციურ-გულამაჩუყებელი ლოზუნგი-პლაკატი "მომავალი ჩვენს ხელშია" მინდა შევახსენო, რომელზედაც წმინდა ქართული გენეტიკის დამცველ-მოტრფიალე დეპუტატს ხელში ახალშობილი ბავშვი მზრუნველად ეკავა. გულწრფელად მაინტერესებს, გოჩა ფიფიამ, სანამ ეს ბავშვი წინასაარჩევნო პოპულიზმისთვის გამოიყენა და ხელში დაიჭირა, მისი სისხლის სიწმინდე, გენეალოგია, ჭეშმარიტი ქართველობა წინასწარ გადაამოწმა თუ არა? ვაითუ, იმ ახალშობილსაც სადმე სხვა ეროვნების გენი ერია! ნეტა "ჭეშმარიტი ქართველი" დეპუტატი მაშინ როგორ მოიქცეოდა? ალბათ, ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, როგორც გენოფონდისთვის, საქართველოსთვის უვარგისს და მისთვის კი შესაზიზღს, უბრალოდ, ხელს გაუშვებდა და ძირს დაანარცხებდა.

დიდი იმედი მაქვს, რომ მე, როგორც რუსული გვარის და მცირეოდენი, მაგრამ მაინც რუსული წარმომავლობის მქონე პიროვნება, გოჩა ფიფიას ოპონენტობის ღირსადაც არ ჩავითვლები და შესაბამისად, ასეთი ვაი ქართველის, ვაი დეპუტატის, ვაი მოქალაქის და, საერთოდ, ვაი-ვაის პასუხიც არ მემუქრება.

## სოფლის კლუბის თბილისური ვარიანტი

ერთი მხრივ I არხის გადაცემა "მიმღერე რამეზე" დიდი ხანია, მინდოდა დამეწერა, მეორე მხრივ, ამგვარ არაფრით ღირებულ, სულელურ გადაცემაზე ჩემი დროისა და ენერგიის, მკითხველის ყურადღების დაკარგვა მენანებოდა. გადაცემაზე, რომელშიც, ჩემი აზრით, საკამათო, გასარჩევი, ყურადღების ღირსიც არაფერია, ახლაც არ ვწერ. უბრალოდ, ამ კვირაში, სრულიად შემთხვევით, ტელევიზორის არხიდან არხზე გადართვისას გადაცემის წამყვანს და მის "ჩაცმულობას" მოვკარი თვალი - გულახდილად გეტყვით, ენა ჩამივარდა და აღშფოთების გამოსახატავად ფურცელსა და კალმისტარს დავუწყე ძებნა. გადაცემის წამყვან ბიჭს ასე მწარედ, ბოროტად ვინ დასცინა. ნუთუ მართლა მაკა ასათიანმა, რომელიც ტიტრებში გადაცემის წამყვანის ჩაცმულობასა და სტილზე მზრუნველად მოიხსენიება. არა, ვერაფრით დავიჯერებ, რომ ის საოცარი, ენით აღუწერელი, ორად გაყოფილი, ერთ მხარეს ყავისფერ-ბორდოსფერ-... და მეორე მხარეს ვარდისფერ-ზოლებიან-ყვავილებიანი ლაპლაპა "აბრეშუმისგან" შეკერილი, არა, მაგას შეკერილიც არ ჰქვია, მოჯღანული, ერთი-ორი ზომით დიდი, სხვადასხვა ფორმის ბორტის მქონე პიჯაკი მაკა ასათიანის დიზაინით არის შეკერილი. მესმის, რომ გადაცემა არასერიოზული, სახუმარო, გასართობი იდიოტიზმია, მაგრამ, დავიჯერო, მისი მთავარი აქცენტი წამყვანის დაცინვა, მისი უბადრუკობა-უსუსურობა-უგემოვნობაა? გამაგებინეთ, ამ საცოდავს ვინ ან რას ერჩის? თუ მაინცდამაინც მისი ჯამბაზად გამოყვანა უნდოდათ, ქე მაინც მართლა კლოუნად და არა სხვის მახინჯ ტანსაცმელში გამოწყობილ ბომჟად გამოეყვანათ, მით უმეტეს, რომ აბსოლუტურად იდიოტური გადაცემა, სულელურ სტუდიაში, თავისთვის უკიდურესად წამგებიან გარემოში მიჰყავს, ყველაფერი ერთად კი სავალალოდ, უბადრუკად გამოიყურება, თუმცა უბადრუკობა ხომ I არხის სავიზიტო ბარათია.

მოკლედ, "მიმღერე რამეს" წამყვანი ძალიან შემეცოდა და მზად ვარ, მისი კოსტიუმი ნებისმიერ ატელიეში წავიღო და გადავუკეთო. სახელოებს ჩაუვიწროებენ, ბორტებს გაუსიმეტრიულებენ, წელს და მხრებს ზომაზე მოარგებენ, არა, არა, მაინც არაფერი შეიცვლება! იმ ნაჭრებს რა ეშველება! ეგება გადაღებონ, ან მაკა ასათიანს მართლა სთხოვონ დახმარება, რამე უფრო ხეირიანს მოუფიქრებს და წამყვანი თუ არ გალამაზდება, დასაცინი მაინც არ იქნება და I არხის გასართობი გადაცემაც სოფლის კლუბის იერს ოდნავ დაკარგავს. თუმცა, სოფლის კლუბის ასოციაციაც ხომ I არხის სახეა!

## უბრალოდ, ვეხმარებით

ამ კვირის ყველაზე დიდი ყურადღება, ინტერესი, კამათი, აზრთა სხვადასხვაობა ძალისმიერი მინისტრების, გენპროკურორის და უშიშროების საბჭოს მდივნის ბანქოსავით არევა-აჭრა-შენაცვლებამ გამოიწვია. საშუალო სკოლის მათემატიკის პროგრამიდან რამდენადაც მახსოვს, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება. ამიტომაც, მჯერა, რაღაცას გაახერხებენ, შეგვიძლია ამაზე არ ვინერვიულოთ, მაგრამ შინაგან საქმეთა ახალ მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს კი ერთი მოკრძალებული თხოვნით მინდა მივმართო. თუ შსს-ში რეალურ, რადიკალურ ცვლილებებს, ძველებურად გამძვინვარებულ მექრთამეობასთან, დაკავებულების ცემა-წამებასთან, იარაღის ჩადებასთან (ლიმონკა - ლეიბის, ავტომატი - ტახტის ქვეშ), პოლიციელების ტრადიციულ ნარკოტიკებით ვაჭრობის ბიზნესთან, ისევე, როგორც მანქანების გატაცებასთან და ბევრ სხვა რამესთან ბრძოლას, შერკინებას აპირებს, ეგება შეეცადოს, მანქანის ტარების "ძაღლურ-მენტური" სტილიც შეცვალოს. თავხედური, ყველა უფლების მქონე, განუკითხავი, ტუტუცური ტარება ათას მანქანაში პოლიციელების მანქანას იმ წუთას გამოარჩევს. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს პოლიციაში, თავხედების გარდა, დალტონიკებიც მუშაობენ, რომლებიც შუქნიშნის ფერებს ვერ არჩევენ. თეთრი ხაზი, "მიგალკა", რიგის, სიჩქარის დაცვა, გატარება - ასეთი წვრილმანი დეტალები ჩვენი brave პოლიციელების პროფესიონალური სიმაღლეებიდან არც კი ჩანს. რასაც უნდათ და როგორც უნდათ, ისე აკეთებენ. თუ ჩემი არ ჯერათ, რომელიმე ნებისმიერი პოლიციის განყოფილებასთან, მაგალითად, არაყიშვილზე, ერთი ინსპექტორი დააყენონ, რომელსაც პოლიციელები ანგარიშს ნამდვილად არ გაუწევენ და თავად დარწმუნდებიან. შეიძლება იფიქროთ, რა დროის მანქანის ტარებაა და ეგ რა პრობლემააო, მაგრამ ასე ნუ იტყვით. ჯერ ერთი, მძღოლებისთვის, ფეხით მოსიარულეებისთვის საჭესთან მჯდომი პოლიციელები ყოველწამიერ საფრთხეს წარმოადგენენ. ჩვენთვის აბსოლუტურად სულერთია, კანარეიკიანი პოლიციური მანქანა მოგვკლავს, თუ ვინმე გამდიდრებული მექრთამე ბიუროკრატის მერსედესიანი შვილი და, მეორეც - ასეთი ელემენტარული, წვრილმანი კანონმორჩილებიდან გლობალური წესრიგი იწყება, რომლის დამყარების სურვილი, მგონია, ოქრუაშვილს უნდა ჰქონდეს. ჰოდა, მეც, როგორც შემიძლია, ვეხმარები.

## "სურათები არქივიდან"



ლიკა პირველი



თამრიკო ნაცვლიშვილი



ნინო კუხიანიძე



თიკო გამრეკელი

ბოლო წლების თბილისი ფოტოგრაფიის მოდამ მოიცვა. ნებისმიერ ადგილსა და სიტუაციაში განსხვავებული ღირებულების ფოტოაპარატით შეიარაღებულ სრულიად სხვადასხვა ტიპის ადამიანებს შეხვდებოდით, რომლებიც რევოლუციას, წვიმას, ხილის გამყიდველს, ვერნისაჟს, ქუჩას, ცნობილი და არაცნობილი ადამიანების პორტრეტებს, ნაგავს, მშენებლობას, სულიერ და უსულო ინტერიერს, მოკლედ, ყველაფერ იმას, რაც ჩვენს გარშემოა და რასაც ჩვენი ცხოვრება ჰქვია, იღებდნენ.

1998 წელს ხელოვნებათმცოდნემ და, ამავე დროს, ოპერატორმა დათო ცხადაძემ საქართველოში პირველი ფოტოსკოლა "სეპია" დააარსა, რომელშიც სრულიად განსხვავებული მენტალიტეტის, ინტერესების, მსოფლმხედველობის, გემოვნების, ინტელექტის, სოციალური ფენის, ასაკის, შეხედულებების, ცხოვრებისეული სტილის მქონე არაერთი თაობა გაერთიანდა და ფოტოგადაღებაზე, მის ტექნიკურ მხარეზე ბევრად უფრო მნიშვნელოვან სწორ, საინტერესო, ღრმა, ფართე ხედვას, აღქმას, შეფასებას და ამ ყველაფრის ფოტოენის მეშვეობით გადმოცემას სწავლობდა. ამ კვირაში გოეთეს ინსტიტუტში გახსნილი გამოფენა "სურათები არქივიდან 1998-2004" ფოტოსტუდია "სეპიას" არც ერთ კურსდამთავრებულზე ცალ-ცალკე ისე არ მეტყველებს, როგორც მთლიანობაში იმ სკოლაზე, რომელიც ყველამ ერთად გაიარა. ზოგიერთი კურსდამთავრებული პროფესიონალი ფოტოხელოვანი დადგა, ზოგიერთი ნიჭიერია, ზოგიერთი შემოქმედი, ზოგიერთი ცინიკოსი, ზოგიერთი რომანტიკოსი, ზოგიერთი რეალისტი, ზოგიერთი ესთეტი, ზოგიერთიც უნიჭო, ზოგიერთი კაცთმოყვარე, ზოგიერთი სკეპტიკოსი, ზოგიერთი პრეტენზიული, მანერული, ზოგიერთი უშუალო, გულღია, მაგრამ ყველა დათო ცხადაძის გახსნილი ფოტოსკოლის მიერ იმ განსაკუთრებული შემოქმედებითი ხედვით არის გამდიდრებული, რომელიც სამყაროს კიდევ უფრო საინტერესოს, მდიდარს ხდის. ბევრი მათგანის ცხოვრება ბევრად უფრო უინტერესო, ზედაპირული და ერთფეროვანი იქნებოდა, რამდენიმე წლის წინ დათო ცხადაძეს მათთვის ობიექტივში სწორად ჩახედვა რომ არ ესწავლებინა. ჩვენ კი, სტუდია "სეპიას" ექვსი წლის ფოტოარქივის მეშვეობით, საშუალება გვაქვს საქართველოს ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა ფაქტი, პიროვნებები, სიტუაციები აღვიდგინოთ. ასეთი იყო ჩვენი, სტუდია "სეპიას" და მთელი ქვეყნის ყოველწამიერი ყოფა, რომელიც ერთი ნიჭიერი, გემოვნებიანი კაცის - დათო ცხადაძის შრომის, საქმის ცოდნის და სიყვარულის შედეგად მისი აღზრდილი ფოტოგრაფების მიერ ასე რეალისტურ-დოკუმენტურად დაფიქსირდა.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

განახლებული გადაცემა "ხალხის პირისპირ" სექტემბრიდან კვლავ გავა რუსთავი 2-ის ეთერში. [illegible]

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" [illegible] "ხალხის პირისპირ" [illegible]

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ტელეპროექტი "ხალხის პირისპირ", ვაჟა-ფშაველას 45, 380077 თბილისი

კონფიდენციალობა ტელეკომპანიისთვის "ხალხის პირისპირ" [illegible] ანკეტის [illegible], ამიტომ [illegible], [illegible] შეავსეთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: [illegible]

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

დამხმარე კატეგორია: [illegible]

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. მაზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? [illegible]

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

"ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაერთვება ნაგვინი [illegible] მონაწილე კონკურსანტებს.

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

| შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი: |
| --- | --- |
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |
| 4 | |
| 5 | |

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? [illegible]

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან იცეკვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

სახელი და გვარი:
ბინის მისამართი:
სამსახურის ტელეფონის ნომერი:
ბინის ტელეფონის ნომერი:
მობილური ტელეფონის ნომერი:

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? [illegible]

[illegible]

[illegible]

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

რატომ გინდათ, მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

# საქართველოს დამოუკიდებლობის დღე გერმანიაში

## გალაღებული ქართველები და ყველაზე ლამაზი დროშა მსოფლიოში

ნინო ცინცაძე
ქალაქ რედას აინშტაინის სახელობის გიმნაზიის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე



ქართველი მედროშენი გერმანიაში.

"ჩემო კარგო ქვეყანაავ!..." - ზარივით დააგუგუნეს ბილეფელდის ოპერის მომღერლებმა გია და პაატა წივწივაძეებმა. ქალბატონმა ლიკა ჩანადირმა კი როიალის ჟღერადობა შეუხმატკბილა მომღერლებს და ასე დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი ბილეფელდში. უმაღლესი სახალხო სკოლის ისტორიული დარბაზის კარებში ჯერ ქართულ კაბაში გამოწყობილი 15 წლის ნათია ბედიანაშვილი გამოჩნდა, შემდეგ კი ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, ქართული სახელმწიფო დროშით ხელში ამაყად მომავალი 13 წლის ბექა ბედიანაშვილი შემოვიდა, რომელსაც, გერმანული დროშით, ფეხდაფეხ შემოჰყვა 14 წლის გიორგი ზეიკიძე. ყმაწვილები აქეთ-იქედან ამოუდგნენ ნათიას და სამივენი ერთად, დინჯად გამოემართნენ სცენისკენ.

დარბაზში ჯერ მხურვალე ტაშისცემა გაისმა, შემდეგ კი ყველანი ფეხზე წამოდგნენ და როგორც მსგავს შემთხვევებში ხდება ხოლმე, რამოდენიმე ქალბატონმა მღელვარებას ვეღარ გაუძლო და თვალები ცრემლებით დაენამა.

■ ■ ■

ბავშვობაში არაერთხელ მიმიღია მონაწილეობა კონცერტებსა თუ ზეიმებში და სცენასაც საკმაოდ შეჩვეული ვიყავი, მაგრამ ისეთი მღელვარება არასოდეს მიგრძვნია, როგორიც დღეს. ალბათ იმიტომ, რომ მთელი საღამოს განმავლობაში დარბაზში ამაყად დააბიჯებდნენ აკაკის, ილიას, ვაჟას, გალაკტიონისა და სხვა დიდი ქართველი პოეტების აჩრდილები და ბილეფელდის გერმანულ-ქართულ საზოგადოებასთან არსებული ქართული საკვირაო სკოლის მოსწავლეების ბაგეებით ქადაგებდნენ მამულის ერთგულებასა და სიყვარულს.

ამ ბავშვების ერთი ნაწილი გერმანიაში დაიბადა და თვალითაც არ უნახავს საქართველო, ნაწილს კი წლებმა მეხსიერებიდან თითქმის მთლიანად ამოუშალა მშობლიური მხარის ხიბლი და მაინც, ის ბავშვებიც კი, რომლებიც არც თუ ისე დიდი ხნის წინ ქართულად ძლივს იტეხდნენ ენას, დღეს სხაპასხუპით ჰყვებოდნენ ლექსებს და შეხმატკბილებულად მღეროდნენ ქართველი კომპოზიტორების სიმღერებს. რაშიც უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვით საკვირაო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, ქალბატონ ლია თავშავაძე-ცინცაძესა და სკოლის მუსიკალურ ხელმძღვანელებს: ქალბატონ ლიკა ჩანადირსა და მის მეუღლეს ბატონ გია წივწივაძეს. ყველაფრის თავი და თავი კი საზოგადოების თავმჯდომარე, პოეტი და ჟურნალისტი, ბატონი ჯიმშერ ბედიანაშვილია. საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად, პირველყოვლისა, სწორედ ბატონი ჯიმშერის მუხლჩაუხრელი და უანგარო შრომის შედეგია ის, რომ საზოგადოება, რომელიც თავისი არსებობის სულ რაღაც რვა თვეს ითვლის, წარმატებით მართავს უკვე რიგით მეხუთე, შესანიშნავ ღონისძიებას, რაც არც ქალაქის ხელმძღვანელობას დარჩენია შეუმჩნეველი და საზოგადოება ოფიციალურად მიიღეს ბილეფელდის უცხოურ საზოგადოებათა საკოორდინაციო საბჭოში.

■ ■ ■

საზეიმო კონცერტი დასასრულს მიუახლოვდა და სცენაზე ჩვენი სტუმრები, თანამედროვე ცეკვების კონკურსებში არაერთგზის გამარჯვებული სალომე კერესელიძის მოცეკვავე გოგონათა ჯგუფი მოვიწვიეთ. მათმა მოქნილობამ და ცეკვის ოსტატობამ კიდევ უფრო მოხიბლა მაყურებელი.

დასასრულს, როდესაც სცენაზე ჯერ ქალბატონი ლიკა, ბატონი გია და მათი ვაჟიშვილი ლაშა გამოჩდნენ და "მივალ გურიაში" შემოსძახეს, რის შემდეგაც ქალბატონი ლიკა ისევ როიალს მიუჯდა, ხოლო ბატონებმა გია და პაატა წივწივაძეებმა რამოდენიმე არია შეასრულეს ქართულ და გერმანულ ენებზე, აქამდე შედარებით დინჯად მსხდომმა გერმანელებმაც ვეღარ შეიკავეს თავი და დარბაზი "ცუგაბეს" ძახილით აიკლეს.

■ ■ ■

უზარმაზარ დარბაზში დაახლოებით ოცი მაგიდაა გაშლილი, საჭმელსასმელის სიუხვე ჩვენი მრავალეროვანი სტუმრების გაოცებას იწვევს. რას აღარ ნახავთ აქ: ხაჭაპურს, ხინკალს, ნიგვზიან საჭმელებს, ლობიოს, ხორცს, ათასნაირ სალათებსა თუ ნამცხვრებს. მოკლედ, თავი საქართველოში გეგონებათ.

ბატონი ჯიმშერი თამადაა და სუფრას ქართული ტრადიციისამებრ უძღვება. ცოტა ხანში ღვინომ თავისი ქნა და დარბაზში ომახიანად დააგუგუნეს ქართული ხალხური სიმღერები. ბატონ გიას, პაატასა და ქალბატონ ლიკას სხვა ქართველებიც შემოუერთდნენ და ბილეფელდის უმაღლესი სახალხო სკოლის შენობიდან გვიანობამდე ისმოდა გალაღებული ქართველების ცეკვა-სიმღერა და ხორხოცი.

■ ■ ■

ბილეფელდიდან ჩემს ქალაქამდე დაახლოებით ოცდაათი კილომეტრია. მატარებლის ვაგონში ჩვენი და რამოდენიმე სხვა ქართველის გარდა, რომლებსაც სამჯერ უფრო მეტი გზა აქვთ სახლამდე გასავლელი, თითქმის არავინაა. ყველანი უზომოდ ბედნიერები და კმაყოფილები ვართ.

"უცნაური ხალხი ყოფილხართ" - გამახსენდა უმაღლესი სახალხო სკოლის სამხატვრო ხელმძღვანელის, ბატონი კრაუზეს სიტყვები და გამეღიმა - "მრავალი საღამოსა და კონცერტის მომსწრე ვარ, მაგრამ არ მახსოვს ვინმეს ასე ლამაზად და ლაღად გაეტარებინოს დრო, სიმართლე გითხრათ, ყველაფერი იმის შემდეგ რაც აქ ვიხილე, ჩემთვის დღესავით ნათელია, ასე სევდიანად რატომ მღერით ქართველები."

"ჯერ სადა ხართ, ზეიმსა და ნამდვილ დროსტარებას ოქტომბერში დაგეგმილ ქართული კულტურის დღეებზე ნახავთ." - კმაყოფილებით აღნიშნა ბატონმა ჯიმშერმა და იმედიანად გადახედა ცხრაასი კვადრატული მეტრი ფართობის მქონე დარბაზში უდარდელად მოთამაშე ქართული სკოლის მოსწავლეებს.

სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე კი ყველაზე მეტად ჩვენი ხუთჯვრიანი დროშა მომეწონა, მეამაყება, რომ მსოფლიოში ნამდვილად ყველაზე ლამაზი დროშა გვაქვს ქართველებს.

**სწავლა ლონდონში**
ხელმისაწვდომ ფასად

MBA მარკეტინგი / ფინანსები / IT
MSc საინფორმაციო ტექნოლოგიები, კომპიუტერული სისტემის ინჟინერია, ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი £3950

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
ტელ: 253045, 230284 მობ. 893-352067
E-mail: stmgeorgia@hotmail.com
www.stmlondon.co.uk

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
■ კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
■ საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
■ აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
■ ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
■ ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ე.ჭუბნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

**ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრი
ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დაკვეთით აცხადებს კონკურს შემდეგ თანამდებობებზე:**

**საინფორმაციო სამსახურის პროდიუსერი**

**ფუნქციები და მოვალეობები**
- საინფორმაციო სამსახურის კონცეფციისა და სტრატეგიის შემუშავება;
- ახალი ამბების პროგრამის ხელმძღვანელობა;

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**
- უმაღლესი განათლება მენეჯმენტში
- უცხო ენის ცოდნა
- სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის გამოცდილება
- ორგანიზებულობა
- კომუნიკაბელობა
- გუნდური მუშაობის უნარი

**მუსიკალურ-გასართობი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კინოს, სპორტული, კულტურულ-საგანმანათლებლო, ფოლკლორის მიმართულებების პროდიუსერები (6 ვაკანსია)**

**ფუნქციები და მოვალეობები**
- შესატყვისი მიმართულების კონცეფციისა და სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა;
- მიმართულების შესატყვისი პროექტების შერჩევა;
- პროექტების განხორციელების კოორდინაცია, მონიტორინგი და მენეჯმენტი

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**
- უმაღლესი განათლება შესაბამის სფეროში
- სასურველია უმაღლესი, ან დამატებითი განათლება მენეჯმენტში
- უცხო ენის ცოდნა
- სასურველია ტელევიზიაში მუშაობის გამოცდილება
- სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის გამოცდილება
- ორგანიზებულობა
- კომუნიკაბელობა
- გუნდური მუშაობის უნარი

**განცხადების მიღების ვადაა 10 ივნისიდან 18 ივნისამდე**

*დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრს.*
**მისამართი:** მელიქიშვილის 12, სასტუმრო საქართველო, V სართული. ტელეფონები: 22 13 23, 22 13 32, pmc@internet.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24










## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.